ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

**27 თებერვლიდან!**
**„ახალი თაობა" + მაო ძედუნი**
**8 ლარი**




ოთხშაბათი, 27 თებერვალი, 2013 | №48 (6049) | ფასი: 30 თეთრი

# ივანიშვილმა სააკაშვილს ულტიმატუმი წაუყენა



გარისკავს თუ არა პრეზიდენტი მთავრობის დათხოვნას გვ.3

## არჩილ კბილაშვილი: „უგულავას დაჭერა ჩვენი თვითმიზანი არ ყოფილა" გვ.2



# სუბარი სააკაშვილის დაკითხვას ითხოვს გვ.6



## გულიკო გამცემლიძე: „ჩემი შვილის მკვლელებთან კოჰაბიტაციას არ ვაპირებ" გვ.3

რას ურჩევს სააკაშვილს პატრულის მიერ მოკლული გიორგი გამცემლიძის დედა



## „სააკაშვილმა დააბრუნოს ის, რაც ცხრა წელია, მიტაცებული აქვს" გვ.4



## სოსო ცისკარიშვილი: „ხალხი თავს ვალდებულად მიიჩნევს, პოლიტიკოსებს გაკვეთილები თვითონ ჩაუტაროს" გვ.2



## მამუკა არეშიძე: „ნაციონალებს საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება სურთ" გვ.4



## ზურაბ ჭიაბერაშვილი: „ივანიშვილის განცხადება ქვეყანას აზიანებს" გვ.4



## ნინო ბურჯანაძე 26 მაისთან დაკავშირებით მთავარ პროკურატურაში ჩვენებას დღეს მისცემს გვ.6

9 771987 938006

**6** პრეზიდენტი დაცვაზე უარს ახსნება ამბობს

**4** „ოცნება" ოცნებობს, ნაციონალურმა მოძრაობამ ფუნქციონირება შეწყვიტოს

**5** შსს-მ ორგანიზებულ-დანაშაულებრივი ჯგუფის ოთხი წევრი დააკავა

**6** გია ხუხაშვილი: „არ შეიძლება, თეორიული დიქტატურის არსებობა პოლიტიკური გარიგების თემა გახდეს"

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# არჩილ კბილაშვილი: „უგულავას დაჭერა ჩვენი თვითმიზანი არ ყოფილა“

შორენა კოწოწაშვილი

**ბუტა რობაქიძის გახმაურებული მკვლელობის საქმის გამოძიების პარალელურად, რომელსაც მთავარი პროკურატურა აქტიურად ახორციელებს, ყოველდღიურად ახალი დეტალები ჩნდება. მართალია, 7 წლის განმავლობაში წინა ხელისუფლების მიერ ჯერ შეჯერებული და მერე უმოქმედოდ დატოვებული საქმე ბოლომდე საზოგადოებისთვის კვლავ უცნობია, მაგრამ გამოძიების ეტაპზე იკვეთება, რომ ამ საქმის მტკიცებულებების გაყალბება დღემდე მიმდინარეობს. თუ არა ეს, აბა, რას უნდა ნიშნავდეს გამოძიებისთვის მიცემული ის ჩვენებები, რომელსაც პოლიციის წარმომადგენლები ბუტა რობაქიძის საქმესთან დაკავშირებით აძლევენ და რომელშიც არა მხოლოდ კონკრეტული ფაქტების შეცვლა იკვეთება, არამედ, ასე ვთქვათ, დამნაშავე პოლიციელთა დანაშაულის კვალის დაფარვის მცდელობაც.**

ასე რომ, რობაქიძის საქმის გამოძიების ამ ეტაპზე საკმაოდ საინტერესო ვითარებაა. არა მხოლოდ საქმის ახალი დეტალები გამოიკვეთა, არამედ საქმეზე ბრალდებულ პირთა რაოდენობაც გაიზარდა და თანდათან საზოგადოებისთვის ცნობილი ხდება იმ პირთა ვინაობაც, ვინც საქმის გაყალბებით იყო დაინტერესებული და ვისაც არ აწყობდა რეალური დამნაშავეების დასჯა, პატრულ ბაშალეიშვილის პარალელურად.

– ბუტა რობაქიძის საქმე 3 საქმეს მოიცავს: ერთი, რომელიც მიმართული იყო ავტომანქანაში მსხდომი ახალგაზრდების წინააღმდეგ იარაღის უკანონო ტარებისა და პოლიციისათვის წინააღმდეგობის გაწევის საქმე; მეორე – პატრულ ბაშალეიშვილის წინააღმდეგ საქმე; და მესამე – სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენელთა მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას შეეხება. აქედან ბაშალეიშვილის საქმე 2006 წელს განაჩენით დასრულდა. რაც შეეხება საქმეს, რომელიც ავტომანქანაში მსხდომი ახალგაზრდების მიმართ დაიწყო, დასრულდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც პროკურატურაში მოვედით და ბრალდებაზე ვთქვით უარი, – განაცხადა მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმა გუშინ ჟურნალისტებთან შეხვედრისას. მისი თქმით, საგულისხმოა, რომ ახალგაზრდების წინააღმდეგ სასამართლოში საქმე წარიმართა 2005 წლის 30 დეკემბერს, თუმცა 7 წლის განმავლობაში უმოძრაოდ იყო და მისი განხილვა არ ხდებოდა.

– ამის პარალელურად აღძრული იყო საქმე იმ პოლიციელთა მიმართ, რომელთაც სამართლებრივ უფლებამოსილებას გადაამეტეს. ვიდრე ჩვენ რეალურად არ დავიწყეთ გამოძიება, ამ საქმეზეც არაფერი იყო განხორციელებული. როდესაც დავიწყეთ გამოძიება და მოვიკვლიეთ მთელი რიგი მასალები, შედეგად მივიღეთ ის, რომ ერთ-ერთმა პირმა წარმოადგინა ვიდეომასალა. ისმის კითხვა: სად იყო პროკურატურა ამდენ ხანს? საქმე ისაა, რომ ამ საქმეს არ იძიებდნენ, არანაირი მოქმედებები არ ხორციელდებოდა. როდესაც ადამიანს აქვს ქრონიკული ანთებითი ავადმყოფობა, საჭიროა მწვავე პრეპარატების მიღება რომ მოხდეს გამოჯანმრთელების გზაზე დაყენება. სწორედ ასეთი იყო ჩვენ მიერ განხორციელებული ქმედებები. ამ დროს ვილაცას, როდესაც გაუჭირდა, გადმოაგდო რაღაც დოკუმენტი. ამაში ცუდი არაფერია, ჩვენ შევისწავლით, – განაცხადა არჩილ კბილაშვილმა.



ჟურნალისტებთან საუბრისას მთავარმა პროკურორმა ისაუბრა აგრეთვე საპარლამენტო უმცირესობის წევრის გიორგი ღვინიაშვილის დაკითხვაზე გამოუცხადებლობასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ „ჩნდება მორალური სახეც, რომ ეს კაცი იყო ის პროკურორი, ვის ხელშიც ეს საქმე იდო და არაფერი კეთდებოდა“, – აღნიშნა არჩილ კბილაშვილმა.

მთავარი პროკურორის განცხადებით, რობაქიძის საქმის აქტიური გამოძიების ეტაპზე, დღეს უკვე წინა ხელისუფლების არაერთ წარმომადგენელს გაუჩნდა სურვილი, თავი აარიდოს გამოძიებისთვის კითხვებზე პასუხის გაცემას.

– დღეს გიორგი ღვინიაშვილს და სხვა ადამიანებსაც აქვთ სურვილი თავი დააღწიონ და არ გასცენ კითხვებს და, შესაძლოა, პრეტენზიებს პასუხი, – განაცხადა კბილაშვილმა.

რაც შეეხება კადრებს, რომელიც საქართველოში გურამ დონაძის დაბრუნების შემდეგ გავრცელდა და რომლითაც დონაძე ამაყობდა, რომ მკვლელის სახელი მოიშორა, მას, როგორც მთავარმა პროკურორმა აღნიშნა, ექსპერტიზა უტარდება.

შეგახსენებთ, რომ ვიდეოჩანაწერი რობაქიძის მკვლელობის ამსახველი ფაქტებით მთავარ პროკურატურას ირაკლი ფირცხალავამ მიაწოდა. ფირცხალავა ჩვენების გაყალბებისთვის დღეს უკვე ბრალდებულია.

არჩილ კბილაშვილის თქმით, ბუტა რობაქიძის მკვლელობის ღამეს გადაღებულ კადრებს ექსპერტიზა საზღვარგარეთ, რამდენიმე დაწესებულებაში უტარდება. ხოლო ის, თუ რა პერიოდში იქნება ცნობილი ექსპერტიზის დასკვნა, როგორც გუშინდელ შეხვედრაზე ითქვა, ეს საქართველოს მთავარ პროკურორზე არ არის დამოკიდებული.

–ეს ჩვენზე არ არის დამოკიდებული. შესაძლოა ექსპერტიზამ ერთ თვეს გასტანოს. ექსპერტიზის ჩატარება საზღვარგარეთ რამდენიმე დაწესებულებაში ხდება, – განაცხადა არჩილ კბილაშვილმა და იქვე მიუთითა, რომ მოწმეები ხელახლა კადრების ავთენტურობის დადასტურების შემთხვევაში დაიკითხებიან.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბუტა რობაქიძის საქმეში ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემის ბრალდები მთავარმა პროკურატურამ უკვე ორი მოწმე დააკავა. დაკავებულები არიან ყოფილი პოლიციელები მაიზერ ლიპარტელიანი და ლევან ლობჟანიძე. მათ ბრალი სსკ კოდექსის 371-ე პრიმა მუხლის მეორე ნაწილით წარედგინათ.

როგორც პროკურატურაში აცხადებენ, ლიპარტელიანმა 4-ჯერ მისცა ჩვენება, სადაც ამბობდა, რომ შემთხვევის ადგილზე იარაღი არ უნახავს. თუმცა ირაკლი ფირცხალავას მიერ ბუტა რობაქიძის საქმეზე ვიდეომასალის გავრცელების შემდეგ ჩვენება შეცვალა და განაცხადა, რომ ადგილზე სხვადასხვა სახის იარაღი ნახა.

პროკურატურის ინფორმაციით, ლევან ლობჟანიძემ რამდენჯერმე მისცა ჩვენება და ყველა ჩვენება ურთიერთსაწინააღმდეგო იყო.

შეგახსენებთ, რომ ამ მოწმეების დაკითხვას და ყველა დამნაშავე პირის, პოლიციელების და განსაკუთრებით მაღალჩინოსანი პოლიციელების, ვინც საქმე გააყალბა, დასჯას რობაქიძის მამა – სოსო რობაქიძე ითხოვდა.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ პირველად სწორედ ახალი ხელისუფლების პირობებში წარმოებული გამოძიების ეტაპზე გახდა ცნობილი, რომ პატრული გრიგოლ ბაშალეიშვილი, რომლის იარაღიდანაც იქნა მოკლული ბუტა რობაქიძე, მკვლელობის ღამეს მთვრალი იყო. ეს მედიისთვის პოლიციელების ჩვენებებიდან გახდა ცნობილი.

აღსანიშნავია, რომ გუშინვე მთავარმა პროკურორმა ჟურნალისტებთან საუბრისას იმ მიზეზებზეც ისაუბრა, რის გამოც დედაქალაქის მერის გიგი უგულავასთვის აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა არ მოითხოვა.

როგორც კბილაშვილმა განმარტა, არ სურდა, რომ საქმეს პოლიტიკური ელფერი შესძენოდა; არჩეულ მერს პატივი სცა. მთავარი პროკურორი აცხადებს, რომ პროკურატურისთვის თვითმიზანი არ იყო გიგი უგულავას, როგორც დედაქალაქის მერის გისოსებს მიღმა ყოფნა. თუმცა კბილაშვილი არალოგიკურს უწოდებს თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომლის საფუძველზეც გიგი უგულავას აღკვეთის ღონისძიება არ შეეფარდა.

– როდესაც დედაქალაქის მერი იმხილება 20 მლნ-ზე მეტი ლარის გაფლანგვაში, მისი მერობა უკვე სახიფათოა იქედან გამომდინარე, რომ წარსულში აქვს ჩადენილი თანხის გაფლანგვა. შესაბამისად, არსებობს საფრთხე, რომ კიდევ ჩაიდინოს ასეთი ქმედება, – განაცხადა არჩილ კბილაშვილმა. მთავარი პროკურორი მიიჩნევს, რომ პროკურატურის მოთხოვნა აღკვეთის ღონისძიების შესახებ დასაბუთებული და ობიექტური იყო, რადგანაც უგულავას მხრიდან მსგავსი ქმედების ანუ დანაშაულის ჩადენის საფრთხე კიდევ არსებობს.

გუშინდელ პრესკონფერენციაზე მთავარმა პროკურორმა პარალელი გაავლო ყაჩაღისა და მკვლელის დაკავების პროცედურებთან და აღნიშნა, რომ როდესაც ყაჩაღი საყაჩაღოდ მიდის, ნიშნავს, რომ შეიარაღებულია და თუკი იარაღი არ ჩამოართვეს, მსგავსი ქმედების გამეორების საფრთხე არსებობს.

– ეს ადამიანი არჩეული მერია და პროკურატურამ მას პატივი სცა. მეორე საკითხი, რის გამოც მისი დაპატიმრება არ მოვითხოვეთ, ის არის, რომ გიგი უგულავა პოლიტიკური ფიგურაა და ვერ ავცდებოდით იმას, რომ საქმეს პოლიტიკური ელფერი არ მისცემოდა; მესამე საკითხი – ჩვენთვის თვითმიზანი არ არის მერი გისოსებს მიღმა გვყავდეს, – განაცხადა არჩილ კბილაშვილმა და ამით მკვეთრად განსხვავებული პოზიცია დააფიქსირა ნაციონალურ მთავრობასთან მიმართებაში.

წინა ხელისუფლების დროს, როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, არასაპატიმრო ღონისძიება ფაქტობრივად არ გამოიყენებოდა, თუკი ეს მმართველი ელიტის ინტერესებში არ იჯდა. რაც შეეხება მთავარი პროკურატურის მხრიდან სასამართლოს წინაშე უგულავასთან მიმართებაში დაყენებულ შუამდგომლობას, რომლის მიხედვითაც დედაქალაქის ბრალდებულ მერს კვირაში ერთხელ საგამოძიებო ორგანოში მისვლა უნდა დავალებოდა, რაზეც სასამართლომ უარი განაცხადა და დაუსაბუთებლად ჩათვალა, მთავარი პროკურორი ფიქრობს, რომ სასამართლოს ამ გადაწყვეტილებაში ლოგიკა არ არის.

– როდესაც გიგი უგულავას დაკითხვას დიდი ხნის განმავლობაში ვითხოვდით და იგი ამის წინააღმდეგი იყო, სასამართლომ თვითონ დაავალა სამართალდამცველებს უგულავას დაკითხვაზე იძულებით მიყვანა. ახლა კი, როდესაც ჩვენ ვითხოვთ, რომ უგულავა კვირაში ერთხელ გამოცხადდეს საგამოძიებო ორგანოში, სასამართლო ამ მოთხოვნას დაუსაბუთებელს უწოდებს, რაც ასევე არ ექვემდებარება ლოგიკას, – განაცხადა არჩილ კბილაშვილმა.

მთავარი პროკურორის თქმით, პროკურატურა გიგი უგულავასთან მიმართებაში სასამართლოს გადაწყვეტილებას გაასაჩივრებს.

## სოსო ცისკარიშვილი: „ხალხი თავს ვალდებულად მიიჩნევს, პოლიტიკოსებს გაკვეთილები თვითონ ჩაუტაროს“

„ნაციონალური მოძრაობა“ თანამოაზრეთა ნაცვლად თანამზრახველთა ერთობად გადაიქცა.

პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის მიერ დღეს გაკეთებულ მიმართვას, სადაც ის პრეზიდენტს ვადას აძლევს და მოუწოდებს გადაწყვიტოს ამბობს თუ არა უარს კონსტიტუციურ დიქტატურაზე, ასევე, უჭერს თუ არა მხარს პარლამენტის თანხმობის გარეშე მთავრობის შეცვლის აკრძალვას,– ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი „ნიუსპრესთან“ საუბარში აფასებს.

– ბატონო სოსო, პრემიერის ამ განცხადების შემდეგ მოსალოდნელია თუ არა „ნაციონალურ მოძრაობაში“ რღვევის დაწყება?

– „ნაციონალური მოძრაობის“ „ჩაცემენტების“ ნიშანი სახეზეა. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე თუ რა ვალდებულებებით არიან დაკავშირებულნი ესა თუ ის ადამიანები „ნაციონალურ მოძრაობასთან“. თავისუფალი ადამიანი რასაკვირველია უკვე დიდი ხნის წინ აირჩევდა პოზიტიურ ნიშას პოლიტიკაში, თუმცა ფაქტია, რომ ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკურ აქციებში უკვე ისეთი ადამიანებიც ჩაერთნენ, ვინც ადრე ცალსახად არ იყვნენ მმართველ გუნდთან და მათ დანაშაულებებთან ასოცირებულნი. დღეს ასეთი ადამიანებიც კი, ვალდებულებების გამო, აქტიურ პროპაგანდისტებად გამოდიან. შეიძლება ვინმეს სურვილიც ჰქონდეს თავის დაღწევისა, მაგრამ დღეს, თანამოაზრეთა ნაცვლად „ნაციონალური მოძრაობა“ თანამზრახველთა ერთობადაა გადაქცეული. თანამოაზრეს შეიძლება აზრი შეეცვალოს და ეს არავისთვის ტრაგედია არ უნდა იყოს. თანამზრახველს კი უფლება არა აქვს გარკვეული კრიმინალურ-კლანური რეალობიდან გამომდინარე, თავად გადაწყვიტოს რას იზამს.



***– ამ ფონზე, რა კატეგორიის ადამიანები შეიძლება დარჩნენ „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერთა ჯგუფში?***

– უპირველესად ისინი, ვისაც არსად აღარ წაესვლებათ საკუთარი წარსული ქმედებების და იმ დანაშაულების გამო, რომელიც მათ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში ჩაიდინეს. სააკაშვილის მხარდამჭერებს შორის არსებობს კიდევ ერთი – ე.წ. „მიამიტთა“ ჯგუფი, რომელთაც შეიძლება ხელისუფლებაში ყოფნის დროს არავითარი ხეირი არ მიუღიათ, თუმცა პოპულარობა უკურნებელ სენად ექცათ. გაცნობიერება მომავალი არაპოპულარობისა, ასეთი კატეგორიის ადამიანებში, შეიძლება იყოს სერიოზული არგუმენტი ნაციონალებთან თანამშრომლობისა. საერთოდ კი, კიდევ ერთხელ დადგა ჟამი, როდესაც „ნაციონალური მოძრაობის“ აპოლოგეტებმა და ლიდერებმა ანდაზა – „რაც მოგივა დავითაო ყველა შენი თავითაო“ – უნდა გაიაზრონ.

***– თქვენი აზრით, შეიძლება თუ არა რომ პრემიერის ეს მიმართვა პოლიტიკურ ზეწოლად ჩაითვალოს?***

– პოლიტიკური ზეწოლა ადამიანებზე რომლებიც წლების განმავლობაში პოლიტიკური ქვეწოლის პოზაში ნებივრობდნენ, ძნელად წარმოსადგენია. ეს ხალხი შეჩვეულია პოლიტიკურ ზეწოლას ოღონდ თანამზრახველების მხრიდან.

***– მათი გაგებით, ნებისმიერი განსხვავებული აზრის ადამიანის მიერ საკუთარი პოზიციის გამოხატვა მათთვის უკვე ზეწოლაა.***

– გავიზიაროთ იმ ადამიანების მწუხარება, რომლებიც წლების განმავლობაში პოლიტიკური ქვეწოლის პოზაში ნებივრობდნენ და თუ ვინმეს შინაგანი რესურსი დარჩენია, რომ თავისუფალი ქვეყნის თავისუფალი მოქალაქე გახდეს, მაშინ მას ამის პერსპექტივა გააჩნია.

***– შეიძლება თუ არა განვიხილოთ ეს მიმართვა, როგორც კოაბიტაციისკენ გადადგმული ნაბიჯი?***

– ჩემი აზრით, ეს მიმართვა ძალიან მკაფიო და კონკრეტულია, რათა დროულად და საბოლოოდ გადაწყდეს საკითხი და გაირკვეს, რისი სურვილი აქვს მიხეილ სააკაშვილს და არის თუ არა საერთოდ კოაბიტაციის საფუძველი „ნაციონალურ მოძრაობასთან“ და მის ლიდერთან. თუ ეს საკითხი უახლოეს დღეებში არ გადაწყდება და მკაფიო ხედვა არ იქნება წარმოჩინებული, ხალხი მარტის ბოლოსაც დაელოდება და თუ დიქტატორული ჩანაწერი კონსტიტუციიდან არ იქნა ამოღებული, თავს ვალდებულად ჩათვლის, რომ თვითონ ჩაუტაროს გაკვეთილები პოლიტიკოსებს განურჩევლად იმისა, ვის რა პოზიცია უკავია, რადგან ხალხი და მხოლოდ ხალხი არის პოლიტიკური პროცესების განვითარების საფუძველი ქვეყანაში. ეს მათ გასული წლის ოქტომბერში გამოამჟღავნეს და ისინი ზოგიერთი პოლიტიკოსივით საკუთარ შეხედულებებს არ ცვლიან.

ლიკა მეგუთნიშვილი
საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ივანიშვილმა სააკაშვილს ულტიმატუმი წაუყენა

## გარისკავს თუ არა პრეზიდენტი მთავრობის დათხოვნას

შორენა მარსაგიშვილი

გუშინ საქართველოში პოლიტიკური სიტუაცია ისევ დაიძაბა. საეჭვოდ ყელმოღერებულ ნაციონალებს ბიძინა ივანიშვილმა ულტიმატუმი წაუყენა. მეოცნებეები კონსტიტუციაში ცვლილების შეტანას აპირებენ. რომლის მიხედვითაც პრეზიდენტი ვეღარ შეძლებს მთავრობის დათხოვნას და პარლამენტის გარეშე ახლის დაკომპლექტებას.

სააკაშვილმა რამდენჯერმე თქვა: ამას როგორ ვიკადრებო. სიტყვაზე მას აღარავინ ენდობა, მათ შორის არც ივანიშვილი. მითუმეტეს ახლა, როცა ნაცმოძმა 19 აპრილის აქცია დაანონსა. გავრცელებული ინფორმაციით იმ პერიოდისთვის სააკაშვილი მთავრობის დაწიოკებას და ზედ პარლამენტის მიყოლებას აპირებს.

ბოლო თვეების მანძილზე ივანიშვილი ერს სიმშვიდისკენ მოუწოდებდა. თავადაც მშვიდად უყურებდა ნაციონალურ ანცობას. ბოლოს თვითონაც შაღონდა და პრეზიდენტს მიმართა. „ახალი თაობა" პრემიერის მიმართვის ტექსტს სრულად გთავაზობთ.

— ხელისუფლების საკითხი ქვეყანაში გადაწყვეტილია და ამიტომ არ მოგმართავთ როგორც პოლიტიკურ მოწინააღმდეგეს, რომელთანაც რაიმე დამრჩა გასარკვევი. თქვენს პოლიტიკურ გუნდსა და საზოგადოებას შორის ვხედავ სულ უფრო მზარდ უფსკრულს, რომელიც სრული მარგინალიზაციისკენ მიაქანებს ამ გუნდის ღირებულ წევრებსაც კი, და ამიტომ მოგმართავთ.

კიდევ იმიტომ მოგმართავთ, რომ არ ვთვლი ქვეყნისთვის სასურველ მოვლენად თქვენს გუნდთან ერთად განვლილი 9 წლის სრულ დისკრედიტაციას. ხელისუფლება თავისი ხალხის წინაშეა პასუხისმგებელი, ხოლო ხალხი თავის ხელისუფლებაზეა პასუხისმგებელი. ამიტომ ვცდილობ, ყველაფერს და ყველას არ გადაესვას ხაზი, ყველაფერს და ყველას არ მოეცხოს ლაქა, მათ შორის, ქართველი ხალხის თავმოყვარეობას და ღირსებას.

ამიტომ მინდა, რომ როგორმე ღირსეული გამოსავალი ვიპოვოთ, ზედმეტი დანაკარგების გარეშე გავუმკლავდეთ წარსულს და მთელი ენერგია მომავალს მოვახმაროთ. ამიტომ ვწვალობ ამდენს და ვცდილობ დაგანახოთ გამოსავალი, რომელიც გახსნიდა გზას ყველა სხვა პრობლემის ცივილიზებულად მოგვარებისკენ.

ამიტომ შემოგთავაზეთ დეკემბრის ბოლოს ისეთი საკონსტიტუციო ინიციატივა, რომელზე დათანხმებაც თქვენთვის ყველაზე მარტივი იყო (შეგეძლოთ „პიარქულებიც" კი იქით ჩაგეწერათ). საპარლამენტო უმრავლესობამაც სწორედ ამიტომ გადაწყვიტა თქვენი პარლამენტში გამოსვლის გადავადება - არ გვინდოდა ის დღე გამხდარიყო წყალგამყოფი. ამიტომ წამოვედით მოლაპარაკებებზეც და ინიციატივის ხელში აღებაც კი შემოგთავაზეთ კონსტიტუციის 2010 წლის მოდელის ნაწილობრივ ამოქმედების ფორმულით. ამიტომ ვთანხმდებოდი ამინისტიის ისეთ ვარიანტსაც კი, რომლის ახსნა ძალიან გამიჭირდებოდა საზოგადოებისთვის.

მაგრამ თქვენ ყველაფერი გააკეთეთ იმისათვის, რომ ცივილიზებულ, სათანამშრომლო ვითარებაში არ გადასულიყო პროცესი. ამის მიზეზი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს - თქვენს გუნდს თქვენ გარშემო მხოლოდ თქვენ მიერვე გაზვიადებული საფრთხის განცდით აკავებთ და აშანტაჟებთ. თქვენი ამოცანაა, თქვენი გუნდის ცალკეული წევრების დანაშაულზე მთელ გუნდს აალებინოთ პასუხისმგებლობა და ამით „შეადუღაბოთ" თქვენი რიგები.

მაგრამ ყველაფერს აქვს დასასრული. ჩვენ მიერ ინიცირებული კონსტიტუციური ცვლილება პარლამენტში მარტის ბოლომდე დადგება კენჭისყრაზე. ეს კენჭისყრა კი უკვე ნამდვილად იქნება წყალგამყოფი. გნებავთ ულტიმატუმად მონათლეთ ჩემი სიტყვები და გნებავთ პოლიტიკურ დიდსულოვნებად, მაგრამ სრულიად ცალსახად ვაცხადებ - ვინც ეთანხმება ამ ცვლილებას, იგი აგრძელებს ქვეყნისთვის სამსახურს, ეძლევა შეცდომების გამოსწორების და უკეთესი პოლიტიკური მომავლის შანსი; ვინც უარს ამბობს ამ ცვლილებაზე, იგი იღებს სრულ პოლიტიკურ პასუხისმგებლობას ყველაფერზე, რაც 9 წლის განმავლობაში ნებისმიერ თქვენს თანაგუნდელს ჩაუდენია და ამ ტვირთით აგრძელებს ცხოვრებას.

მე კარგად მესმის, რასაც ვამბობ. საკითხი ამგვარად მმართველი კოალიციის შიგნითაც კი არასოდეს დამიყენებია და არ გამომიცხადებია ე.წ. სავალდებულო კენჭისყრა. მაგრამ ახლა საქმე რომელიმე „საკითხს" არ ეხება. კონსტიტუციური ცვლილებები ეპოქალურ თემას დაუკავშირდა: წინ – მომავლისკენ, თუ უკან – წარსულისკენ. ამიტომ ვერ მივიღებ ვერანაირ „კი, მაგრამ"-ს და „დღეს არა, ხვალ"-ს.

რა ელით მათ, ვინც წარსულს აირჩევს? განსაკუთრებული არაფერი, გარდა საზოგადოების სათანადო შეფასებისა. რა ელით მათ, ვინც მომავალს აირჩევს? ასევე განსაკუთრებული არაფერი, გარდა საზოგადოების სათანადო დაფასებისა.

პირადად მე, სანამ პოლიტიკაში ვარ, მაქსიმალურად შევიკავებ თავს საკუთარი შეფასებებისგან, მაგრამ როდესაც კვლავ საზოგადოების რიგითი წევრი გავხდები (არცთუ შორეულ მომავალში), ყველაფერს ვიღონებ იმისათვის, რომ საზოგადოებას არც ვინმეს შეფასება გადაავიწყდეს და არც დაფასება.



რაც შეეხება კანონს, იგი ყველასთვის კანონად დარჩება: თქვენგან განთავისუფლებული სასამართლო უდანაშაულოს თავისუფლების გარანტიას მისცემს, ხოლო დამნაშავეს - სასჯელის.

პირადად თქვენც გთავაზობთ ბოლო წინადადებას. უახლოეს 2-3 დღეში მკაფიოდ და ცალსახად განაცხადეთ, უარს ამბობთ თუ არა კონსტიტუციურ დიქტატურაზე და უჭერთ თუ არა მხარს პარლამენტის თანხმობის გარეშე მთავრობის შეცვლის აკრძალვას. თქვენი წინმსწრები მკაფიო პასუხი კი იმიტომ არის საჭირო, რომ პოსტფაქტუმ არ დაიწყოთ ლაპარაკი იმაზე, რომ თქვენც მხარს უჭერდით ამ ცვლილებას, ისევე, როგორც დღეს ამტკიცებთ, თითქოს პრემიერის სავარძელში გადაჯდომაზე არც არასოდეს გიოცნებიათ, — ნათქვამია პრემიერის მიმართვაში.

მის მიმართვას ყურადღებით გაეცნო ნაციონალური მოძრაობა და თავი გაინერვიულა. განსაკუთრებით აღშფოთებული დეპუტატი ნუგზარ წიკლაური იყო. მისი განცხადებით სააკაშვილმა შესაძლოა მთავრობა დაითხოვოს.

— პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ის არ გამოიყენებს იმ კონსტიტუციურ შესაძლებლობებს და უფლებამოსილებას, რომელიც გააჩნია. იგი გულისხმობს მთავრობის დაშლას, პარლამენტის დათხოვნას. ეს არცერთ შემთხვევაში არ მოხდება, თუ პოლიტიკური თანაცხოვრება მშვიდობიანად წარიმართება და ქვეყნის სტრატეგიული საგარეო პოლიტიკური კურსიდან გადახვევა არ მოხდება, მაგრამ თუ რამდენიმე თვის შემდეგ ბიძინა ივანიშვილის მთავრობა გადაწყვეტს, საქართველო რუსეთის ნაწილად აქციოს, თუ გადაწყვეტს, რომ ჩვენ უნდა შევიდეთ დსთ-ში ან ევრაზიულ კავშირში, ან ნებისმიერ სხვა პოსტსაბჭოთა გაერთიანებაში, სადაც დომინანტური როლი რუსეთს ექნება, ამ გადასახედიდან, პრეზიდენტის გადაწყვეტილების პროგნოზირება შეუძლებელია. ეს იქნება ქვეყნის ინტერესების პირდაპირი ღალატი და სრულიად სხვა შემთხვევაა, მაგრამ პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ან ჩვენი პოლიტიკური ძალისათვის რაიმე სახის პოლიტიკური დივიდენდების მისაღწევად ასეთი ნაბიჯის გადადგმა არ იგეგმება და პრეზიდენტმა ამის შესახებ არაერთხელ სრულიად მკაფიოდ და ღიად განაცხადა, — განაცხადა ნუგზარ წიკლაურმა.

პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი პრემიერის განცხადებაში განსაკუთრებულს ვერაფერს ხედავს.

— მკითხველის ნებაა, ამ განცხადებაში წაიკითხოს სიტყვა „ულტიმატუმი" და არის მეორეც - სრულად წაიკითხოს განცხადება და დაინახოს, რომ ეს არის ივანიშვილის დაუღალავი მცდელობა, მშვიდობიანად, წყნარად, მშვიდად მოახერხოს ყველაფრის მოგვარება. ბიძინა ივანიშვილმა, როგორც ეკადრება ქვეყნის პასუხისმგებლიან მმართველს, გააკეთა ძალიან მკაფიო განცხადება, რომ დამთავრდა განსჯის, განხილვის, აწონ-დაწონვის დრო და საჭიროა გადაწყვეტილებების მიღება. ამას გნებავთ ულტიმატუმი უწოდეთ, გნებავთ დიდსულოვნება. მან იცოდა, რომ იქნებოდა ხალხი, მსურველები, რომლებიც ასე წაიკითხავდნენ მის განცხადებას, შესაბამისად მისაღებია გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილებების მიღებაში კი, ყველა თავისუფალია. ბიძინა ივანიშვილმა ძალიან პირდაპირ, არაორაზროვნად თქვა, რომ ეს არის საკითხი, რომ ელზეც ცხრამეტი, ან ორი აზრი არ უნდა არსებობდეს, — განუცხადა ჟურნალისტებს უსუფაშვილმა.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ მეოცნებეებს უკვე მოგროვილი ჰყავთ საკონსტიტუციო უმრავლესობა. პოლიტიკურ ჟრიამულს აპრილის თვეში ელოდნენ, მაგრამ წინ ისეთი მარტი გველოდება, აპრილი არავის გაახსენდება.

# გულიკო გამცემლიძე: „ჩემი შვილის მკვლელებთან კოჰაბიტაციას არ ვაპირებ"

## რას ურჩევს სააკაშვილს პატრულის მიერ მოკლული გიორგი გამცემლიძის დედა

შორენა მარსაგიშვილი

**ბოლო 9 წლის მანძილზე საქართველოში ბევრი გახმაურებული მკვლელობა მოხდა, რომელთა გამოძიება წინა ხელისუფლებამ არ ისურვა. მათი ოჯახის წევრები ახლა ცდილობენ სამართლის პოვნას. ამ ადამიანებს მთელი საქართველო გულშემატკივრობს.**



2008 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ თბილისში კიდევ ერთი მკვლელობა მოხდა. 2008 წლის 8 მაისს, რუსთაველის მეტროს მიმდებარედ, „მაკდონალდსის" ტერიტორიაზე 31 წლის გიორგი გამცემლიძე პატრულმა ვახტანგ აბუაშვილმა მოკლა. ოფიციალური ვერსიით, გამცემლიძე შეიარაღებული იყო და პოლიციის ბრძანებას არ დაემორჩილა. მაშინ იარაღიც კი „ამოიღეს". ექსპერტიზამ დაასკვნა, რომ ამ იარაღზე გამცემლიძის თითის ანაბეჭდები არ იყო. შესაბამისად, ის მისი იარაღი ვერც იქნებოდა. პატრულის თანამშრომელი მალე გაათავისუფლეს.

გამცემლიძეებმა სამართლის საპოვნელად სტრასბურის სასამართლოსაც მიმართეს. როგორც გიორგის დედა გულიკო გამცემლიძე ამბობს, მათ არ სურდათ საქართველოს წინააღმდეგ შეეტანათ სარჩელი, მაგრამ წინა ხელისუფლებამ სხვა გზა მათ არ დაუტოვა.

ხელისუფლების შეცვლის შემდეგ გამცემლიძეებსაც გაუჩნდათ იმედი. მათ უკვე შეიტანეს პროკურატურაში განცხადება. სჯერათ, რომ სამართალს საქართველოში იპოვიან. სასამართლოს ბოლოდროინდელმა ქმედებებმა გულიკო გამცემლიძე ცოტათი შეაშინა. ამის მიუხედავად, ბრძოლას აგრძელებს.

რა ახალი გარემოებებია გიორგი გამცემლიძის საქმეში, რა უთხრა შვილმკვდარ დედას დავით საყვარელიძემ, რატომ დააგვიანეს პროკურატურაში განცხადების შეტანა, ამ თემებზე გულიკო გამცემლიძე „ახალ თაობას" ესაუბრება.

**გულიკო გამცემლიძე:**

– 19 ნოემბერს შევიტანე არჩილ კბილაშვილის სახელზე განცხადება პროკურატურაში. მაქვს ახალი გარემოებები, რომელთა გაზიარებაც არ მოხდა წინა სასამართლო პროცესებზე. იმ მთავრობის ხელში რა აზრი ჰქონდა საქმის ხელახალ გამოძიებას. ახლა გაჩნდა იმედი, რომ ყველაფრის გამოძიება მოხდება. ეს ახალი გარემოებები სტარასბურის სასამართლოშიც არის გადაგზავნილი. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ გადამიგზავნა.

***– რა ახალი გარემოებაა აღმოჩენილი?***

– ჩანაწერი მაქვს, რომელიც საქმის ვითარებას ძირფესვიანად ცვლის. ჩემი შვილის მკვლელობას განზრახ მკვლელობის მუხლის კვალიფიკაცია შეიძლება მიეცეს. ამ ჩანაწერით დგინდება, რომ პოლიციელი, რომელმაც გიორგი მოკლა, ჩემს შვილს იცნობდა. იმედი მაქვს, რომ ყველაფერი კარგად იქნება. სასამართლოს განაჩენებს რომ ვუყურებ, ცოტათი გამიცრუვდა იმედი.

***– თუ დაიწყო უკვე საქმის ხელახალი გამოძიება და ენდობით თუ არა საქმის გამომძიებელს?***

– რამდენიმე დღის წინ დავრეკე პროკურატურის კანცელარიაში, ვიკითხე თუ ვის გადასცეს ჩემი საქმე. მითხრეს, რომ საქმე გადაცემული აქვს საგამოძიებო დეპარტამენტის ერთ-ერთ გამომძიებელს. გვარსა და სახელს ამ ეტაპზე არ დავასახელებ. შესაძლოა მასთან დაკავშირებით ვცდებოდე და არ მინდა ადამიანზე ტყუილი დავწერო.

***– რამე გაიგეთ ამ გამომძიებელზე?***

– როცა გავიგე გამომძიებლის ვინაობა, დავიწყე მასზე ინფორმაციის მოპოვება. შევედი ინტერნეტში და გავარკვიე ვინ არის ეს კაცი. პროკურატურაში ძველი კადრებია და შეშინებული ვიყავი, ამ ფრთის წარმომადგენელი არ ყოფილიყო. აღმოჩნდა, რომ ეს პიროვნება 2007 წელს მუშაობდა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის საპარლამენტო მდივნის სამსახურის კანონშემოქმედებით და სამართლებრივი ექსპერტიზის სამმართველოს კონსულტანტად. მეორე შემთხვევაში, ნინო გვენეტაძის საქმეზე ის იყო ნიკა გვარამიას წარმომადგენელი. დიდი იმედი მაქვს, რომ ეს პიროვნება ის არ არის. დილემის წინაშე ვდგავარ, გამოვიტანო თუ არა სარჩელი უკან. თუ გამოვიტან, სალაპარაკო გახდება, ახალ მთავრობას უნდობლობას უცხადებსო. ეს ასე არაა, მაგრამ ძალიან ვარ შეწუხებული. ძველ გამომძიებლებს მართლაც არ ვენდობი. იმათ კარგადაც რომ გამოიძიონ საქმე, სასამართლო არ გამოიტანს სამართლიან განაჩენს. ვხედავთ, რა განაჩენიც გამოაქვს დღევანდელ სასამართლოს.

***– თქვენი საქმე გაგზავნილია სტარსბურში. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ბევრმა უკან გამოითხოვა თავისი საქმეები. თქვენი ოჯახი რას აპირებს?***

– ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება არა მაქვს მიღებული. ჩემს საქმეს ასე აწერია - გამცემლიძე საქართველოს წინააღმდეგ. მე არანაირი სურვილი არა მაქვს საქართველოს წინააღმდეგ გამოვიდე. თანაც საქართველოსთვის არასდროს მიჩივლია. საქართველოსთან მაშინ ის ხელისუფლება მყავდა გაიგივებული. მინდოდა სამართალი ადგილზე მეპოვა. თანახმა ვიყავი საქმე გამომეტანა. ამჯერად თავს შევიკავებ, არ მინდა მარტო ამ სასამართლოს იმედზე ვიყო.

***– როგორ ფიქრობთ, წინა ხელისუფლებამ რატომ არ გამოიძია ეს საქმეები? რატომ არ დასაჯა დამნაშავეები? ამით ხომ ხალხის პროტესტს გაანელებდნენ. ამ მკვლელობებმა საყოველთაო მღელვარება გამოიწვია.***

– რატომ? ამ კითხვას სააკაშვილმა თავად გასცა თავის გამოსვლაში პასუხი. როგორც სააკაშვილი ამბობს, მათ წარმატებული რეფორმა ჩაატარეს პოლიციაში. არადა, მარტო თმის მოკლედ შეჭრა და ფორმის გამოცვლა არ არის რეფორმირებული პოლიცია. ის ადამიანები არ იყვნენ მზად ამ საქმისთვის. 4 თვეში გაკეთებული პოლიცია საქმეს თავს ვერ გაართმევდა. არ უნდოდათ იმის აღიარება, რომ პატრული შეცდომას უშვებდა. ეგენი ხომ იმით ამაყობდნენ, პოსტსაბჭოთა სივრცეში ყველაზე კარგი პოლიცია გვყავსო. დამნაშავე პატრულის დასჯა კი ამ მითს დაანგრევდა. ჩემი შვილის შემთხვევაში მხოლოდ ერთი პოლიციელი იყო დასასჯელი. თავიდან გაჩერდნენ, ფიქრობდნენ, ელიარებინათ თუ არა მისი დანაშაული. მკვლელობა 8 მაისს მოხდა. 21 მაისს კი საპარლამენტო არჩევნები ტარდებოდა. მოიგეს არჩევნები და გააკეთეს ისე, როგორც მანამდე აკეთებდნენ. მერე ომიც დაიწყო და როგორც კუკარაჩაშია - ინგა აღარავის გახსენებიაო - აღარავის გახსენებია ჩემი გიორგიც. დღეს სააკაშვილი უკვე აღიარებს, რომ მოუმზადებელი პატრული ჰყავდა. დღეს უკვე გვიანია, თავის დროზე უნდა ეფიქრათ ამაზე. სანამ სააკაშვილი არ მივა ირინა ენუქიძის საფლავზე, მუხლებზე არ დადგება, არაფერი გამოუვა. არც მაშინ ეპატიება.

***– და მაინც, ქალბატონო გულიკო, როგორ ფიქრობთ, იპოვით სამართალს?***

– ამ 22 წლის განმავლობაში ბევრჯერ შეიცვალა ხელისუფლება საქართველოში, 22 წელია სულ მიტინგებზე დავდივართ. არ მინდა, რომ კიდევ ერთხელ შევცდე. მეშინია ოპოზიციაში გადასვლის. ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ ახლა მაინც ვიპოვი სამართალს. განსაკუთრებული იმედი მაქვს თეა წულუკიანის, ძალიან ძლიერი და პრინციპული გოგოა. ახალი გარემოებები ბევრ რამეს შეცვლის ამ საქმეში. მე და ჩემი მეუღლე სააკაშვილის წინააღმდეგ გამართულ აქციებზე ხშირად დავდიოდით. ჩემს მეუღლეს აქციებზე ყოველთვის ეჭირა პლაკატი წარწერით: „შენ მეისპე მიშია". ეს პლაკატი ჩემი ხელით დავწერე. ეს პლაკატი 2007 წლის ნოემბრის აქციებზე ეკავა ჩემს მეუღლეს. მიმაჩნია, რომ რაც გიორგის შეემთხვა რამდენიმე თვეში, ეს ანგარიშსწორება იყო. ბევრი ეჭვები არსებობს. მას სამსახურში ჩვენი პოლიტიკური აქტივობის გამო რაღაც პრობლემები შეექმნა. ჩემი შვილი აპოლიტიკური და მხიარული ადამიანი იყო. 3 შვილი დარჩა.

***– ნაციონალები ამნისტიას ითხოვენ. დასავლეთი კი კოჰაბიტაციისკენ მოგვიწოდებს. ამაზე რას უპასუხებთ შვილმოკლული დედა. ასეთი იოლია პატიება?***

– ქართველებმა სხვანაირი დედა-შვილობა ვიცით. ჩვენ ემოციებზე აწყობილი ხალხი ვართ. აქ კოჰაბიტაცია ეგრე ადვილად არ შედგება. პირადად მე არ ვაპატიებ. ჩემი შვილის მკვლელთან როგორ წავიდე კოჰაბიტაციაზე. ნათქვამია, ღმერთს არ ეჩქარებაო, მაგრამ მე მეჩქარება სამართლის პოვნა. ვერაფრით ვერ ვაპატიებ. სიმართლეს აუცილებლად დავადგენ. ხელთ ძალიან სერიოზული მასალები მაქვს. დავადგენ, რომ პოლიციელი იცნობდა ჩემს შვილს. ის ჩასაფრებულივით იყო. ძალიან მოკლე პერიოდში მან გიორგის 3-4 ჯარიმა გამოუწერა. სანამ საქმე სააპელაციო სასამართლოში გადაიგზავნებოდა, გავიგე, რომ მკვლელი დარბაზიდან უნდა გაეშვათ. ამასთან ხელთ მქონდა ახალი გარემოებები. ზურაბ ადეიშვილის სახელზე შევიტანე განცხადება და მიღება ვთხოვე. მისგან პასუხიც კი არ მიმიღია. საქმე გადააწერეს თინა ბურჯალიანს. არც იმან მიმიღო და დავით საყვარელიძეს გადააწერეს. მან მიმიღო. ვუთხარი, რა ინფორმაციაც მქონდა და ჩემ მიერ აღმოჩენილ ახალ გარემოებებზეც ვესაუბრე. მითხრა, ნუ ნერვიულობთ, თქვენი შვილის მკვლელს 2 წელზე ნაკლებს არ მიუსჯიანო.

# „სააკაშვილმა დააბრუნოს ის, რაც ცხრა წელია, მიტაცებული აქვს“

ნათია ხურცილავა

**ლევან ბერძენიშვილი ფიქრობს, რომ მარტი ბევრად უფრო საინტერესო იქნება, ვიდრე შორეული აპრილი. ამის თქმის საფუძველს დეპუტატს მარტის ბოლოს დაგეგმილი საკონსტიტუციო ცვლილებები აძლევს. ბერძენიშვილის განცხადებით, პარლამენტი საკონსტიტუციო ცვლილებებს განახორციელებს და ამაში მონაწილეობას საპარლამენტო უმცირესობაც მიიღებს. ის არ გამორიცხავს, რომ შეიძლება, საკონსტიტუციო ცვლილებებს ხმა მთელმა უმცირესობამ მისცეს, თუმცა, ამ საკითხს მოლაპარაკების საგნად მიიჩნევს.**

საპარლამენტო უმრავლესობის წევრ ლევან ბერძენიშვილს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე გამოქვეყნებული განცხადება ულტიმატუმად არ მიაჩნია.

ბერძენიშვილი არ მიიჩნევს ულტიმატუმად იმას, რომ კაცს შესთავაზო იმ უფლების დაბრუნება, რომელიც ცხრა წელია, მითვისებული აქვს.

„პრაიმ-ტაიმის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე ლევან ბერძენიშვილმა ბიძინა ივანიშვილის მიერ პრეზიდენტისადმი მიმართვის კომენტირებისას განაცხადა, რომ 2004 წლის 6 თებერვლიდან შეურაცხყოფილი დადის მთელი საქართველო, ისეთი კონსტიტუცია აქვს.

საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლის განცხადებით, პრეზიდენტს დრო ჰქონდა, გამოეხატა თავისი დამოკიდებულება კონსტიტუციისადმი.

— მსოფლიოში არავინ არ არის, ვინც მოიწონებდა საქართველოს პრეზიდენტის უფლებას, ერთპიროვნულად დაითხოვოს მთავრობა. იმ განცხადების შემდეგ, რომლებიც გუშინ გააკეთა, რომ თითქოსდა რუსეთმა არჩევნები დააფინანსა და არჩევნებში გაამარჯვებინა „ქართულ ოცნებას“, ამით ისეთი შეურაცხყოფა მიაყენა ქართველ ხალხს, რომ ძალიან მიკვირს, როგორ შეუძლია, იყოს იმ ხალხის პრეზიდენტი, რომლებიც რუსეთის მიერ ნაყიდი ჰგონია. პრეზიდენტის განცხადება ძალიან შეურაცხმყოფელი იყო, — განაცხადა ლევან ბერძენიშვილმა.

ლევან ბერძენიშვილი ფიქრობს, რომ პრეზიდენტს ესეც უნდა ვაპატიოთ, რადგან „წარმავალი კაცია“.



პარლამენტის წევრმა აღნიშნულზე პრემიერის იმ განცხადების კომენტირებისას ისაუბრა, რომელშიც ივანიშვილი პრეზიდენტს სთხოვს, საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით საკუთარი აზრი სამი დღის ვადაში დააფიქსიროს.

— ულტიმატუმად არ მიმაჩნია, კაცს შესთავაზო, დააბრუნოს ის, რაც ცხრა წელია მიტაცებული აქვს. 2004 წლის 6 თებერვლიდან მთელი საქართველო შეურაცხყოფილი დადის, ისეთი კონსტიტუცია გვაქვს. საქართველოს პრეზიდენტს საკმარისზე მეტი დრო ჰქონდა, თავისი დამოკიდებულება გამოეხატა იმ კონსტიტუციისადმი, რომელზეც ამბობს, ამ უფლებით მე არ ვისარგებლებ, მე ეს უფლება არ მაინტერესებსო. ეს ეფემერული უფლებაა. პრეზიდენტის გაძლიერებული უფლების წინააღმდეგ იბრძოდნენ არა მხოლოდ გიგა ბოკერია, დავით დარჩიაშვილი, თინა ხიდაშელი, „რესპუბლიკური პარტია“, სხვა უამრავი არასამთავრობო ორგანიზაცია, არამედ მსოფლიოში არ არსებობს ადამიანი და ორგანიზაცია, რომელმაც მოიწონა პრეზიდენტის უფლება, ერთპიროვნულად დანიშნოს მთავრობა, ამიტომ ეს სიმახინჯე აუცილებლად უნდა გამოსწორდეს. ამიტომ ვამბობ, რომ ეს არ მიმაჩნია ულტიმატუმად. მე ვფიქრობ, ძალიან გაიწელა. საქართველოს პრემიერ-მინისტრის წერილში მნიშვნელოვანი არის ის, რომ ან პრეზიდენტთან და უმცირესობასთან ერთად ვიღებთ ამ გადაწყვეტილებას, რაც სწორია, ან ამ გადაწყვეტილებას ვიღებთ მათგან დამოუკიდებლად, რაც ასევე სწორია. საქართველოს კონსტიტუციაში ეს სიმახინჯე უნდა გამოსწორდეს, — აღნიშნა ბერძენიშვილმა.

კოალიცია „ქართული ოცნების“ წარმომადგენლის განცხადებით, არ არის სწორი მოსაზრება, თითქოს „ქართული ოცნება“ პრეზიდენტისთვის მთავრობის დათხოვნის უფლების ჩამორთმევისთვის იბრძვის.

როგორც დეპუტატმა აღნიშნა, სინამდვილეში საუბარია მთავრობის ერთპიროვნულად დაკომპლექტების უფლებამოსილების შეზღუდვაზე.

— პრეზიდენტს უნდა ჰქონდეს უფლება, მთავრობა დაითხოვოს. ეს არ არის პრობლემა, ამაზე არავინ ედავება მათ. სხვა რამეზეა დავა. თუ მიდიხარ იმაზე, რომ მთავრობა დაითხოვო, მაგრამ არჩევნების მოგების შანსი არ გაქვს, მაშინ სათანადოდაც უნდა მოიქცე. პრეზიდენტმა, ოპოზიციაში ვარო, გვითხრა. ამ განცხადების შემდეგ მას არც უნდა ჰქონდეს არანაირი ილუზია, რომ ვინმე ახალ მთავრობას ჩამოაყალიბებინებს. ასე რომ იყოს, ჩვენც ვიყავით ოპოზიციაში, მაგრამ ვინ გვაყალიბებინებდა მთავრობას. სად გაგონილა, ოპოზიცია მთავრობას აკომპლექტებდეს? თუ ასე არ უნდოდა, შესანიშნავი შესაძლებლობა ჰქონდა, „ნაციონალური მოძრაობიდან“ გასულიყო და ქართველი ხალხის პრეზიდენტად დარჩენილიყო. უნდა ეთქვა, რომ ის უმრავლესობის პრეზიდენტია. დღეს გვეუბნება, გიგი უგულავას პრეზიდენტი ვარო. ასეთი არასერიოზული მიდგომის შემდეგ კიდევ უფრო გამძაფრდა ამ კანონპროექტის არსი. კონსტიტუციაში შეიძლება კიდევ ბევრი ცვლილება შევიდეს, რადგან ის შორსაა სრულყოფილებისგან. ამიტომ იქმნება საკონსტიტუციო საბჭო, — აცხადებს ბერძენიშვილი.

ბერძენიშვილის თქმით, მოლაპარაკებების დროს ხელისუფლება და ოპოზიცია ამნისტიის საკითხზე ვერ შეთანხმდნენ.

— ჩვენი იდეაა საშუალო და დაბალი რგოლების ამნისტია. ისინი კი მოითხოვენ, რომ არაფერი გამოვიძიოთ და ყველასთვის უპირობო ამნისტია გამოვაცხადოთ. ამას ამნისტია კი არა, ამნეზია ჰქვია. ამნისტია არ უარყოფს, რომ ადამიანი შეიძლება დამნაშავე იყოს და ეპატიოს. კანონპროექტი მომზადებულია და, თუ ამ კანონპროექტზე დაიწყება საუბარი, ჩვენ მზად ვართ, კომპრომისებიც განვიხილოთ, — განაცხადა ბერძენიშვილმა.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ლევან ბერძენიშვილი მიიჩნევს, რომ დღეს საქართველოში პარტიული სასამართლოა.

დედაქალაქის მერს გიგი უგულავას სასამართლო პროცესზე აღკვეთის ღონისძიების არც ერთი სახე არ შეეფარდა.

— კარგია, რომ მცირდება გამამტყუნებელი განაჩენების რიცხვი და იზრდება გამამართლებელი განაჩენების რაოდენობა. ეს თავისთავად კარგი მოვლენაა, მაგრამ სიმართლე ისაა, რომ ადრეც და ახლაც სასამართლო ემორჩილება არა მთავრობას, არამედ — პარტია „ნაციონალურ მოძრაობს“ ანუ პარტიული სასამართლოა. მე რომ დამიჭირონ, ძალიან კარგად ვიცი, რა განაჩენი იქნება გამოტანილი. ამის გამოცდილება მაქვს, — აღნიშნა დეპუტატმა.

ბერძენიშვილის თქმით, უგულავა და მისი მომხრეები აცხადებენ, რომ დედაქალაქის მერს დანაშაული არ ჩაუდენია, რადგან ეს თანხები სახლში არ წაუღია, თუმცა, ბერძენიშვილი ფიქრობს, რომ უკეთესი იქნებოდა, უგულავას ის 20 მილიონი სახლში წაეღო, რადგან ამ შემთხვევაში ქვეყანა დაკარგავდა მილიონებს, თუმცა, შეინარჩუნებდა მრავალი ათასი ადამიანის ხმას, რომელსაც არჩევანის უფლება წაართვეს.

— ადამიანებს წაართვეს უმთავრესი უფლება, თავიანთი ხმა მისცეს იმას, ვისაც უნდა. როდესაც ამ უფლებას ართმევ ადამიანს, ეს ყველაზე მძიმე დანაშაულია, — ამბობს „რესპუბლიკური პარტიის“ წარმომადგენელი.

უმრავლესობის წევრი მიიჩნევს, რომ მოსამართლის გადაწყვეტილება უგულავასთვის აღკვეთის ღონისძიების არც ერთი სახის შეფარდებასთან დაკავშირებით პოლიტიკურად სწორი იყო.

— მოსამართლეს რომ რაიმე ტიპის გირაო, თუნდაც 1 ლარი შეეფარდებინა, ეს ნიშნავს, რომ ის უგულავას ქმედებაში დანაშაულის ნიშნებს ხედავს. ჩემი პირადი აზრია, რომ ეს დანაშაული დაუსჯელი ვერ დარჩება, ვინაიდან არსებობს ასობით მოწმე, რომელიც ამბობს, რომ არ მუშაობდა და ხელფასს იღებდა. ეს დანაშაული დაუსჯელი ვერ დარჩება. რაც შეეხება გიგი უგულავას, არ მაქვს განსაკუთრებული შურისძიების გრძნობა მაინცდამაინც მის მიმართ. მომხრე არ ვარ, რომ კანონის მთელი სიმკაცრით დაისაჯოს, მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას. თბილისის მერია აღმოჩნდა არა მხოლოდ კორუფციის, არამედ პოლიტიკური კორუფციის ბუდეც, რაც ვიცოდით დიდი ხნის მანძილზე, — აღნიშნა ლევან ბერძენიშვილმა.

# ზურაბ ჭიაბერაშვილი: „ივანიშვილის განცხადება ქვეყანას აზიანებს“

ნათია ხურცილავა

**პრეზიდენტის რწმუნებული კახეთში ზურაბ ჭიაბერაშვილი პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის ღია წერილს ულტიმატუმის ენას უწოდებს. ჭიაბერაშვილი მიიჩნევს, რომ ულტიმატუმის ენა, რომელიც პრემიერ-მინისტრის პრეზიდენტისადმი გუშინდელ მიმართვაშია გამოყენებული, ქვეყანას აზიანებს.**

— არჩევნების შემდეგ პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გამარჯვებულ ძალას მისცა საშუალება, მთავრობა ჩამოეყალიბებინა და შეესრულებინა ის დაპირებები, რომლებსაც ამომრჩეველს წინასაარჩევნოდ აძლევდა. არ არსებობს რაიმე ფაქტი, რომლის თანახმად, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ხელისუფლებას დაპირებების შესრულებაში ხელი შეუშალა. საერთოდ არ ჩავრეულვართ, როგორი იქნებოდა, მაგალითად, ბენზინის ფასი, რომლის ერთი ლარით დაკლებას გვპირდებოდნენ. დღეს „ქართული ოცნება“ პოლიტიკური ზეწოლით ცდილობს, გადაფაროს ის ფაქტი, რომ დაპირებებს ვერ ასრულებს, — აღნიშნა ჭიაბერაშვილმა.

ზურაბ ჭიაბერაშვილის განცხადებით, ოპოზიციას სჭირდება გარანტიები, რომ საქართველო არასოდეს დაუბრუნდება საბჭოთა კავშირის რაიმე ნაირსახეობას.

გუბერნატორი მიიჩნევს, რომ „ქართულ ოცნებას“ კონსტიტუციაში ამ ტიპის ჩანაწერის გაკეთება უჭირს და სიტუაციის იმგვარად წარმოჩენას ცდილობს, თითქოს მოლაპარაკებების ჩაშლის მიზეზი საკონსტიტუციო ცვლილებებზე „ნაციონალური მოძრაობის“ უარია.

პრეზიდენტის რწმუნებულმა დედაქალაქის მერის სასამართლო პროცესთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა.

ზურაბ ჭიაბერაშვილის განცხადებით, სასამართლოს გიგი უგულავასთვის პროკურატურის მიერ მოთხოვნილი გირაო რომ შეეფარდებინა, დედაქალაქის მერს ციხეში ჩაჯდომა მოუწევდა, რადგან მას ასეთი თანხა არ გააჩნია.

როგორც ჭიაბერაშვილმა განაცხადა, ახალი ხელისუფლების ხელშია პროკურატურა, სამართალდამცველი ორგანოები ზეწოლის იარაღად გადაიქცნენ და უგულავას საქმე სწორედ პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგაა მიმართული.

— ეს ბრალდება, რომელიც მილიონიანი ქალაქის არჩეულ მერს წაუყენეს, აბსურდულია. ეს მეტყველებს, იმაზე, რომ პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ არის მიმართული. მე დავესწარი სასამართლოს პროცესს და ბრალდების მხარემ ვერ დაადასტურა, რომ უგულავამ რაიმე უკანონო შემოსავალი მიიღო. ამ დროს კი პროკურატურა ითხოვს 1 მილიონი ლარის შეფარდებას გირაოს სახით. სასამართლოს ასეთი თანხა რომც შეეფარდებინა, უგულავას ციხეში ჩაჯდომა მოუწევდა, რადგან მას ასეთი თანხები არ გააჩნია. უგულავასთვის ეს გირაო რომ შეეფარდებინათ, მას ციხეში ჩაჯდომა მოუწევდა, რადგან ამ თანხას ვერ გადაიხდიდა. შესაბამისად, ეს იყო დაპატიმრების ირიბი გზა, რადგან პირდაპირ ვერ გაბედა, გიგი უგულავასთვის პატიმრობა ყოფილიყო შეფარდებული. როდესაც ასეთ „მაქინაციებს“ ვხედავთ, ბუნებრივია, ჩვენი ეჭვი დასტურდება, რომ სამართალდამცავი ორგანოების გამოყენებას პოლიტიკური მიზნებისთვის ადგილი აქვს, ადგილი აქვს ამ ქვეყანაში შერჩევით სამართალს. გიგი უგულავა არ აპირებს, გამოძიებას დაემალოს. სწორედ მისი მოთხოვნით იქნა თავიდან ბოლომდე სასამართლო პროცესზე მედია დაშვებული, რაც მოსამართლემ დააკმაყოფილა.



სწორედ მის ინტერესშია, რომ ამ საქმეზე საზოგადოება კარგად იყოს ინფორმირებული. გიგი უგულავა დარწმუნებულია, რომ სამართლიანი სასამართლოს პირობებში თავის უდანაშაულობას დაამტკიცებს, — აღნიშნა ჭიაბერაშვილმა.

„ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლის თქმით, დედაქალაქის მერი გამოძიებასთან თანამშრომლობას გეგმავს და მის ინტერესებშია, რომ მის საქმესთან დაკავშირებით საზოგადოება მაქსიმალურად იყოს ინფორმირებული.

ზურაბ ჭიაბერაშვილმა სოციალურ საკითხებზეც გააკეთა კომენტარი. ჯანდაცვისა და სოცუზრუნველყოფის ყოფილი მინისტრი ახალი ხელისუფლების სოციალურ პოლიტიკას არ ეთანხმება და აკრიტიკებს. როგორც ჭიაბერაშვილი აცხადებს, მათი ხელისუფლებაში ყოფნის დროს მიდგომები სხვაგვარი იყო.

— გასულ კვირას 18160 ოჯახი სოციალურად დაუცველების სიიდან იქნა ამოღებული. ეს ძალიან საგანგაშოა. შუა ზამთარში ეს ადამიანები ყოველგვარი საარსებოს გარეშე დატოვეს. რას ვეუბნებით მათ? ჯანდაცვის მინისტრი და მთავრობა აცხადებს, რომ თებერვლიდან დამთავრდება ეპოქა, როდესაც ადამიანებს დაზღვევა არ ჰქონდათ, ახლა კი ყველას ექნება. ეს პროგრამა არანაირად არ პასუხობს ჩვენი საზოგადოების მოთხოვნებს. მათ მოთხოვნა აქვთ, რომ სახელმწიფო გვერდით ედგეს სერიოზული დაავადების დროს, რომლის მკურნალობაც ძვირი ჯდება. ასეთი შემთხვევები ოჯახების გაღატაკებას იწვევს, — აცხადებს ჭიაბერაშვილი.

# „ოცნება“ ოცნებობს, ნაციონალურმა მოძრაობამ ფუნქციონირება შეწყვიტოს

ნათია ხურცილავა

პარლამენტის დეპუტატი დავით დარჩიაშვილი მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს აფასებს. უმცირესობის წარმომადგენელმა გიგი უგულავას ირგვლივ განვითარებულ მოვლენებსა და „ნაციონალური მოძრაობის“ არჩევნებში წაგების კონკრეტულ მიზეზებზე ჟურნალისტებთან ისაუბრა.

— საქმე ის კი არ არის, ნემსის ქურდი ისჯება და აქლემისა. არა, საქმე ისაა, ვის რა დაუმტკიცდა, — განაცხადა დავით დარჩიაშვილმა სასამართლოს მიერ გიგი უგულავას საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების კომენტირებისას.

დარჩიაშვილის განცხადებით, სულ სასამართლოს რომ ადანაშაულებენ უსამართლო გადაწყვეტილებების გამოტანაში, ერთხელ მაინც უნდა დააკვირდნენ პროკურატურის არგუმენტებს. ნებისმიერ საკითხში საჭიროა არგუმენტების წყება.

დავით დარჩიაშვილმა მოსამართლეების მიკერძოებულობაზე გააკეთა კომენტარი და განაცხადა, რომ როდესაც „ნაციონალური მოძრაობა“ სახელმწიფოს აშენებდა, საჭირო იყო ყველა ინსტიტუტის თავიდან აშენება და ამ პროცესში გარდაუვალი იქნებოდა, ზედმეტი სიახლოვე არ დამყარებულიყო ხელისუფლების სხვადასხვა შტოს შორის.

დარჩიაშვილი არ გამორიცხავს, იმ პერიოდში ვინმეს ხელი მოეთბო, მაგრამ ბოლშევიზმი არის სწორედ ის, რომ ხალხი გაალიზიანოს, ყველა უბედურება გადააბრალოს ოპოზიციას და შემდეგ ააფრიალოს დროშა.

საპარლამენტო უმცირესობის წევრის განცხადებით, იყო კონკრეტული მიზეზები, რის გამოც „ნაციონალური მოძრაობა“ არჩევნებში დამარცხდა.

დარჩიაშვილი მათი წაგების მიზეზად საპარლამენტო არჩევნების წინ ციხის კადრების გავრცელებას ასახელებს.

— ამის მიზეზი იყო ციხის კადრები, მაგრამ, ვინც ეს ჩაიდინა, ის სისხლისსამართლებრივად არის დასასჯელი და ამ კადრების გამო ოპოზიციური სპექტრის მოცილებისა და გაქრობის მცდელობებს დემოკრატიასთან საერთო არ აქვს.

დღეს ისეთივე გარემოა, როგორიც ოქტომბრის არჩევნების შემდეგ იყო. გამარჯვებული პარტია აქეზებს თავის მომხრეებს, რომ ოპოზიციურმა პარტიამ — ნაციონალურმა მოძრაობამ ფუნქციონირება შეწყვიტოს, — ამბობს დავით დარჩიაშვილი.

დარჩიაშვილის თქმით, რამდენად სამართლიანია ეს, საზოგადოებამ უნდა განსაჯოს.

# მამუკა არეშიძე: „ნაციონალებს საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება სურთ“

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ ექსპერტთან კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძესთან

***— ბატონო მამუკა, საზოგადოება დღევანდელი სასამართლოსგან სხვა გადაწყვეტილებას არ ელოდა, მაგრამ ასე თუ არც ერთ მოთხოვნას არ დააკმაყოფილებდა და სრულ იგნორირებას გაუკეთებდა პროკურატურის მიერ წამოყენებულ ბრალდებებს, ამას აღარავინ ელოდა. რა ხდება, რას ცდილობენ ამით?***

— სასამართლოს ამ გადაწყვეტილებას, როგორც ხედავთ, დემონსტრაციული ფორმა აქვს, რაც გაკეთებულია იმისთვის, რომ აჩვენონ, რა ძალა აქვს ნაციონალურ მოძრაობას, მათ ბრძოლა არ შეუწყვეტიათ და რესურსი და ძალაც გააჩნიათ იმისი, რომ თავისი გაიტანონ. აქ მხოლოდ თავისი სიტყვის გატანაზეა ლაპარაკი, თავის ფსევდოსიმართლეზეა ორიენტირებული ყველაფერი და არა იმაზე, რომ რეალურად სიმართლე იყოს დადგენილი. ეს პოლიტიკური ძალა ახდენს თავისი ძალის დემონსტრირებას. ეს არის ამ ღონისძიების შინაარსი. სხვათა შორის, უნდა ითქვას ისიც, რომ თუ მანამდე გირაოს შეფარდებით ხდებოდა მავანის გამოშვება, თუნდაც მცირე გირაოსი, ამ შემთხვევაში ესეც არ გაკეთდა და არ გაკეთდა ზუსტად იმიტომ, რომ მთლიანად უნდა ყოფილიყო დემონსტრირება შიშველი ძალის და იყო კიდევაც.

***— მიდიან ღია კონფრონტაციასა და დაპირისპირებაზე?***

— რასაკვირველია, ღია კონფრონტაციასა და დაპირისპირებაზე მიდიან, ოღონდ ჯერჯერობით — ამ სიბრტყეში.

***— უკმაყოფილება იზრდება საზოგადოებაში, თითქოს არასამართლიანობის განცდა გაჩნდა ახალ ხელისუფლებასთან მიმართებით და ეს რით დამთავრდება?***

— ჰოდა, ეს ყველაფერი შეგნებულად კეთდება იმისთვის, რომ ვიღაცას ნერვებმა უმტყუნოს და მიხეილ სააკაშვილს აპრილის ბოლოს ჰქონდეს იმის „იურიდიული უფლება“, რომ საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადოს, შესაბამისად, დაშალოს სახელისუფლებო სტრუქტურები და შემოიღოს საგანგებო მდგომარეობა. ყველაფერი სწორედ ამისთვის კეთდება, რომ ვიღაცას ნერვებმა უმტყუნოს. შეიძლება, ეს იყოს ადამიანთა ჯგუფი ან კერძო პირი.

***— გამოდის, რომ უნდა იყოს მოთმინება საზოგადოების მხრიდან, რათა აპრილი გადავაგოროთ?***

— მე არ ვიცი, რა უნდა იყოს და რა არ უნდა იყოს. მე, უბრალოდ, ვამბობ, რომ ამ ფორმატში ხდება მათი მოქმედება.

***— რაც შეეხება დაანონსებულ 19 აპრილის აქციას?***

— როდესაც მე ვთქვი, რომ კულმინაციური მომენტი იქნება 19 აპრილი, ეს იქნება აქციათა და ღონისძიებათა ჯაჭვი, რომელიც საზოგადოების ცნობიერებას 19 აპრილისთვის მოამზადებს, ჩემმა კოლეგებმა, მათ შორის „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებმა, ერთი ამბავი ატეხეს, ამის არანაირი რესურსი არა აქვს ნაციონალურ მოძრაობასო. მე ხაზგასმით ვამბობ, რომ აქვს რესურსი. მას არა აქვს ელექტორატის რესურსი, ხალხის რესურსი არ აქვს, ხოლო ფინანსური და საორგანიზაციო რესურსი ნამდვილად აქვს. ასევე აქვს მხარდაჭერა დასავლეთიდან. მე ვამბობ, რომ სერიოზული ბრძოლისთვის არიან განწყობილნი. იმასაც ვამბობ, რომ 19 აპრილამდე იგეგმება ღონისძიებათა მთელი ჯაჭვი და კულმინაცია იქნება 19 აპრილი.

***— თქვენ ფიქრობთ, რომ დასავლეთი ნაციონალების მხარეს დაიჭერს?***

— მოდით, ამ ყველაფერს შევხედოთ ემოციის გარეშე. 9 წლის განმავლობაში ამათ შეასრულეს ტიტანური სამუშაო იმისთვის, რომ თავისი მხარდამჭერები ჰყოლოდათ დასავლურ პოლიტიკურ ისტებლიშმენტში. ზოგი მათგანი სხვადასხვა ფინანსურ სქემაში ჩართეს, ზოგი მათგანი მათი იდეოლოგიური მხარდამჭერია, ზოგთან, უბრალოდ, მეგობრული და საქმიანი ურთიერთობა აქვთ. ჩვენ რატომღაც გვგონია, რომ საქართველო მთავარი ქვეყანაა მსოფლიოში და ყველა ყურადღება მისკენ არის მიპყრობილი. საერთოდ, დასავლური პოლიტიკისთვის დამახასიათებელია ის, რომ ისინი იღებენ კონკრეტულ ინფორმაციას და კონკრეტულ ინფორმაციაზე რეაგირებენ. მოდით, გავშალოთ თემა და ვთქვათ, რა შეიძლება იყოს კონკრეტული ინფორმაცია, თუ გინდათ, რვა თებერვლის ამბავი ავიღოთ. კონკრეტული ინფორმაცია არის ის, რომ რვა თებერვალს პრეზიდენტს არ ჩაატარებინეს შეხვედრა თავის აქტივთან და ფიზიკური თავდასხმა მოხდა ზოგიერთ დეპუტატზე. როდესაც დღევანდელ ხელისუფლებას დასავლურ პოლიტიკურ სივრცეში ასეთი ტიპის მხარდამჭერები არა ჰყავს, როგორიც ჰყავს ნაციონალურ მოძრაობას, ეს ინფორმაცია მიღებულ იქნა ისე, როგორც გაიჟღერა. ეს ინფორმაცია თავისთავად არის აბსოლუტურად მიუღებელი დასავლური პოლიტიკური წრეებისთვის. ნაციონალური მოძრაობა როდესაც აკეთებდა ბევრად უფრო უარესს ამაზე, ვიდრე ეს გააკეთა „ქართულმა ოცნებამ“, მაშინ მისი ლობისტები და ის ადამიანები, რომლებსაც პირადი კონტაქტები ჰქონდათ ნაციონალურ მოძრაობასთან, ამას ყველაფერს აქარწყლებდნენ დასავლეთში. დღეს ასეთი რამ არ ხდება. ის რესურსი, რომელიც საქართველოს აქვს იმისთვის, რომ შეიქმნას ასეთი კეთილგანწყობილი წრეები დასავლურ პოლიტიკურ ისტებლიშმენტში, დღეს საქართველოში გამოყენებული არ არის. არ არის გამოყენებული და, შესაბამისად, შედეგიც ისეთი გვაქვს, როგორიც გვაქვს.

***— უკვე ხშირია შეფასებები იმის შესახებ, რომ შესაძლოა სააკაშვილმა დაითხოვოს როგორც მთავრობა, ისე პარლამენტი. რამდენად არის ამაზე წამსვლელი სააკაშვილი და რას უნდა ველოდეთ აპრილში?***

— წავა თუ არა წავა ამაზე, ძალიან რთული სათქმელია, მაგრამ, ყველაფერი რომ გაკეთდება იმისათვის, რომ ამ კონდიციამდე მიიყვანოს სიტუაცია სააკაშვილმა, ეს ფაქტია. სხვათა შორის, უნდა გითხრათ, რომ დასავლური პოლიტიკური წრეები, მიუხედავად ახლობლობისა ნაციონალურ მოძრაობასთან, არ ურჩევენ მათ ამის გაკეთებას და საერთოდ ეუბნებიან, რომ ეს ჩვენთვის მიუღებელი იქნება. ამიტომ ქვეყანაში უნდა შეიქმნას ისეთი სიტუაცია, როდესაც ფაქტის წინაშე აღმოჩნდებიან ჩვენი მეგობრები დასავლეთში და იძულებულნი გახდებიან, შეეგუონ იმას, რა სიტუაციაც საქართველოში შეიქმნება. იმდენად უნდა დაიძაბოს სიტუაცია, დაპირისპირება იმდენად უნდა გაღრმავდეს საზოგადოების შიგნით, რომ ბრიუსელი იქნება, ვაშინგტონი თუ სხვა, უნდა შეურიგდნენ იმ აზრს, რომ პრეზიდენტი „იძულებული გახდება“, გადადგას კატეგორიული ნაბიჯები.

***— თქვენი აზრით, სააკაშვილის მიზანია, სიტუაცია იქამდე მიიყვანოს, რომ საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადოს ქვეყანაში?***

— მე ასე ვფიქრობ, თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ასე მოხდება, მაგრამ მგონია, რომ საქმე აქეთკენ მიჰყავს.

***— აქვს ახალ ხელისუფლებას იმის ბერკეტები, რომ ეს პროცესი შეაჩეროს? თქვენ რას ურჩევთ მათ?***

— მე ყოველთვის ვამბობდი და ვიმეორებ, რომ აუცილებელია დასავლეთთან ძალიან ფართომასშტაბიანი მუშაობა. წულუკიანი იქნება თუ სხვა, იმისი ჩასვლა ფრაგმენტულად იქ პოზიციას ვერ შეცვლის. ვერც ელჩების აქტივობა ჯერჯერობით სიტუაციას ვერ შეცვლის, იმიტომ რომ, ჯერ ერთი, როტაცია ხდება, არის ელჩების ნაწილი, რომელიც საბოტაჟს უწყობს დღევანდელ ხელისუფლებას, მეორე ნაწილი ახალი ჩასულია ან საერთოდ არ არის ჩასული ჯერ. ასე რომ, ჩვენ, უბრალოდ, დროს ვკარგავთ. ძალიან მასობრივად და ეფექტურად უნდა იმუშაონ ლობისტურმა კომპანიებმა, რომლებიც არ მუშაობენ. გარდა ამისა, რესურსი უნდა იყოს გამოყენებული ძალიან სერიოზული, იქაური დიასპორა იქნება თუ პოტენციური მხარდამჭერები.

***— ვხედავთ, რომ არანაირად არ აპირებენ ნაციონალები დათმობას, როგორ ებღაუჭებიან სავარძლებს. ვნახეთ, რა დღეში ჩავარდა უგულავა, თანამდებობის დაკარგვის საფრთხე რომ შეექმნა...***

— აქ საუბარია ძალაუფლების დაკარგვის საფრთხეზე და არა ერთი კონკრეტული პიროვნებისა, არამედ მთლიანად პოლიტიკური ძალის. ძალიან კარგად იციან, რომ ის, რაც ახლა უგულავას ამოუქექეს, სხვათა შორის, მორიდებულად ამოუქექეს, ეს არის ტენდენცია, ასეთი მდგომარეობა იყო საქართველოში წლების განმავლობაში. ეს ერთი საქმეა, თორემ ასეთი ასობით და



ათასობით საქმეა. აქედან გამომდინარე, ნაციონალების პოზიცია ასეთია, თუ სიტუაცია მივუშვით, არათუ საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში არსად დაგვედგომება. ამიტომ მათი მთავარი ამოცანაა, რომ ეს საქმეები გადაფარონ, ეს საქმეები არ გამოჩნდეს, რომ სამართალმა არ იმუშაოს. აი, ეს არის მთავარი, ხომ ხედავთ, შავზე ლაპარაკობენ თეთრიაო და თეთრზე — შავიაო. ხომ ყველა ხედავს, ზედაპირზე დევს ყველაფერი, რად მინდა მე სასამართლო ამისთვის და პროკურატურა, როცა ვიცი, რომ 700 ადამიანი გააფორმა და მომღერლებიც გააფორმა იმ დასუფთავების კანტორაში და დღეს ამბობს, ეს ყველაფერი სამართლიანად იყო, მე უნდა გამეკეთებინა ეს ამბავიო და ივანიშვილსაც ჰყავდა ასე გაფორმებული ხალხიო. ივანიშვილი რომ კერძო სტრუქტურებში აფორმებდა ხალხს, ისიც თუ აფორმებდა და ეს სახელმწიფოში, ამაში განსხვავება არ არის. აი, ასე ცდილობს საზოგადოების შეცდომაში შეყვანას. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ესენი ყველაფერზე წავლენ იმისთვის, რომ მდგომარეობა შეინარჩუნონ.

***— თუ ასე გაგრძელდა, ამ გადასახედიდან ოქტომბრამდე ძალიან დიდი დროა, ხალხი შეშინებული და გაღიზიანებულია...***

— მე ამას შიშს ვერ დავარქმევდი, ამას დავარქმევდი სერიოზულ გაღიზიანებას და ახლა ხელისუფლების ხელშია, რამდენად მოახერხებს ამ გაღიზიანების ლოკალიზებას, რომ ამან საზღვრები არ გადალახოს. მე, მაგალითად, ძალიან მიჭირს კონკრეტულ ადამიანებთან საუბარი, ადამიანები, რომლებსაც გაუნადგურეს ოჯახი, წაართვეს ყველაფერი, ბიზნესი, გააქციეს აქედან, დღეს დაბრუნდნენ და ხელებდაკაპიწებული ცდილობენ, სამართალი აღადგინონ და მათ მიმართ ჩადენილი დანაშაული შეცვალონ, პასუხი აგებინონ. აქ ხვდებიან ყრუ კედელს. აი, ამ ადამიანებისთვის ახსნა იმისა, რომ ტაქტიკური სვლებია საჭირო, უფრო მოზომილი ქმედებებია საჭირო, ნერვების მოთოკვაა საჭირო, ამათ არ ესმით.

***— ამ სიტუაციაში გაჭირდება კიდეც სამართლიანობის აღდგენა. დღეს არავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ სასამართლო პირდაპირ ასრულებს ნაციონალური მოძრაობის დაკვეთას...***

— რასაკვირველია, ასეა. ახლა მე რომ ამას ვიტყვი, სასამართლო პირდაპირ დაკვეთას ასრულებს და უსინდისოდ იქცევა, ამას ნაციონალური მოძრაობის წევრები ჩამითვლიან სასამართლოზე ზეწოლად. მე ამ შემთხვევაში სასამართლოზე ზეწოლაზე კი არ მაქვს ლაპარაკი, ამ შემთხვევაში ვსაუბრობ სახელმწიფოს მშენებლობის საბოტაჟზე, რომელსაც ასრულებენ მოსამართლეები და ზოგიერთი ჩინოვნიკი. ლაპარაკი მაქვს იმაზე, რომ საქართველოში აბსოლუტურად ყველას ჰკიდია ფეხებზე სამართალი, როგორც იურიდიული ტერმინი და არავის აღელვებს სამართლიანობა. მთავარი საკუთარი მდგომარეობის შენარჩუნებაა.

## აზიის განვითარების ბანკმა თიბისი ბანკს 50 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით საკრედიტო რესურსი გამოუყო




ხელშეკრულება მხარეებს შორის თიბისი ბანკის სათაო ოფისში გაფორმდა. დოკუმენტს ხელი თიბისი ბანკის გენერალურმა დირექტორმა, ვახტანგ ბუცხრიკიძემ და აზიის განვითარების ბანკის ინვესტიციების მთავარმა სპეციალისტმა, რაინერ ჰარტელმა მოაწერეს.

ხუთწლიანი საკრედიტო რესურსით თიბისი ბანკი საქართველოს რეგიონებში მცირე და საშუალო ბიზნესს დააფინანსებს. ხელშეკრულების ფარგლებში ასევე შესაძლებელია მიკროსესხების დაფინანსება თიბისი ბანკის შვილობილი კომპანიის, ბანკი კოსტანტას მეშვეობით.

ვახტანგ ბუცხრიკიძე:

— მნიშვნელოვანია, რომ თანხა, თბილისის გარდა, რეგიონებსაც მოხმარდება. შევეცდებით, მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს საპროცენტო განაკვეთები უკეთეს პირობებში შევთავაზოთ, ვიდრე დღეს არის წარმოდგენილი. საკრედიტო რესურსი მოხმარდება როგორც სოფლის მეურნეობას, ასევე მცირე და საშუალო ბიზნესს, ნაწილი კი მიკროსესხებზე გადანაწილდება. რაც ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, აზიის განვითარების ბანკთან ჩვენი თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება, რაც ახალი ინოვაციური პროექტების განხორციელებაში დაგვეხმარება. სესხების გაცემაში ჩაერთვება ბანკის შვილობილი ბანკი — „კონსტანტა“, რომლის საშუალებით მცირე მეწარმეებისთვის სესხის გამოყოფა საქართველოს რეგიონებში მოხდება. გარდა დამტკიცებული 50 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის სესხისა, აზიის განვითარების ბანკი ასევე უზრუნველყოფს ტექნიკურ დახმარებას, რაც გააუმჯობესებს ჩვენი ბანკის სერვისებს რეგიონებში მოქმედი მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის.

მხარეთა შორის ახალი ხელშეკრულების გაფორმებას ბიზნესის განვითარებისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯად აფასებენ აზიის განვითარების ბანკში. საფინანსო ორგანიზაციაში განმარტავენ, რომ ეს არის აზიის განვითარების ბანკის მიერ საქართველოს ნაკლებად მომსახურებადი რეგიონებისთვის გამოყოფილი პირველი სესხი.

რაინერ ჰარტელი:

— აზიის განვითარების ბანკის დახმარება უზრუნველყოფს ფინანსების ხელმისაწვდომობას ნაკლებად განვითარებული და ღარიბი რეგიონებისთვის. აღნიშნული დახმარება ხელს შეუწყობს ეკონომიკური აქტივობის ზრდას და სოფლის მეურნეობაში, ტურიზმში, ასევე სამშენებლო და მომსახურების სფეროებში რეგიონული მოსახლეობის ჩართულობასა და დასაქმებას.

აზიის განვითარების ბანკი 1996 წელს დაარსდა და მსოფლიოს 48 რეგიონიდან 67 წევრ ქვეყანას აერთიანებს. მისი მიზანია აზიასა და წყნარი ოკეანის რეგიონში სიღარიბის დონის შემცირება. საქართველო მისი წევრია 2007 წლიდან.

2007 წლიდან ბანკის მიერ საქართველოში პროგრამების დასაფინანსებლად 1.1 მილიარდ დოლარზე მეტია დამტკიცებული. აღნიშნული თანხიდან 163 მილიონი აშშ დოლარი კერძო სექტორის პირდაპირ დაფინანსებისთვის გამოიყო.

## შსს-მ ორგანიზებულ-დანაშაულებრივი ჯგუფის ოთხი წევრი დააკავა

ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს თეთრიწყაროს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, ორგანიზებულ-დანაშაულებრივი ჯგუფის ოთხი წევრი — ხვიჩა ბ, დავით შ, როინ ბ. და გიორგი ჯ., თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ამლევში 12 აგარაკის გაქურდვისათვის დააკავეს.

სამართალდამცველებმა ორი მათგანი ერთ-ერთი აგარაკის გაქურდვის დროს, შემთხვევის ადგილზე დააკავეს, ხოლო ორი — ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად.

ნაქურდალი საოჯახო და საყოფაცხოვრებო ნივთების ნაწილი ამოღებულია და პატრონებს დაუბრუნეს. გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“და „გ“ პუნქტებით მიმდინარეობს, რაც 6-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ნიუსპრესი

## გამოკითხულთა უმრავლესობა მიიჩნევს რომ ქვეყანაში ბიზნესი თავისუფალია

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესის“ მიერ, მიმდინარე წლის 19 თებერვლიდან 26 თებერვლამდე საანალიზო პერიოდში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების თანახმად, გამოკითხვაში მონაწილეთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ დღეს ქვეყანაში ბიზნესი თავისუფალია.

კითხვაზე — „არის თუ არა დღეს ქვეყანაში ბიზნესი რეალურად თავისუფალი“ — გამოკითხვაში მონაწილეთა 47,8 პროცენტმა უპასუხა რომ თავისუფალია, საწინააღმდეგო მოსაზრებას კი მონაწილეთა 39,1 პროცენტი აფიქსირებს. ამასთან, დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა გამოკითხულთა 13,1 პროცენტს გაუჭირდა.

ნიუსპრესი

2013, 27 თებერვალი, №48

# ჭიათურელი მაღაროელები ხელისუფლების მხრიდან მხარდაჭერას ელოდებიან

როლანდ ხოჯანაშვილი
ახალი თაობის" იმერეთის ბიურო

**სამთო-მოპოვებითი რეგიონები ყოველთვის გამოირჩევა ეკოლოგიური სისტემის პრობლემატიკით და ჭიათურა, როგორც სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ავანგარდში მყოფი რაიონი, განსაკუთრებულად მძიმე მდგომარეობაშია. მძიმე მეტალების არსებობა გარემოში მოსახლეობისათვის უმძიმეს მდგომარეობას ქმნის და ამბობენ, რომ ჭიათურის მომავალი მთლიანად დამოკიდებულია მანგანუმის მოპოვებასთან. როგორც ამბობენ, ამჟამად მუნიციპალიტეტში 2500-ზე მეტი სიმსივნით დაავადებული ადამიანია, რაც ძირითადად მანგანუმის გადაჭარბებული რაოდენობის ბრალია წყალში, ჰაერსა და ნიადაგში.**

მანგანუმის საბადოების დახურვა ჭიათურისთვის მატერიალური დარტყმა იქნება. თუ ისეთივე წესებით იქნა მეტალის მოპოვება, როგორც ახლა მიმდინარეობს, მაშინ ეკოლოგიური კატასტროფა შეიწირავს ზემოიმერეთის ამ ქალაქს.

გასული წლის 1 ოქტომბრის შემდეგ ჭიათურის მაღაროელებმა მასობრივი გაფიცვა მოაწყვეს და მრავალი მოთხოვნა დააყენეს, მათ შორის იყო სახელფასო ზრდა 100%-ით, სამწუხარო რეალობაა, რომ სამთოელების გაფიცვის მოთხოვნები ნაწილობრივ იქნა დაკმაყოფილებული.

,,ახალი თაობისათვის" უცნობია, თუ რა პირობებითა და ხელშეკრულებით მუშაობს ,,ჯორჯიან მანგანეზი" ჭიათურაში, ამის შესახებ არ ფლობს ინფორმაციას მუნიციპალური ხელისუფლება, მაჟორიტარმა დეპუტატმაც ვერ მოიძია ამის შესახებ ინფორმაცია. ,,ჯორჯიან მანგანეზის" წარმომადგენლობა ჭიათურაში პრესასთან არ კონტაქტობს ამ საკითხზე და რჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ჭიათურაში მანგანუმის მოპოვება-გადამუშავება ხდება ხელშეკრულების გარეშე. მოსაზრებები არსებობს, რომ ჭიათურის მანგანუმის წარმოება ეკუთვნის პრეზიდენტის ოჯახს, ბეჟუაშვილებს და ასე შემდეგ, თუმცა დანამდვილებით რა ხდება, ამაზე დარწმუნებით ვერავინ საუბრობს.

როცა 3700-მდე სამთოელი თავის მოთხოვნებს აყენებდა, 2013 წლის 24 იანვარს ქალაქ ზესტაფონში ,,ჯორჯიან მანგანეზის" მენეჯმენტმა და საგაფიცვო კომიტეტმა შეხვედრა მოაწყვეს. შეხვედრაზე ვ. ლოზინსკი, რომელიც წარმოადგენდა ,,მანგანეზის" მენეჯმენტს, ესაუბრა მაღაროელთა წარმომადგენლებს და დასმული საკითხების ნაწილი გადაწყდა, ნაწილი—მხოლოდ ნაწილობრივ შესრულდა და ზოგი—საერთოდ იქნა ყურადღების გარეშე დატოვებული.



,,მანგანეზის" მუშების მოთხოვნა ასეთი იყო: ხელფასებისა და პრემიების ზრდა 40%-ითა და 20%-ით, წარმოებისა და სტიქიური უბედურების შემთხვევაში გაცდენილი სამუშაო საათები ანაზღაურებულიყო 70%-ის ოდენობით; დაცული ყოფილიყო სამთოელი შემცირების დროს მაქსიმალურად, როგორც შრომითი რესურსი; კონსტიტუციით დადგენილი დასვენების დღეებისათვის გადასცემოდათ ყველა მუშას 50 ლარი საჩუქრად; დღესასწაულებზე მუშაობის შემთხვევაში ანაზღაურება ყოფილიყო სრული; სპეცტანსაცმლის, სასადილოებისა და აბანოს საკითხი გადაწყვეტილიყო დადებითად, საკვები ულუფის კალორიულობა და ხარისხი გაზრდილიყო; მოგვარებულიყო საკრედიტო-საბანკო პრობლემები; საჭიროების დროს გაცემულიყო მუშა-მოსამსახურეებზე ფინანსური დახმარება, ასევე მასალა და სათბობი; მარცხისა და საწარმოო ტრამვის შემთხვევაში დამსაქმებელს აეღო თავის თავზე მზრუნველობა, გაზრდილიყო ბიულეტენის დღეების რაოდენობა (როგორც ფასიანი, ასევე უფასო პერიოდითაც); მედდების საკითხი მოგვარებულიყო ყველა მაღაროზე, განსაზღვრულიყო ხელფასების დარიგების დრო და პერიოდულობა. მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ასევე ტრანსპორტირების საკითხიც.

ჩამოთვლილი საკითხებიდან სრულად მხოლოდ სამი საკითხია გადაწყვეტილი, როგორც ,,ახალ თაობას" აცნობა საგაფიცვო კომიტეტმა. ნაწილობრივ შესრულდა ან იგნორირებულია დანარჩენი.

ცნობილია, რომ ჰიგიენური თვალსაზრისით, ყველა მაღაროზე დაიწყო სანიტარული კვანძების რეაბილიტაცია, თუმცა ითხვისის მაღაროზე აბანოდან გასული ფეკალური მასა რამდენიმე მეტრის მოშორებით არსებულ თხრილში გროვდება და არ უერთდება კანალიზაციას. ,,ჯორჯიანმანგანეზმა" ყველა მოსამსახურე დააზღვია ოჯახის წევრების ჩათვლით, ოღონდ მომსახურე საავადმყოფო მდებარეობს არა ჭიათურაში, არამედ ზესტაფონში. თავად ჭიათურაში ,,ჯეოჰოსპიტალსის" მცირე საავადმყოფოა, რომელიც 30-მდე პაციენტსაც ვერ ღებულობს. მე-19 საუკუნის ბოლოს ჭიათურაში სწორედ მაღაროელთა საჭიროებისათვის იყო პირველი საავადმყოფო გახსნილი, რომელსაც 6 ავადმყოფი მაღაროელის მიღება შეეძლო და კვირაში ორჯერ ექიმი ამოდიოდა შოროპნიდან პაციენტების ჯანმრთელობაზე საზრუნავად. როგორც ჩანს, ამჯერად ჭიათურაში ბევრად უფრო ცუდი მაჩვენებელია ამ მიმართულებით. მაღაროელთა უმეტესობას ურჩევნია ზესტაფონის საავადმყოფოში ჩასვლას კერძო პრაქტიკის ექიმებთან მკურნალობა, თანაც ერთ-ერთი მაღაროელის შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო ზესტაფონში მოხდა ასეთი შემთხვევა: დღეს ვერ გავაკეთებთ ამბოლატორიულ კვლევას და ანალიზებს ვერ ავიღებთ და ხვალ მოიყვანეთ ბავშვიო. როცა მშობელს მიჰყავს 30 კილომეტრის იქით მძიმე მდგომარეობაში მყოფი შვილი, მაშინ კეთილი უნდა ინებოს მზღვეველმა ორგანიზაციამ და მაქსიმუმი გააკეთოს სადაზღვევო პირობების მიხედვით. როგორც მშობელი აცხადებს, მისი დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ იქნა ბავშვის მდგომარეობა შესწავლილი.

რაც შეეხება კვების საკითხს, უნდა აღინიშნოს, რომ სამთოელები ძალიან განიცდიან საკვები ულუფის შემცირებას. გაფიცვის შემდეგ საგრძნობლად მოიკლო პროდუქტების რაოდენობამ და კალორიულობამ, —აღნიშნავს ,,ახალი თაობის" წყარო. გაფიცვამდე მაღაროელებამდე მიდიოდა ისეთი პროდუქტი, რომლის ვარგისიანობა დიდ ეჭვს ბადებდა, რადგან ზოგჯერ შინაური ცხოველებიც არ ჭამდნენ მაღაროელთა ულუფას. სამთოელები აპროტესტებენ ასევე საშვებულებო ანაზღაურების წესსა და ოდენობასაც.

სულ მალე აპირებენ ,,მუშათა უფლებათა დამცველი კომიტეტი" და ,,მაღაროელთა პროფკავშირი", რომ მიმართონ კითხვებით ჭიათურის მაჟორიტარ დეპუტატს, რასაც გთავაზობთ ოდნავ შეცვლილი ფორმით:

1. ჩვენსა და ,,ჯორჯიან მანგანეზის" ხელმძღვანელობას შორის მრავალ საკითხზე იქნა მიღწეული ზეპირი შეთანხმება მრავალ საკითხზე, მაგრამ შემდეგში აღმოჩნდა, რომ მოთხოვნები იქნა იგნორირებული. როგორ გესახებათ შემდგომი ურთიერთობა ,,ჯორჯიან მანგანეზსა" და დასაქმებულთა შორის?

2. ახლო წარსულში ,,რუსთავი 2-ისა" და ,,მეცხრე არხის" ეთერში გავიდა ვრცელი ინფორმაცია ჭიათურაში ღია კარიერული წესით გადახსნილი ფართობების შესახებ, რომლის რეკულტივაცია და მწვანე საფრით განაშენიანება უნდა მომხდარიყო, რაც არ ხდება და აკისრია თუ არა ,,ჯორჯიან მანგანეზს" ვალდებულება ამ თვალსაზრისით?

3. ბ. ივანიშვილი წინასაარჩევნო პერიოდში ჭიათურელ მოსახლეობას დაპირდა, რომ სამთოელების ქალაქს მეტი ყურადღება უნდა მიქცეოდა და ,,ჯორჯიან მანგანეზს" მიუთითა, მეტად დაეფასებინა მაღაროელების შრომა, თუმცა არანაირი განსაკუთრებული წინსვლა არ ეტყობა მდგომარეობას. დაბალია სამედიცინო უზრუნველყოფა, დაბალია ხელფასები, მძიმეა სამუშაო პირობები. გვაინტერესებს, რა დამოკიდებულება აქვს ამჟამად მთავრობას სამთოელების მიმართ? ჩვენ ვგრძნობთ მხოლოდ ინერტულობას.

სამთოელების თხოვნაა, რომ იქნებ ,,ახალი თაობის" ფურცლებიდან უკეთ გამოჩნდეს არსებული მდგომარეობა და ერთხელ და სამუდამოდ მოგვარდეს ის საკითხები, რომლის შესაძლებლობა ,,ჯორჯიან მანგანეზს" ნამდვილად გააჩნია.

## ნინო ბურჯანაძე 26 მაისთან დაკავშირებით მთავარ პროკურატურაში ჩვენებას დღეს მისცემს

პოლიტიკური პარტია — „დემოკრატიული მოძრაობა", მთავარი პროკურატურის ძალისხმევას 26 მაისის მოვლენების გამოძიებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად მიიჩნევს და აღნიშნულ საკითხზე სპეციალურ განცხადებას ავრცელებს.



„ჩვენი პოლიტიკური ძალა პირველივე დღეებიდან მოითხოვდა ობიექტურ გამოძიებას, ვინაიდან გვინდოდა სრული სიმართლე სცოდნოდა როგორც ქართულ, ისე საერთაშორისო საზოგადოებას. გვესმოდა ისიც, რომ წინა ხელისუფლების დროს, რომელმაც დანაშაულებრივად დაგეგმა და განახორციელა 26 მაისის სამაგალითო სადამსჯელო სპეცოპერაცია, ამ საქმეზე ნათლის მოფენა შეუძლებელი იქნებოდა.

რამდენიმე დღის წინ „დემოკრატიული მოძრაობის" ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ მიიღო შემოთავაზება, რომ პარტიის ოფისში მოვიდოდა საგამოძიებო ორგანოს წარმომადგენელი და 2011 წლის მაისის მოვლენებთან დაკავშირებით მის ახსნა-განმარტებას მოისმენდა, თუმცა ქალბატონმა ნინომ, გამოძიებისათვის მაქსიმალურად ხელის შეწყობის მიზნით, მიიღო გადაწყვეტილება, რომ თავად მივიდეს საგამოძიებო ორგანოში და ჩვენება მისცეს" — ნათქვამია განცხადებაში.

პარტიის პრესსამსახურის ინფორმაციით, „დემოკრატიული მოძრაობის" ლიდერის ნინო ბურჯანაძის მთავარ პროკურატურაში მისვლა 27 თებერვალს 14 საათზეა დაგეგმილი.

პრესსამსახურის ინფორმაციითვე, „სახალხო კრების" ლიდერებისა და წევრების უმრავლესობა, საგამოძიებო ორგანოში უკვე იმყოფებოდნენ.

ნიუსპრესი

## პრეზიდენტი დაცვაზე უარს აცხადებს

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სახელმწიფო დაცვის სამსახურზე უარს აცხადებს.

ამის შესახებ განცხადება გუშინ, პრეზიდენტის პრეს-სპიკერმა მანანა მანჯგალაძემ გააკეთა.

მაჯგალაძის თქმით, პრეზიდენტის გადაწყვეტილების მიზეზი გახდა ის, რომ გუშინ, პრემიერ-მინისტრმა სახელმწიფო დაცვის სამსახურის უფროსი თანამდებობიდან გაათავისუფლა.

„მთელი ამ ხნის განმავლობაში, პრეზიდენტის დაცვის სამსახურზე ხორციელდებოდა ზეწოლა. დაცვის სამსახურის უფროსს დაუნიშნეს ფარული თვალთვალი რაც მალევე გამოვლინდა. სხვადასხვა სახის ზეწოლების მცდელობები ხორციელდებოდა პრეზიდენტის დაცვის სამსახურის სხვა თანამშრომლებზეც.

თავდაპირველად იყო მცდელობა რომ დაცვის სამსახური მთლიანად დაექვემდებარებინათ მთავრობისათვის, მაგრამ საერთაშორისო თანამეგობრობის ჩარევის შემდეგ, მთავრობა იძულებული გახდა შეემუშავებინა და პარლამენტში შეეტანა კანონპროექტი სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის გაყოფის თაობაზე. ამ საქმეში უშუალოდ მონაწილეობდნენ დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებიც, თუმცა კანონის მიღების შემდეგ, მთავრობამ უარი განაცხადა კანონის შესრულებაზე და დაიწყო ვაჭრობა იმის თაობაზე, თუ რა რესურსი უნდა მიეღო დაცვის სამსახურს.

დაცვის სანაცვლოდ, ისინი უკვე საკონსტიტუციო ცვლილებებზე ხმის მიცემას ითხოვდნენ.

პრეზიდენტი არ მიიჩნევს, რომ საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა რამენაირად კავშირში უნდა იყოს მის პირად უსაფრთხოებასთან. პრეზიდენტი ვერანაირად ვერ დააყენებს საკუთარ თავს კონსტიტუციის დონეზე და ვერ დაეთანხმება საკონსტიტუციო ცვლილებების წარმართვას იმის მიხედვით, თუ როგორი იქნება მისი პირადი უსაფრთხოება. ამიტომ მას შემდეგ რაც გუშინ პრემიერ-მინისტრმა ერთპიროვნულად გაათავისუფლა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსი თემურ ჯანაშია და ახლა დაცვით სარგებლობის სანაცვლოდ, პრეზიდენტს პიროვნებად კონსტიტუციის შეცვლის საკითხს უყენებს, საქართველოს პრეზიდენტი ერთ გამოსავალს ხედავს, მთლიანად თქვას უარი დაცვის სამსახურით სარგებლობაზე"— განაცხადა მანანა მანჯგალაძემ

ნიუსპრესი

## „დემოკრატიული მოძრაობა" იურისტთა ჯგუფის მოწვევასა და პროკურატურისთვის მასალების მომზადებას გეგმავს

პოლიტიკურმა პარტია „დამოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველო"-მ, ქვეყნის შიგნით, პოლიტიკური და სამართლებრივი ბრძოლის კიდევ უფრო გააქტიურების გადაწყვეტილება მიიღო.

ამის შესახებ პარტიის პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი.

„დემოკრატიული მოძრაობა" ინტენსიურად მუშაობს საერთაშორისო თანამეგობრობისათვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდების თვალსაზრისით. 2011 წლის 26 მაისის სადამსჯელო სპეცოპერაციის შემდეგ ეს მუშაობა განსაკუთრებით გააქტიურდა, თუმცა „ნაციონალური მოძრაობა", მთელი ამ პერიოდის მანძილზე ყველანაირად ცდილობდა სიმართლის დაბლოკვასა და საპასუხო დეზინფორმაციის გავრცელებას. ქვეყანას ხელისუფლების იმიჯის „გათეთრება" ათეულობით მილიონი ლარი დაუჯდა.

ყოფილი ხელისუფლების მხრიდან, ჩვენი პოლიტიკური ძალის მიმართ მრავალწლიან დევნასთან, ასევე 2011 წლის მაისის მოვლენებთან დაკავშირებით „სახალხო კრებისა" და „დემოკრატიული მოძრაობის" სარჩელი, სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოს 2012 წლიდან წარმოებაში აქვს მიღებული.

იმის გამო, რომ ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენის პროცესი გარკვეულწილად ჭიანურდება, ყოფილი ხელისუფლების ის წევრები, რომლებსაც დიდი ალბათობით სისხლის სამართლის დანაშაულებები აქვთ ჩადენილი, ჯერ კიდევ არ წარმდგარან მართლმსაჯულების წინაშე და საუბრობენ მათ მიმართ ვითომდა განხორციელებულ პოლიტიკურ დევნაზე, „დემოკრატიულმა მოძრაობამ" მიიღო გადაწყვეტილება, ქვეყნის შიგნით კიდევ უფრო გაააქტიუროს ბრძოლა. ამ მიზნით პარტიამ იურისტთა ჯგუფი მოიწვია, რომელიც საქართველოს მთავარი პროკურატურისათვის მასალებს მოამზადებს, რითაც კიდევ ერთხელ აჩვენებს საზოგადოებას წლების მანძილზე „დემოკრატიული მოძრაობის", როგორც პოლიტიკური ორგანიზაციისა და მისი წევრების პოლიტიკური ნიშნით დევნის ფაქტებს" — ნათქვამია პარტიის პრესსამსახურის განცხადებაში.

ნიუსპრესი

## გია ხუხაშვილი: „არ შეიძლება, თეორიული დიქტატურის არსებობა პოლიტიკური გარიგების თემა გახდეს"

საქართველოს განვითარების კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელი გია ხუხაშვილი, პრემიერ მინისტრის მიმართვას პრეზიდენტის სახელზე — ადამიანურ პოზიციას უწოდებს. მისი განცხადებით, არ შეიძლება პოლიტიკური გარიგების თემა გახდეს — უნდა არსებობდეს თუ არა ქვეყანაში თეორიული დიქტატურა.

„მე სრულიად ვიზიარებ იმ ადამიანურ პოზიციას, რაც დღეს პრემიერ-მინისტრმა გამოთქვა. ეს განცხადება არ არის მხოლოდ პოლიტიკოსის განცხადება, ეს არის ადამიანის განცხადება, რომელიც წუხს ყველაფერზე რაც ხდება ამ ურთიერთობებში. ნებისმიერ პოლიტიკურ ბრძოლაში, ადამიანები არ უნდა გადავაყოლოთ ვიწრო პარტიულ ინტერესებს. ეს თემა არ არის ვაჭრობის თემა. არ შეიძლება რომ პოლიტიკური გარიგების თემა გახდეს ის, უნდა არსებობდეს თუ არა ქვეყანაში თეორიული დიქტატურა. აქედან გამომდინარე ბუნებრივია, რომ ამ საკითხზე დამოკიდებულება ძალიან პრინციპული იქნება არა მხოლოდ პრეზიდენტთან, არამედ ნებისმიერ სხვა პიროვნებასთან მიმართებაში. თუ რაიმე მოტივაციით — პოლიტიკურით ან თუნდაც პირადით, კონკრეტული ადამიანები არ გამოხატავენ იმ პოზიციას რომ ქვეყანაში უარი უნდა ეთქვას დიქტატურას და ამას პოლიტიკური ვაჭრობის თემად გახდიან, მათ საზოგადოება მორალურ ვერდიქტს გამოუტანს"-განაცხადა გია ხუხაშვილმა.

ნიუსპრესი

## სუზარი სააკაშვილის დაკითხვას ითხოვს

სასჯელაღსრულების სამინისტრო მთავარ პროკურატურას მიხეილ სააკაშვილის დაკითხვის მოთხოვნით მიმართავს. საქმე პრეზიდენტის მიერ პირდაპირ ეთერში გაკეთებულ განცხადებას ეხება.

„2013 წლის 23 თებერვალს, პირველი არხის ეთერში სტუმრობისას, მიხეილ სააკაშვილმა პენიტენციურ სისტემაზე ისაუბრა. სამინისტროს მიაჩნია, რომ პრეზიდენტის გამონათქვამები იძლევიან საგამოძიებო

მოქმედებების საფუძველს. ამდენად ის მიმართავს საქართველოს მთავარ პროკურატურას - დაინტერესდეს აღნიშნული საკითხით და დაიკითხოს მათი ავტორი, მიხეილ სააკაშვილი, როგორც ინფორმაციის მატარებელიც და გამავრცელებელიც" — ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

გადაცემაში მიხეილ სააკასვილმა ისაუბრა, რომ ქვეყნის პენიტენციალურ სისტემაში უმძიმესი სიტუაციაა შექმნილი.

ნიუსპრესი

# გარემოს დაცვის სამინისტროს ფუნქციები გაიზრდება

მერი ნამორაძე

გარემოს დაცვის სამინისტროს რეორგანიზაციის აუცილებლობის შესახებ მინისტრმა ხათუნა გოგალაძემ თანამდებობაზე დანიშვნისთანავე გააკეთა აქცენტი. სამინისტროს ყველა ის ფუნქცია უნდა დაბრუნებოდა, რაც ჩამოერთვა, აქცენტი განსაკუთრებით ბუნებრივი რესურსების კონტროლზე კეთდებოდა. ამჟამად პარლამენტში უკვე წარდგენილია და განიხილება საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც მიზნად ისახავს გარემოს დაცვის სამინისტროს რეორგანიზებასა და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროდ მის გარდაქმნას.

ცვლილებათა პაკეტის თანახმად, რეორგანიზაციის შემდეგ სამინისტრო არა მხოლოდ გარემოს დაცვის სახელმწიფო, არამედ ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სახელმწიფო მართვასაც განახორციელებს, ნავთობისა და გაზის გარდა. სამინისტროს სახელწოდება კი, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო იქნება.

როგორც გარემოს დაცვის საპარლამენტო კომიტეტში ამბობენ, უწყების ფუნქციები იქნება სახელმწიფო კონტროლის განხორციელება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობაზე; ბირთვული და რადიაციული საქმიანობის რეგულირება და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზირების ორგანიზება. სამინისტრო თავის შემადგენლობაში ხუთ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს გააერთიანებს: დაცული ტერიტორიების სააგენტოს, გარემოს ეროვნულ სააგენტოს, სატყეო-საბაზისო სანერგე მეურნეობას, სატყეო სააგენტოს და გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს, ასევე გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს.

იგეგმება ფართომასშტაბიანი რეფორმა სატყეო სექტორში, რომელსაც პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი საზოგადოებას აპრილში გააცნობს.

# რატომ დაუპირისპირდნენ ნიკა მემანიშვილს მუსიკოსები?

ეკა ირემაშვილი

ეროვნული მუსიკალური ცენტრის ხელმძღვანელს ნიკა მემანიშვილს ის მუსიკოსები დაუპირისპირდნენ, რომლებსაც დირიჟორმა კონტრაქტი აღარ გაუგრძელა და სამსახურის გარეშე დატოვა. მათ წერილით მიმართეს კულტურის სამინისტროს, სადაც სამსახურში აღდგენა და კონკურსში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს. სამსახურიდან გაშვებულმა მუსიკოსებმა საგანგებო მიმართვა გაავრცელეს, რომელსაც „ახალი თაობა“ უცვლელად გთავაზობთ:

„მუსიკოსების მიმართვა საზოგადოებას – ასე რატომ უნდა მომხდარიყო? წერილის დასაწყისშივე ვიტყვით, რომ ა.წ. 7 იანვარს, შობას, ნიკოლოზ მემანიშვილმა აღარ გაუგრძელა კონტრაქტი ევგენი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის 33 მუსიკოსს და ისინი მოულოდნელად უმუშევრები დატოვა. ეს იყო მისი სრულიად უსამართლო გადაწყვეტილება. შეკითხვებს ასე პასუხობდა: – მე ასე მინდა.

საზოგადოება რაიმე შეცდომაში რომ არ შევიყვანოთ, ვიტყვით მარტო იმას, რომ ჩვენი პროტესტი და აღშფოთება ამ გადაწყვეტილების გამო და მოთხოვნა უკან აღდგენის მიზნით, გაიზიარეს სახელმწიფო კონსერვატორიის წამყვანმა პროფესორ-მასწავლებლებმაც. მათ მიერ კოლექტიურად ხელმოწერილი განცხადება (22 პროფესორი) გადაეგზავნა კულტურის სამინისტროს, მუსიკოსების აღდგენის მიზნით რეაგირებისათვის. ამავე სამინისტროს ჩაბარდა ჩვენი საპროტესტო წერილიც, სადაც ჩვენ დაბრუნებასთან ერთად მოვითხოვთ სამართლიანობის აღდგენას, რადგან მიგვაჩნია, რომ ნიკოლოზ მემანიშვილი არანაირად არ იმსახურებს, იყოს ეროვნული მუსიკალური ცენტრის ხელმძღვანელი და სიმფონიური ორკესტრის დირიჟორი.

ჩვენი სურვილია, რომ საზოგადოებას გავაცნოთ ნამდვილი ნიკოლოზ მემანიშვილი. არა ისეთი, რომელსაც იგი ტელევიზიით იცნობს, არამედ მოგიყვეთ მის საქმეებზე, 7 წლის განმავლობაში სიმფონიური ორკესტრის ნგრევა-გადაგვარებაზე. მის უსამართლობაზე, ტყუილებსა და მის სისასტიკეზე მუსიკოსების მიმართ.

2004 წლის გაზაფხულზე დაიშალა საქართველოს რადიო-ტელევიზიის სიმფონიური ორკესტრი (ალბათ, როგორც „საბჭოთა გადმონაშთი?“). ეს ორკესტრი დიდ სამუშაოს ასრულებდა. გაუძლო არეულობის წლებს. კუპონების პერიოდს. რევოლუციის ტალღაზე მოსულმა ხელისუფლებამ, თავისი აქტივისტების საშუალებით (კულტურის მინისტრი გოკა გაბაშვილი) სწრაფად მოახერხა და მოსპო არა მარტო აღნიშნული კულტურის კერა, არამედ ტელევიზიასთან არსებული საესტრადო-სიმფონიური ორკესტრიც. ამ ორკესტრს მნიშვნელოვანი დატვირთა ჰქონდა საესტრადო და პოპულარული მუსიკის დარგში. გაუქმდა ასევე საესტრადო-საცირკო სასწავლებელიც, რომელიც თავის სფეროში კვალიფიციურ სპეციალისტებს ზრდიდა. ნიკოლოზ მემანიშვილმა, ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრში შოუ-ბიზნესიდან მოსვლისთანავე 2004 წელს მოსპო ამ თეატრში არსებული ორკესტრი. მათ მისი ხელმძღვანელი ნუკრი დავითაშვილიც უსინდისოდ მოატყუეს და საერთოდ „თამაშგარეთ“ დატოვეს. ამ თეატრს მაყურებელი არასოდეს აკლდა. ამავე პერიოდში მოისპო და განადგურდა ხმის ჩამწერი სტუდია „მელოდიაც“. ეს იყო განსაკუთრებული აკუსტიკის მქონე საკავშირო მნიშვნელობის დაწესებულება, სადაც მიმდინარე ჩაწერებით ფირფიტებს უშვებდნენ. ეს მნიშვნელოვანი დაწესებულება ვანდალურ სიხარბეს ემსხვერპლა. პარალელურადააწიოკეს მუსიკალური სასწავლო დაწესებულებები. ზოგი გააუქმეს, ზოგიც ერთმანეთთან შეაერთეს. მუსიკის პედაგოგებს ხელფასები ძალიან შეუმცირეს. მუსიკის სწავლა კი ფასიანი გახადეს.



ეს ნგრევა ყოველივე სერიოზულისა მუსიკაში, იყო კარგად ორგანიზებული და „საქმის ცოდნით“ განხორციელებული. მაშინდელი კულტურის მინისტრი, მასთან სათხოვნელად მისულ კომპოზიტორებთან ამაყობდა ნიკოლოზ მემანიშვილის ფულის შოვნის უნარით. როგორც კომპოზიტორები ამბობენ, მინისტრი მათ ასე პასუხობდა: „თქვენ არ შეგიძლიათ ფულის შოვნა, აი, ნიკას კი ეს შეუძლია“. იქნებ მოვიდეს დრო, კულტურის კერების მომსპობმა ვანდალებმა და ყაჩაღებმაც აგონ პასუხი.

განა შეიძლება, რომ კანონიერი ყოფილიყო ეს ყველაფერი? განა შეიძლება, რომ მუსიკალურ-აღმზრდელობითი დაწესებულებები ასე, დღისით-მზისით გაანადგურეს და მათ ნაცვლად მხოლოდ „გამრთობი“ დაწესებულებები დარჩა ფართო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი?

შოუ-ბიზნესიდან მოსული ნიკოლოზ მემანიშვილი, ეროვნული მუსიკალური ცენტრის ხელმძღვანელად დანიშვნისთანავე, 2005 წელს აქტიურად შეუდგა ევგენი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის „თავის თავზე“ მორგებას (ეროვნული მუსიკალური ცენტრის ჩამონათვალში, სიმფონიური ორკესტრისა და სახელმწიფო კვარტეტის გარდა, შედის „გასაცოდავებული“ ნიკო სულხანიშვილის სახელობის სახელმწიფო კაპელა და მხოლოდ „ქაღალდზე“ ფიქტიურად არსებული კამერული ორკესტრი). მას კლასიკურ მუსიკაში არ აღმოაჩნდა დირიჟორისათვის შესაბამისი ნიჭი და განათლება, არც დირიჟორის დიპლომი და არც კვალიფიკაცია, რომ სიმფონიურ ორკესტრს ღირსეულად გაძღოლოდა. მიუხედავად ორკესტრის წევრების გულწრფელი მხარდაჭერისა, იგი ვერ შედგა როგორც დირიჟორი. ამ მხრივ მისი პირველივე მცდელობები კრახით დასრულდა. მან თავისი საქმიანობა ორკესტრში ძირითადად საესტრადო მიმართულებით წარმართა, სადაც თავისი აშკარად უფრო ძლიერი მხარე გამოავლინა. უნდა აღვნიშნოთ, რომ გარკვეული პერიოდის მანძილზე იგი კვლავ იწვევდა დირიჟორებს სიმფონიურ ორკესტრში სიმფონიური კონცერტების ჩასატარებლად, თუმცა ისინი მუშაობის დროს უკვე აღნიშნავდნენ ორკესტრის საშესმსრულებლო დონის ზოგად დასუსტებას და მისი ჟღერადობის გადაგვარებას. ქალბატონ ლიანა ისაკაძის „გონიოს“ ფესტივალში მონაწილეობისას, რუსეთიდან მოწვეულმა დირიჟორმა, სიმფონიის რეპეტიციის დროს უცაბედად გააჩერა ორკესტრი და იკითხა: „კაკ დოლგა ვაშ არკესტრ ნე იგრალ კლასიჩესკუიუ მუზიკუ?“ უკვე ორ წელიწადზე მეტია, რაც სიმფონიური ორკესტრი პრაქტიკულად აღარ უკრავს სიმფონიას და დაკავებულია სხვადასხვა ღონისძიებებითა და „ხალტურებით“.

ამ ყველაფერში თავისი წილი პასუხისმგებლობა საზოგადოებასაც ეკუთვნის. პასუხისმგებლობა ალბათ არა იქ, რომ ავანსად ნიკოლოზ მემანიშვილს დიდი ნდობა გამოუცხადა. შეცდომა იმაშია, რომ შემდგომში საზოგადოებას არ აღმოაჩნდა ობიექტურობა და სიფხიზლე კლასიკურ ორკესტრში მისი მუსიკალური საქმიანობის შეფასებისას. ამან კი ასევე ხელი შეუწყო სიმფონიური ორკესტრის შემდგომ დაკნინებას.

ორიოდე „სირცხვილი“, რითაც დაიწყო ორკესტრმა თავისი ახალი პერიოდი.

ეროვნული მუსიკალური ცენტრის სახელით, სიმფონიური ორკესტრის პირველი ოფიციალური კონცერტი (დირიჟორი დევიდ კლინგე) გაიმართა 2005 წლის 3 ნოემბერს თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში. ნიკოლოზ მემანიშვილმა, გუსტავ მალერის მე-5 სიმფონიის მოსასმენად ანშლაგით მოსული მსმენელი, უხერხული სიტუაციის შექმნის ფასად აიძულა, რომ სიმფონიის შესრულებამდე მოესმინა მისი საკუთარი საორკესტრო პიესა, რომლის ნოტებიც უშუალოდ კონცერტის დაწყების წინ დაურიგდათ მუსიკოსებს. ორკესტრანტების შეფასებით, ეს იყო ნამდვილი „ხალტურა“.

ამავე თვის 23 რიცხვში შედგა „ვარდების რევოლუციის“ აღსანიშნავი კონცერტი რუსთაველზე ღია ცის ქვეშ. კონცერტს უცხო ქვეყნის პრეზიდენტებიც ესწრებოდნენ. აქ ერთ-ერთ ნომრად შესრულდა ბეთჰოვენის მე-9 სიმფონიიდან ფინალური ნაწილი ჩანაწერით. ეს ჩანაწერი არ იყო ჩვენი ორკესტრის მიერ შესრულებული. იგი ეკუთვნოდა სახელგანთქმულ დირიჟორს ჰ. ფონ კარაიანს. ორკესტრი კი ჰაერში ატარებდა ხემს იქით-აქეთ სხვის დაკრულზე. ეს სამარცხვინო ფაქტი არ დაიმალა და საზოგადოების სამართლიანი გულისწყრომაც გამოიწვია. გაზეთშიც დაიწერა ორკესტრის ამ სირცხვილის შესახებ. მსგავს ფაქტებს პატარა მასშტაბით შემდგომშიც ჰქონდა ადგილი.

კიდევ ერთი ჩვენი სირცხვილი: ნიკოლოზ მემანიშვილმა, უკვე 2012 წელს იმ ფონზე, როცა ორკესტრი დაკავებული იყო ძირითადად „გამრთობი“ პროგრამებით, იკადრა და არ დაუთმო ორკესტრი ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, პროფესორსა და დირიჟორს რევაზ ტაკიძეს (რომელიც ათეულობით წელია ორკესტრთან თანამშრომლობს), მისი საიუბილეო თარიღის, 70 წლისთავის აღსანიშნავი კონცერტისათვის. ამის გამო საზოგადოებას არ მიეცა პატარა ზეიმის მოწყობის საშუალება. ამ კონცერტში მის ქალიშვილს ანი ტაკიძეს უნდა დაეკრა, რომელსაც ორკესტრი კარგად იცნობს და იგი სულაც არ გახლავთ „რიგითი“ სოლისტი-პიანისტი. ნიკოლოზ მემანიშვილის ეს საქციელი, რბილად ვიტყვით, დანაშაულებრივად არაკოლეგიალურია.

დირიჟორი ნიკოლოზ მემანიშვილი, ნაცნობ-მეგობრობითა და მისადმი მაამებლობის მიხედვით ახერხებდა ინტრიგებისა და დასმენების ფონზე, სხვადასხვა შიდა დაჯგუფებების შექმნას, რითაც ორკესტრის სოციალური ცხოვრება სრულიად აუტანელი გახადა. იგი თავის ფავორიტებს უხდიდა მეტ ხელფასს და აძლევდა პრივილეგიებს. ბოლო წელიწადს კი ორკესტრში მოიყვანა „მისი მეგობარი“ ახალგაზრდა ამბიციური ორკესტრანტები და სრულიად დაუმსახურებლად მისცა დიდი პრივილეგიები და დაუნიშნა მათ ბევრად მეტი ხელფასი. მან ორკესტრში

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# რამდენი ბავშვი ჩაირიცხება ბაგა-ბაღებში სექტემბრიდან?

**საზოგადოების მოლოდინი, რომ ახალი ხელისუფლება საბავშვო ბაღებში არსებულ გადასახადს მყისიერად გააუქმებდა, არ გამართლდა. დანაპირები შესრულდება, ოღონდ მოგვიანებით – ახალი სასწავლო წლის დასაწყისში. ქალაქის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას რომ მოენდომებინა და სახსრები გამოენახა ბაგა-ბაღების დასაფინანსებლად, ერთბაშად მოიგებდა ნაცმოძრაობაზე შემომწყრალი საზოგადოების გულს, მაგრამ ასე არ მოხდა. ასე რომ, 45-დან 80 ლარამდე გადასახადის გადახდა კვლავ მოუწევთ თბილისის ბაგა-ბაღების აღსაზრდელებს სექტემბრამდე.**

მერი ნამორაძე



როგორც გაეროს ბავშვთა ფონდში ამბობენ, სკოლამდელი განათლების მომსახურება უმნიშვნელოვანეს ინვესტიციას წარმოადგენს საქართველოს გრძელვადიან განვითარებაში. ბავშვთა შემეცნებითი პოტენციალის გაზრდის ხელშეწყობა ცხოვრების ადრეულ ეტაპზე, უმნიშვნელოვანესია თითოეული ბავშვის შესაძლებლობების მაქსიმალური განვითარებისათვის. საერთაშორისო კვლევამ აჩვენა, რომ კარგად ორგანიზებული სკოლამდელი განათლება ხელს უწყობს ბავშვების მოსწრების გრძელვადიან გაუმჯობესებას სკოლებში, მათ შორის უფრო მაღალი ნიშნების მიღებას, კლასში ჩარჩენილი ბავშვების რაოდენობის კლებას და უკეთეს საგანმანათლებლო მიღწევებს, უნივერსიტეტებში ჩარიცხვის ჩათვლით. თუმცა სკოლამდელი განათლების დადებითი გავლენა მნიშვნელოვნად სცდება სკოლაში აკადემიურ მოსწრებას.

ეკონომიკურმა გათვლებმა აჩვენა, რომ ეს ერთ-ერთი საუკეთესო ინვესტიციაა, რომელიც ქვეყანამ შეიძლება განახორციელოს. მას უკუგების ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს საზოგადოებისათვის. საერთაშორისო კვლევებმა, ძირითადად აშშ-სა და ევროპაში, აჩვენა, რომ სკოლამდელი განათლების უზრუნველყოფა იწვევს: უმუშევრობის კლებას, სახელმწიფოს სოციალურ მომსახურებაზე დამოკიდებულების შემცირებას, დამნაშავეობის კლებას, ჯანმრთელობის უკეთეს მდგომარეობას, შემოსავლების ზრდას და, შესაბამისად, საგადასახადო შემოსავლების ზრდასაც.

2010 წლის სოციალური მომსახურების ხელმისაწვდომობის ბარიერების კვლევამ აჩვენა, რომ ღარიბი ბავშვების 56% (60% ბიჭები, 53% გოგონები) ჩართულია რაიმე სახის ორგანიზებულ სასწავლო ან საგანმანათლებლო პროგრამაში. ბავშვები საბავშვო ბაღში არ დადიან სამი ძირითადი მიზეზის გამო: საბავშვო ბაღის არარსებობის, საფასურის გადახდის უუნარობის და ოჯახის რომელიმე წევრის მიერ ბავშვის მოვლის გამო.

მას შემდეგ, რაც ბაღების შენობების გარკვეული ნაწილი გაუქმდა, მშობლებს ტერიტორიული ხელმისაწვდომობის პრობლემაც შეექმნათ. დარჩენილი შენობები მუნიციპალიტეტმა გაარემონტა, სამაგიეროდ, იმდენად გაიზარდა კონტინგენტის რაოდენობა, რომ თითოეულ ჯგუფში ბავშვების რაოდენობა ხშირად 30-ს აჭარბებს. შედეგად ვერც მოვლის ხარისხი იქნება ისეთი, როგორიც 20 ბავშვიან ჯგუფში იქნებოდა.

არასაკმარისია ოთახები ბავშვების დასაძინებლადაც. ბოლო რამდენიმე წელია, 3-4 წლის ბავშვებს საძინებელი ოთახები აღარ გააჩნიათ. რომელმა ფსიქოლოგმა ან პედიატრმა ურჩია ჩვენი ბაგა-ბაღების ბედის გადამწყვეტებს, რომ ამ ასაკის ბავშვებისათვის შუადღის ძილი არ უნდა შეეთავაზებინათ, ძნელი სათქმელია. ჰოდა, ნაცვლად იმისა, რომ ბავშვს გონება განუვითარდეს, ძილის რეჟიმის დარღვევის გამო, სადილის შემდეგ ისეთი თავჩაქინდრულნი და გათიშულნი სხედან ბავშვები, ჰარმონიულ ზრდა-განვითარებაზე საუბარი ზედმეტია.

დადგება ნანატრი სექტემბერიც და, სავარაუდოდ, ბაგა-ბაღებს გადასახადის გაუქმების გამო გაცილებით მეტი ბავშვი მიაწყდება. რამდენად ეყოფა შენობები ყველა მსურველს, ძნელი სათქმელია. ვინც მაღალი გადასახადის გამო იკავებდა თავს ბავშვის ბაღში მიბარებისგან და ეს ბარიერი აღარ ექნება, უარს აღარ იტყვის სკოლამდელი აღზრდის შეთავაზებულ სერვისზე. დიდი ალბათობით, არსებული შენობები ყველა მსურველს ვეღარ დაიტევს და მუნიციპალიტეტს კვლავ მოუწევს ფიქრი გაუქმებული ბაღების შენობების აღდგენა-განახლებაზე. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს პროცესი ტერიტორიულ ხელმისაწვდომობას ისევ აღადგენს.

როგორც ექსპერტები ამბობენ, აუცილებელია მუნიციპალიტეტების შესაძლებლობების გაძლიერება ბავშვიანი ოჯახებისთვის სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის უფლების რეალიზაციისა და ხარისხიანი მომსახურების უზრუნველსაყოფად. ასევე მშობლებისა და აღმზრდელების მიერ ბავშვის განვითარებისათვის ადრეულ ასაკში განათლების განსაკუთრებული შემეცნებითი მნიშვნელობის უკეთ გაცნობიერება. აუცილებელია უფრო ძლიერი და ინტენსიური თანამშრომლობა მთავრობასა და კერძო სექტორს შორის, რომელიც ადრეული ასაკის ბავშვების განათლების სფეროში მნიშვნელოვანი მონაწილეა. ადრეული ასაკის ბავშვების განათლების სფეროს მეტი და უფრო მიზნობრივი საჯარო დაფინანსება და არაფორმალური და სათემო შესაძლებლობების განვითარება სჭირდება. განსაკუთრებული აქცენტი კი ღარიბ ბავშვებზე, სოფლად მცხოვრებ და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებზე უნდა გაკეთდეს.

აუცილებელია ასევე იმ ბარიერების უკეთ გაცნობიერება, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს ხელს უშლის სკოლამდელ განათლებაში ჩართულობაში. როგორც ექსპერტები ამბობენ, აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე უნდა მოხდეს ეროვნული პოლიტიკისა და ადგილობრივი ინიციატივების შემუშავება და ამ გზით უთანასწორობის აღმოფხვრა.

**გიორგი ივანეს ძე ფხაკაძის მემკვიდრეთა საყურადღებოდ!**

24.03.2009 წ.-ს გარდაცვლილი გიორგი ივანეს ძე ფხაკაძის (დაბადებული 25.07.1918 წ.) სამემკვიდრეო საქმე იწარმოება ნოტარიუს ოთარ ზოიძის სანოტარო ბიუროში. დაინტერესებულმა პირებმა 2013 წლის 10 მარტამდე მიმართეთ ნოტარიუს ოთარ ზოიძეს (თბილისი, მარჯანიშვილის ქ.№21, მე-4 სართული).

# ლევან ყენია: „ჯობია, ლამაზად წავაგო, ვიდრე გულშემატკივრები აწვალო“

**საქართველოს ნაკრებისა და ლვოვის „კარპატის“ შემტევმა ნახევარმცველმა უკრაინულ მედიასთან საკმაოდ ვრცლად და საინტერესოდ ისაუბრა. ჩვენებური უამრავ თემას შეეხო.**

***– „ზენიტს“ „შალკესთან“ მჭიდრო ურთიერთობა აქვს. მათ გარდა, თქვენით სხვა კლუბები თუ იყვნენ დაინტერესებულნი?***

– დიახ. ერთი კლუბი იყო ჰოლანდიის ერედივიზიონიდან და რამდენიმე გუნდი – გერმანიის მეორე ბუნდესლიგიდან.

***– ჰოლანდიური კლუბი შემთხვევით „ვიტესი“ ხომ არ იყო?***

– კონკრეტულად საუბარი არ მსურს. რატომ ავირჩიე „კარპატი“? დამიჯერეთ, ჩემთვისაც რთულია პასუხის გაცემა – ინტუიციამ მიკარნახა.

***– უკრაინული გუნდებიდან მხოლოდ „კარპატი“ იყო დაინტერესებული?***

– დიახ. ლვოველები ჩემს შეძენას ექვსი თვის განმავლობაში ცდილობდნენ. აგენტთან ერთად ამ საკითხს დიდი ხნის განმავლობაში განვიხილავდი. „შალკესთან“ კონტრაქტი ზაფხულში მეწურებოდა და ავტომატურად თავისუფალი აგენტი ვხდებოდი. ლვოველებს ზამთარში რომ ვეყიდე, ფული უნდა გადაეხადათ. ზაფხულში კი კლუბში სრულიად უფასოდ გადავედი.

***– „კარპატი“ „შალკესთან“ შედარებით უფრო მცირე მასშტაბის კლუბია?***

– რა თქმა უნდა. თუმცა, ეს ყველაზე ნაკლებად მანერვიულებდა. ფეხბურთში აღმასვლაც ხდება და დაღმასვლაც. სამწუხაროდ, სერიოზული ტრავმის გამო ორი წელიწადი გამიცდა. ეს კი დიდი დროა. დღესდღეობით ადრინდელ კონდიციებს ვუახლოვდები. ცხადია, 100 პროცენტით მზად არ ვარ. ფიზიკური კონდიციები მთელი მატჩის სათამაშოდ არ მყოფნის. ეს იმიტომ, რომ ზაფხულის შეკრება გავაცდინე. ვფიქრობ, ზამთარში სათანადო სათამაშო ფორმაში საბოლოოდ შევალ.

***– თითქმის სამწლიანი უქმობის შემდეგ რთული არ იყო თამაში?***

– ბუნებრივია. ბოლო ნახევარი თვე „შალკეს“ მე-2 გუნდში ვვარჯიშობდი, რადგან ცნობილი იყო, რომ გელზენკირხენში არ დავრჩებოდი. დიდ ფეხბურთში დაბრუნება სასიამოვნო იყო.

***– „კარპატიში“ არსებული ვითარება არ გაღელვებდათ? იყო პერიოდი, როდესაც ლვოველებმა ზედიზედ 7 მატჩი ვერ მოიგეს. არჩევანის სისწორეში ეჭვი ხომ არ შეგპარვიათ?***

– არავითარ შემთხვევაში. „კარპატიში“ დროებითი კრიზისი იყო. მაშინ თამაში ახალი დაწყებული მქონდა და მოედანზე ნახევარი საათით გავდიოდი. ფსიქოლოგიურად მიჭირდა. თუმცა, ამ ეტაპმა ჩაიარა. ამჟამად „კარპატი“ გაცილებით უკეთ თამაშობს და პროგრესირებს, რაც მახარებს.

***– მე-14 არ არის ის ადგილი, რომელზეც „კარპატი“ უნდა იყოს.***

– ცხადია, ეს ძალიან დაბლაა. შემადგენლობას გადახედეთ. ჩვენს გუნდს გაცილებით დიდი პოტენციალი აქვს. მით უმეტეს, მას შესანიშნავი სპეციალისტი ნიკოლაი კოსტოვი ხელმძღვანელობს. „კარპატის“ გულშემატკივრებს ცოტა მოთმინება სჭირდებათ და ყველაფერი სხვაგვარად იქნება.

***– ევროპის ლიგაში მოხვედრის შანსი კიდევ გაქვთ?***

– რთული სათქმელია. ევროპის ლიგის ზონას „კარპატის“ 8 ქულა აშორებს. ერთი მხრივ, ეს არცთუ ბევრია, ხოლო მეორე მხრივ ჩვენ წინ ბევრი გუნდია და ყველა ქულას გამუდმებით ვერ დაკარგავს.

***– ევროთასებზე უკრაინის თასიდან მოხვედრა უფრო ადვილი იქნება?***

– მე-5 ადგილიც შორს არაა. თასის მეოთხედფინალში დონეცკის „შახტარს“ მისსავე მოედანზე ვეთამაშებით. შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ბრძოლა იქნება, მით უმეტეს, მეოთხედფინალი გაზაფხულზე შედგება, როდესაც შეკრებას გავივლით და როგორც ფიზიკურ მდგომარეობას, ასევე თამაშის ხარისხს გავაუმჯობესებთ. გამარჯვების შანსი ყოველთვის არის. მნიშვნელობა არ აქვს, „შახტარს“ ეთამაშები თუ „ჩელსის“. წარმატების უნდა გჯეროდეს. ვნახოთ, რა გამოვა.

***– „დონბას არენაზე“ ერთხელ უკვე ითამაშეთ. როგორი შთაბეჭდილება დაგრჩათ?***

– საუცხოო არენაა. ეს ჩემ მიერ „კარპატიში“ ჩატარებული პირველი თამაში იყო. ძალიან გამიჭირდა. მოედანზე მე-2 ტაიმში შტილიჩის მაგივრად გავედი და 30 წუთი ვითამაშე.

***– თასის მერვედფინალში ხარკოვის „მეტალისტთან“ მოპოვებული გმირული გამარჯვების შემდეგ გაზრდილი პრემიალური თანხა არ მიიღეთ?***

– მივიღეთ. რამდენი? საიდუმლოა.

***– „შახტარი“ „მეტალისტზე“ ძლიერია?***

– ეს ნათელია. „შახტარი“ უკრაინის დანარჩენ გუნდებს ერთი თავით სჯობია. ამის დასტური საშინაო და საერთაშორისო არენაზე ნაჩვენები შედეგებია.

***– კოსტოვის მსგავსად თქვენც ფიქრობთ, რომ მსაჯები „კარპატის“ არ წყალობენ?***

– მწვრთნელი ამას არ ამბობს. ჩვენ ყველაფერს საუცხოოდ ვხედავთ. უკრაინაში ჩატარებულ 10 მატჩში მსაჯები ხშირ შემთხვევაში ჩვენს მეტოქეებს ეხმარებოდნენ. ეს მიკერძოება შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, მაგრამ ამის მიზეზი არ ვიცი. გერმანიაში შეიძლება მსაჯი შეცდეს, მაგრამ ასეთი რამ სეზონში ერთხელ ხდება. როდესაც მოკლე პერიოდში ეს ორჯერ-სამჯერ მეორდება – უკვე სისტემაა.



***– კიევის „დინამოსა“ და „დნიპროს“ წინააღმდეგ ითამაშეთ. ვისთან უფრო გაგიჭირდათ?***

– „დნიპროსთან“. უკრაინაში პირველი „შახტარია“, ხოლო მეორე – „დნიპრო“. ამ გუნდის შემადგენლობაში ბევრი მაღალი დონის შემსრულებელია.

***– პირველ წრეში უკრაინის წამყვან ოთხ გუნდს „კარპატი“ სტუმრად ეთამაშა. როგორ ფიქრობთ, საკუთარი მოედნის ფაქტორი გუნდის შედეგებზე ძალიან მოქმედებს?***

– შინ და სტუმრად თამაში სულ სხვადასხვა რამაა. „კარპატი“ თავის მოედანზე ძლიერია. ლვოვში სხვა ფეხბურთს ვთამაშობთ, უფრო აგრესიულს. სტუმრად რატომღაც სუსტად ვთამაშობთ.

***– მეტოქიდან გამომდინარე, როგორ იცვლება „კარპატის“ ტაქტიკა?***

– მწვრთნელი ყოველი მეტოქის წინააღმდეგ სხვადასხვა ტაქტიკას იყენებს. ჩემპიონატის ლიდერებთან მატჩებში კოსტოვი დაცვით ტაქტიკას ირჩევს. მწვრთნელი არ გვეუბნება, რა შედეგს უნდა მივაღწიოთ. უბრალოდ, ის გვთხოვს, ფეხბურთი ვითამაშოთ. ცხადია, საკუთარი გულშემატკივრების თვალწინ „ჩაკეტილ“ ფეხბურთს ვერ ვითამაშებთ. ვცდილობთ, ჟინითა და აზარტით ვითამაშოთ.

***– „კრივბასთან“ 6:0 გამარჯვება იმ მატჩების სერიას ეკუთვნის, როდესაც ყველაფერი გამოგდის?***

– ჩვენთვის ეს ძალიან იღბლიანი დღე იყო. ასე ხდება, როდესაც ყველაფერი გამოგდის, ხოლო მეტოქეს – არაფერი. დემორალიზებული მოწინააღმდეგის განადგურება ადვილია და შედეგად 6:0 მოვიგეთ.

***– რა უთხარით უჩა ლობჯანიძეს თამაშის მერე?***

– მისი განერვიულება არ მინდოდა. ვუთხარი – კარგად იყავი, ნაკრებში შევხდებით. უჩასთან ტელეფონით ხშირად ვსაუბრობ. ქართველები კონტაქტური და მეგობრული ხალხი ვართ.

***– ეს თქვენ მიერ უკრაინაში ჩატარებული საუკეთესო მატჩია?***

– გუნდისთვის საუკეთესო, ჩემთვის – არა.

***– მაშინ, საუკეთესო რომელია?***

– ვერ გეტყვით. საერთოდ, თამაში ძლიერი მეტოქეების წინააღმდეგ მიყვარს. საკუთარი თავი ასეთ მატჩებში უნდა წარმოაჩინო.

***– სადღეისოდ „კარპატის“ შემადგენლობაში საუკეთესო ფეხბურთელი ვინ არის?***

– ჩვენ ტექნიკური ფეხბურთელები გვყავს – შტილიჩი, ლუკასი. ჩემი აზრით, „კარპატი“ გუნდური სულით არის ძლიერი. კიდევ უნდა შევთამაშდეთ, რადგან გუნდში ბევრი ახალი ფეხბურთელია, მათ შორის – მეც.

***– აგვიხსენით, როგორ მოასწრო დაუშვილმა პირველ წრეში ორი წითელი ბარათის მიღება?***

– ბუბა იმით ფასობს, რომ მისი სათამაშო სტილი ძალიან აგრესიულია. მას დიდი პოტენციალი აქვს და მისი თამაშის მანერა მომწონს. ბოლო წლებში საქართველოს ნაკრებში სტაბილურად თამაშობს. ბუბა წმინდა წყლის საყრდენი ნახევარმცველია. ეს რთული პოზიციაა. ამ ამპლუის ფეხბურთელი ხისტი უნდა იყოს.

***– ლვოვში დაუშვილთან ერთად ცხოვრობთ?***

– არა. მას თავისი ოჯახი ჰყავს, მე – ჩემი. ერთმანეთისგან შორს ვცხოვრობთ, თუმცა, ხშირად ვახერხებთ ერთად ქალაქში გასეირნებას.

***– ლვოვი მოგწონთ?***

– პატარა, მაგრამ ძალიან მყუდრო ქალაქია. საუცხოო ცენტრი აქვს.

***– ლვოვი განთქმულია თავისი კაფეებით. იქ ყოფილხართ?***

– რამდენჯერმე. ვადასტურებ, კარგი ყავაა, თუმცა, მე და ბუბას უფრო ბორშჩი მოგვწონს.

***– ცოლი გერმანელი გყავთ?***

– არა, სერბი. სლავკა ჰქვია. გელზენკირხენში გავიცანი. მას სერბული ფესვები აქვს, მაგრამ გერმანიაში დაიბადა. ორი წელიწადია, დაქორწინებული ვართ. გოგონა გვყავს – ლიკა.

***– „შალკეს“ როგორ იხსენებთ?***

– არცთუ კარგად. ძალიან ბევრი ტრავმა და ოპერაცია გადავიტანე. კარგი პერიოდიც მქონდა, მაგრამ მხოლოდ სამი-ოთხი თვე. „შალკეში“ 17 წლის ასაკში გადავედი, მაგრამ პირველ გუნდში თამაშის უფლება 18 წლიდან მქონდა. ამიტომ ნახევარი წელიწადი მეორე გუნდში გავატარე.

***– გელზენკირხენულ კლუბში ქართული ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავის რანგში გადახვედით. თქვენი პერსონის მიმართ გერმანიაში მომატებული ყურადღება იყო?***

– მასმედიის მხრიდან ყურადღება ავტომატურად გაიზარდა, როდესაც „შალკეს“ პირველ გუნდში გამოვჩნდი. გერმანელები ფეხბურთით ცხოვრობენ. ფეხბურთელების შესახებ ყველაფერი იციან.

***– ლევან კობიაშვილი გმფარველობდათ? მას კლუბში ავტორიტეტი ჰქონდა?***

– ლევანს „შალკესი“ გადასვლამდეც კარგად ვიცნობდი. ბიძაჩემი გიორგი კიკნაძე ლევანთან ერთად თამაშობდა. შემდეგ ჩვენ სამი წელი ერთ გუნდში ვიყავით. ბუნებრივია, ლევანს კლუბში პატივს სცემდნენ, რადგან „შალკესთვის“ ბევრი გააკეთა.

***– „შალკეში“ თქვენი კონკურენტი ვინ იყო? თავდაპირველად – რაკიტიჩი. შემდეგ?***

– არა მხოლოდ რაკიტიჩი. გუნდში მყოფი ოცდაათივე ფეხბურთელი შენი კონკურენტია. როდესაც გუნდს ფელიქს მაგათი წვრთნიდა, ძალიან დიდი კონკურენცია იყო.

გაგრძელება მე-9 გვერდზე


## SMS-განცხადებები - 3090

● ვყიდი მუხრან-თელეთში ახალაშენებულ (გასაკეთებელია სველი წერტილი) 276 კვ. მეტრის საცხოვრებელ სახლს, მონტერეის გადახურვით, მეტ. პლასტმასის კარფანჯრებით, რკინის ჯალუზებით, საკ. წყლით, ბუნებრივი აირით, 600კვ.მ მიწის ნაკვეთით. სხლი მდებარეობს თბილისიდან 22კმ-ში. ფასი 30000 დოლარი. 15000 დოლარი ხელზე და 15000 დოლარი განვადებით. ტელ.: 577424122. 599722748. გია.

● ვყიდი მუხრანში ერთსართულიან სახლს თავისი 1000 კვ.მ ნაკვეთით. ფასი: 15000 – 10000 ახლა, 5000 – მერე. ტელ.: 577-64-96-75, 571-77-71-76. ნინო.

## განცხადებები

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● მოვამზადებ ინგლისურში სკოლის მოსწავლეებს ვარკეთილის მიმდებარე ტერიტორიაზე. ტელ: 595-471-479.

● **კოსმეტოლოგი ლამარა თოდუა თავის მრავალწლიანი გამოცდილებით და მამა-პაპური გამოცდილების მცენარეული რეცეპტურით კანის უამრავ დაავადებას არჩენს.** სახის კანის გაწმენდა ხდება ახალი და ძველი რეცეპტურით. მყავს ათასობით მადლიერი პაციენტები. ვარჩენ გამონაყარს, მეჭეჭებს, დამწვრობას, სებორეას, ჰაიმორიტ-ფრონტიტს, თმის ცვენას, ქერტლს, ერთი პროცედურით ვაშორებ ტილებს. ვარჩენ სოკოს, ქავილს, ჩაზრუნებულ ფრჩხილებს, მაზოლებს, ძირმაგარებს, ნაიარევს. ახალნამშობიარებ დედებს მოვურჩენ მასტიტს, გამაგრებას. ნებისმიერი კანისთვის ვამზადებ მკვებავ და დამცავ კრემებს. მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ დ№1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მოგიხსნით ნეგატიური ზემოქმედებით გამოწვეულ პრობლემებს ფოტოსურათით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, აფორიაქებას, დაძაბულობას, შებოჭილობას, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას.მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423

**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის. უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**




**საბანკო რეკვიზიტები:**

**ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425**
**ხობი, სოფ.ნოჯიხევი**
**ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.**
**ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი**
**ბ/კ: LBRTGE22**
**ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000**



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

# ლევან ყენია: „ჯობია, ლამაზად წააგო, ვიდრე გულშემატკივრები აწვალო“

დასაწყისი მე-8 გვერდზე

***– 2009-10 წლების სეზონში „შალკეს“ სასტარტოში თამაშობდით. მაგათმა თქვენი ირწმუნა?***

– მაგათის ხელში დაახლოებით 20 მატჩი ვითამაშე. აქედან 7-8 – სასტარტო შემადგენლობაში. ეს ძალიან სასიამოვნო იყო, რადგან მხოლოდ 18 წლის ვიყავი. სასტარტოში ისეთი ფეხბურთელების გვერდით ვთამაშობდი, როგორებიც ალტინტოპი და კურანი არიან.

***– ვერცხლის მედალი გერმანიის ჩემპიონატში ჩატარებული 10 მატჩისთვის მიიღეთ?***

– დიახ.

***– მას შემდეგ, რაც გამოჯანმრთელდით, თქვენ მიმართ მაგათის დამოკიდებულება შეიცვალა?***

– აღსანიშნავია, რომ გუნდს დიდი ხნით გამოვაკლდი. როდესაც გამოვჯანმრთელდი, მაგათს სურდა, რომ სარეაბილიტაციო პერიოდი მაქსიმალურად სწრაფად გამევლო. თუმცა, ვარჯიშებზე ბოლომდე ვერ ვიხარჯებოდი, რადგან ფეხი მტკიოდა. ალბათ, მაგათი ამას ვერ ხვდებოდა.

***– უკვე განაცხადშიც ვერ ხვდებოდით?***

– როგორც მახსოვს, მხოლოდ ერთხელ ვიყავი სათადარიგოებში, „აუგსბურგთან“ მატჩში.

***– მას შემდეგ, რაც კობიაშვილი „შალკედან“ „ჰერტაში“ წავიდა, თქვენს თავზე ცა საბოლოოდ „მოიღრუბლა“?***

– ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა.

***– „შალკეს“ წარმატებების გვერდიდან ყურება როგორი იყო? 2010-11 წლების სეზონში გუნდმა ხომ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალს მიაღწია.***

– ეს ძალიან საწყენი იყო. ტრიბუნებზე ვიჯექი და წარმოვიდგენდი, რომ იმ მომენტში „მანჩესტერ იუნაიტედის“ წინააღმდეგ შემეძლო თამაში. თუმცა, ასეთია ცხოვრება. მთავარია, სულით არ დაეცე. საბედნიეროდ, ყველაზე ცუდმა პერიოდმა ჩაიარა. მჯერა, რომ მალე ჩემპიონთა ლიგაშიც ვითამაშებ.

***– როგორ ფიქრობთ, ნიჭიერი ახალგაზრდის, იულიან დრექსლერის გამოჩენამ „შალკეში“ დაბრუნებაში ხელი შეგიშალათ?***

– ასე არ ვფიქრობ. მე ხელი ტრავმებმა შემიშალა. ერთი პერიოდი დრექსლერთან ერთად ვვარჯიშობდი. ნიჭიერი ბიჭია.

***– ბუნდესნაკრებში მოხვდება? დრექსლერი როისსა და გიოტცეს ჩამორჩება?***

– დრექსლერი სხვა ტიპაჟია. ისინი განსხვავებული ამპლუის ფეხბურთელები არიან. დარწმუნებული ვარ, დრექსლერი გერმანიის ნაკრებში დამკვიდრდება.

***– რალფ რანგნიკმა და ჰუუბ სტევენსმა თქვენში პერსპექტივა ვერ დაინახეს?***

– როდესაც რანგნიკი მწვრთნელი იყო, რეაბილიტაციის პროცესს გავდიოდი. სტევენსმა კი ჩემი შესაძლებლობების ნამდვილად არ დაიჯერა. „შალკე“ სამ ფრონტზე იბრძოდა და გასაგებია, სტევენსი ახლოს რატომ არ მიკარებდა. მას შედეგი სჭირდებოდა.

***– იცით, რომ ადოლფ ჰიტლერი „შალკეს“ მიმართ განსაკუთრებული სიმპათიით იყო განწყობილი?***

– ამის შესახებ გერმანიაში გავიგე. თუმცა, ეს სიმართლეა თუ მოგონილი ამბავი, არ ვიცი.

***– ჰიტლერის შესახებ რა იცით?***

– ეს გრძელი ისტორიაა.

***– გერმანულ ენას სრულყოფილად ფლობთ?***

– არა, მაგრამ კარგად მესმის და ვსაუბრობ. სხვათა შორის, მეუღლეს გერმანულად ველაპარაკები.

***– სერბული არ გესმით?***

– ეს მეტისმეტი იქნებოდა. ქართული, რუსული, გერმანული... პოლიგლოტი ხომ არ ვარ.

***– ფეხბურთის გარდა, გელზენკირხენი კიდევ რით არის კარგი?***

– არაფრით. ეს პატარა ქალაქია და ბევრით ვერაფრით გაერთობი – მხოლოდ ფეხბურთით. იქ ხალხი ფეხბურთით ცხოვრობს. კლუბს საუცხოო გულშემატკივრები ჰყავს და სტადიონი ყოველთვის სავსეა.

***– გერმანიაში ყველაზე რთულად რას შეეჩვიეთ?***

– ენას. გერმანული ნორმალურად ჩასვლიდან ორი წლის შემდეგ ვისწავლე.

***– ყოფილი საბჭოთა კავშირის მცხოვრებლები გერმანიაში არ უყვართ?***

– მგონი, ნორმალურად ეპყრობიან. ყოველ შემთხვევაში, თითს არავინ გიშვერს.

***– ქართველმა ფეხბურთელებმა ყველაზე კარგად თავი გერმანიაში რატომ გამოავლინეს? გავიხსენოთ თუნდაც იაშვილი, ცქიტიშვილი, კობიაშვილი.***

– ისინი კარგი ფეხბურთელები იყვნენ. ჩემი აზრით, ამჟამად ბუნდესლიგა ისეთი ძლიერია, როგორც არასოდეს. ბუნდესლიგაში ფეხის მოკიდება ძალიან ძნელია. ალბათ, უფრო ძნელი მხოლოდ ინგლისშია. ესპანეთი და იტალია მათთან ვერ მივლენ.

***– ბოლო პერიოდში გერმანიაში ქართველი ფეხბურთელები რატომ აღარ ჩადიან?***

– ალბათ, ბუნდესლიგის დონეს არ შეესაბამებიან. ბუნდესლიგაში რომ მოხვდე, საუკეთესო უნდა იყო.

***– ტიმოშჩუკს ან ვორონინს იცნობთ?***

– არა.

***– როგორ ფიქრობთ, ბუნდესლიგაში თქვენი დაბრუნება შესაძლებელია?***

– გამორიცხული არაა. გერმანიის ჩემპიონატში დაბრუნებას არ ვჩქარობ. ჯერჯერობით „კარპატიში“ თავს კარგად ვგრძნობ. დარწმუნებით ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ ოდესმე ბუნდესლიგაში დავბრუნდები.

***– ეროვნულ გუნდში დებიუტი კარგად გახსოვთ?***

– აბა, რა! ეს მთელი ცხოვრება მემახსოვრება. მაშინ 16 წლის ვიყავი. დებიუტი ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში თბილისში, უკრაინის წინააღმდეგ ჩატარებულ მატჩში მქონდა. მოედანზე მეორე ტაიმში გავედი და ნახევარი საათი ვითამაშე. შეხვედრის ბოლოს სირაძემ ანგარიში გაათანაბრა და საქართველომ მატჩი გადაარჩინა – 1:1.

***– საქართველოს ეროვნული ნაკრების მაშინდელმა მთავარმა მწვრთნელმა კლაუს ტოპმიოლერმა საქართველოს ყველაზე ნიჭიერ ახალგაზრდა მოთამაშედ დაგასახელათ. ჰექტორ კუპერი ასე არ ფიქრობდა?***

– ეს კუპერს უნდა ჰკითხოთ. ისიც კარგი სპეციალისტია.

***– ქართული ფეხბურთის განვითარებაში ვინ უფრო დიდი წვლილი შეიტანა – ტოპმიოლერმა თუ კუპერმა?***

– ტოპმიოლერმა. მაღალი დონის მწვრთნელია. უყვარს, როდესაც გუნდი ფეხბურთს თამაშობს და არა ვალს იხდის. უპირატესობას სწრაფ ფეხბურთსა და შეტევას ანიჭებს. საერთოდ, ცოტა სპეციალისტია, რომლებიც შემტევ ფეხბურთს ქადაგებენ.

***– კუპერი? ის უპირატესობას კუპერის ტესტს ანიჭებს?***

– აკურატული მწვრთნელია.

***– თემურ ქეცბაიას სათამაშო სტილი აღგვიწერეთ. ეს ის ადამიანია, რომელიც ნაკრებს სჭირდება?***

– მართალი გითხრათ, ქეცბაიას სათამაშო სტილი არ მომწონს. ის თავიდან ბოლომდე დაცვაზეა ორიენტირებული. მე სწრაფი, შემტევი, აქტიური ფეხბურთი მიყვარს. ვფიქრობ, რომ სჯობს, ლამაზად წააგო, ვიდრე გულშემატკივრები აწვალო. მთელი სულითა და გულით უნდა ითამაშო. არ მიყვარს ჩაკეტილი გუნდები, რომლებიც თვითონ არ თამაშობენ და არც შენ გაძლევენ თამაშის საშუალებას. გვერდიდან ასეთ ფეხბურთს როგორ უნდა უყურო? ეს ხომ შეურაცხყოფაა.

***– ეროვნულ ნაკრებში ჩატარებული თამაშებიდან ყველაზე მეტად რომელი დაგამახსოვრდათ?***



– როდესაც 2008 წლის ევროშესარჩევის ციკლში თბილისში შოტლანდია 2:0 დავამარცხეთ. მაშინ 17 წლის ვიყავი. ეს მართლაც ძალიან ლამაზი იყო.

***– ნაკრებში ყველაზე უფრო ვისთან მეგობრობთ?***

– ყველასთან ახლო ურთიერთობა მაქვს. ქართველები ერთიანი ერი ვართ.

***– ეროვნული გუნდის მატჩებზე როგორ ჩადიხართ?***

– კიევის გავლით. სამწუხაროდ, პირდაპირი რეისი ლვოვი-თბილისი არ არსებობს.

***– ფრენის არ გეშინიათ?***

– არა. აეროფობია არ მაწუხებს.

***– თავს სად უფრო უსაფრთხოდ გრძნობთ – საჭესთან თუ თვითმფრინავში?***

– ალბათ, როგორც ნებისმიერი ნორმალური ადამიანი, საჭესთან.

***– რომელ ავტომანქანას ფლობთ?***

– ბმვ იქს5.

***– რამდენი ავტომანქანა გაქვთ გამოცვლილი?***

– არ დამითვლია, მაგრამ ნამდვილად სამზე მეტი.

***– სისწრაფის რეკორდებს ამყარებთ?***

– 18 წლის ასაკში თბილისში ავტოავარიაში მოვყევი და ეს ჩემთვის გაკვეთილი იყო. ავტოავარია ჩემი ბრალი იყო. მანქანა გადასაგდები გახდა, მაგრამ, საბედნიეროდ, ყველა ცოცხალი გადავრჩით. არცთუ კარგი გასახსენებელია.

***– ოდესმე ზედმეტი წონის პრობლემა გქონიათ?***

– არასოდეს. გერმანიაში ჩემი სათამაშო წონა 70 კილოგრამი იყო. „კარპატიში“ ორი კილოგრამით ნაკლებს ვიწონი.

***– ერთ თამაშში რამდენ კილოგრამს კარგავთ?***

– სტაბილურად ორიდან ორ-ნახევარ კილოგრამამდე. შემდეგ ჩემთვის წონის აღდგენა რთულია. ამას ოთხი დღე ვუნდები. კარგად ვჭამ და ბევრ წყალს ვსვამ.

***– 90 წუთის განმავლობაში მაქსიმუმ რამდენი კილომეტრი გირბენიათ?***

– არასოდეს დავინტერესებულვარ. პრინციპში, გარბენილი კილომეტრები შედეგზე არ მოქმედებს. გამძლეობის მაჩვენებელი გამარჯვების მაჩვენებელი არ არის. შეგიძლია, ბურთი აკონტროლო, 7 კილომეტრი ირბინო და თამაში მოიგო, ხოლო ამ დროს მეტოქეს 10 კილომეტრი ჰქონდეს ნარბენი. მთავარია, რომ მეტოქეზე სწრაფი ვიყო. მაშინ ყველაფერი კარგად იქნება.

***– ახლა, მეტოქეებზე სწრაფი ხართ?***

– ყოველთვის არა. კიდევ უნდა ვიმუშაო.

***– საფეხბურთო მაისურებს აგროვებთ?***

– ბუნდესლიგაში ვაგროვებდი, ხოლო ტრავმის მიღების შემდეგ აღარ გამიგრძელებია.

***– გაქვთ ისეთი მაისური, რომელიც თქვენთვის ყველაზე ძვირფასია?***

– ყველა სხვებს დავურიგე.

***– ისეთი დატვირთვები თუ მიგიღიათ, რომლებსაც არაადამიანურს უწოდებენ?***

– დიახ, მაგათთან. ეს საშინელება იყო. არც კი ვიცი, უფრო მეტად ფეხბურთელებს ვინ ტვირთავს. დღეში სამი ვარჯიში გვქონდა ხოლმე.

***– თქვენ მიერ ჩატარებული მატჩების ვიდეოჩანაწერებს უყურებთ ხოლმე?***

– იმ შემთხვევაში, თუ საკუთარი თამაშით უკმაყოფილო ვარ. თუ კმაყოფილი ვარ, მაშინ არ ვუყურებ.

***– უკრაინაში თავს უცხოელად გრძნობთ?***

– უკვე – არა. ენის ბარიერი არ არის და ეს მნიშვნელოვანია.

***– საქართველო და ღვინო თითქმის სინონიმებია. პირველად ღვინო როდის გასინჯეთ?***

– როდესაც ძალიან პატარა ვიყავი. 12 წლის ასაკში.

***– რამდენი ლიტრი ღვინის დალევა შეგიძლიათ?***

– რეკორდები არ დამიმყარებია. ახლა ღვინო აღარ მიყვარს.

***– შეიძლება, რაიმე უფრო მაგარ სასმელს მიეჩვიეთ?***

– არა. გერმანიაში გატარებული ამდენი წლის შემდეგ უფრო ხშირად ლუდს ვსვამ. „კრომბახერი“ მომწონს. სხვათა შორის, „ლვოვსკოეც“ კარგია.

***– სწრაფად თვრებით?***

– ალკოჰოლისადმი არცთუ კარგი დამოკიდებულება მაქვს. ლუდსაც ცოტას ვსვამ.

***– უპირატესობას რომელ სამზარეულოს ანიჭებთ?***

– რა თქმა უნდა, ქართულს. ხაჭაპური, ხინკალი, ქაბაბი... რაც ქართულია, ყველაფერი კარგია.

***– თქვენს ცხოვრებაში რელიგიას რა ადგილი უკავია?***

– პირველი. ძალიან რელიგიური ვარ. ამ თემაზე ბევრ ლიტერატურას ვკითხულობ.

***– რას გააკეთებდით, ფეხბურთში რომ არ გაგმართლებოდათ?***

– რთული სათქმელია. იყო პერიოდი, როდესაც ამის შესახებ სერიოზულად ვფიქრობდი და თავს საშინლად ვგრძნობდი.

***– ეს როდის?***

– როდესაც ტრავმის გამო ორწელიწად-ნახევარი არ ვთამაშობდი.

***– ბევრ ფეხბურთელს თავისი ბიზნესი აქვს. იქნებ თქვენც გაქვთ?***

– ეს ჩემი საქმე არ არის. ამჟამად ოჯახისა და ფეხბურთის გარდა არაფერი მაინტერესებს. მამა, დედა, მეუღლე და ბავშვი. დედ-მამა ჩემთან ერთად ლვოვში ცხოვრობს. მშობლებს ძალიან ვარ მიჩვეული. ისინი ჩემთან ერთად გერმანიაშიც იყვნენ.

***– ოდესმე რეკლამაში გადაუღიხართ?***

– ერთხელ. საქართველოში.

***– რას უკეთებდით რეკლამას?***

– არ მახსოვს.

***– კარგად გადაგიხადეს?***

– საქართველოში კარგად არ იხდიან.

***– რომელი ფეხბურთელის ქორწილში ყოფილხართ?***

– არც ერთის. ქორწილში მხოლოდ ერთხელ ვიყავი, ისიც მეგობრის, რომელიც ფეხბურთელი არ არის. ზაფხულში ქორწილი მე მექნება, უფრო სწორად, ჯვრისწერა.

***– საქართველოში ქორწილებში რის ჩუქებაა მიღებული?***

– მიღებულია სმა და აუცილებლად ჩხუბი ქორწილის ბოლოს.

***– სად ისვენებთ ხოლმე?***

– მე ზღვა მიყვარს. ოჯახთან ერთად ყოველთვის ზღვაზე ვისვენებთ. ყოველ ზაფხულს მალიორკაში დავდივართ.

***– ყველაზე ლამაზი ქალაქი, რომელშიც ყოფილხართ.***

– პარიზი.

***– რომელ ცნობილ ქართველებთან ურთიერთობთ?***

– ბევრ მსახიობს ვიცნობ.

***– მელაძის კონცერტზე იყავით?***

– არა, მაგრამ ეს მომღერალი მომწონს.

***– როდესაც სცენაზე „ვია გრაა“, მუსიკას უსმენთ თუ გოგოებს უყურებთ?***

– რა თქმა უნდა, გოგოებს. „ვია გრას“ შემთხვევაში მუსიკა მეორე პლანზე გადადის.

***– ყენიას ვერსიით, მსოფლიოში ყველაზე ლამაზი გოგო ვინ არის?***

– ჩემი მეუღლე.

***– თუ მას გამოვრიცხავთ?***

– მე ფავორიტები არ მყავს.

***– რას ნიშნავს ქართველისთვის ბედნიერება?***

– როდესაც ჩემი ოჯახის წევრები ჯანმრთელად არიან და ფეხბურთს ვთამაშობ.

***– როგორი მომავალი გინდათ?***

– მომავლის დაგეგმვა რთულია. უბრალოდ, ფეხბურთის თამაში მინდა.

## შედეგები

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ვესტ ჰემი-ტოტენჰემი .................... 2:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 27 | 22 | 2 | 3 | 64:31 | 68 |
| 2.სიტი | 27 | 16 | 8 | 3 | 50:24 | 56 |
| 3.ტოტენჰემი | 27 | 15 | 6 | 6 | 47:32 | 51 |
| 4.ჩელსი | 27 | 14 | 7 | 6 | 55:30 | 49 |
| 5.არსენალი | 27 | 13 | 8 | 6 | 52:30 | 47 |
| 6.ევერტონი | 27 | 10 | 12 | 5 | 41:34 | 42 |
| 7.ვესტ ბრომვიჩი | 27 | 12 | 4 | 11 | 38:36 | 40 |
| 8.ლივერპული | 27 | 10 | 9 | 8 | 49:34 | 39 |
| 9.სუონსი | 27 | 9 | 10 | 8 | 38:34 | 37 |
| 10.სტოკი | 27 | 7 | 12 | 8 | 26:32 | 33 |
| 11.ფულემი | 27 | 8 | 8 | 11 | 37:42 | 32 |
| 12.ნორვიჩი | 27 | 7 | 11 | 9 | 27:41 | 32 |
| 13.ვესტ ჰემი | 27 | 8 | 6 | 13 | 31:41 | 30 |
| 14.ნიუკასლი | 27 | 8 | 6 | 13 | 38:48 | 30 |
| 15.სანდერლენდი | 27 | 7 | 8 | 12 | 29:36 | 29 |
| 16.საუთჰემპტონი | 27 | 6 | 9 | 12 | 38:49 | 27 |
| 17.უიგანი | 27 | 6 | 6 | 15 | 33:51 | 24 |
| 18.ასტონ ვილა | 27 | 5 | 9 | 13 | 26:52 | 24 |
| 19.რედინგი | 27 | 5 | 8 | 14 | 33:51 | 23 |
| 20.ქპრ | 27 | 2 | 11 | 14 | 19:43 | 17 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ლევანტე-ოსასუნა .......................... 0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 25 | 22 | 2 | 1 | 82:28 | 68 |
| 2.ატლეტიკო | 25 | 18 | 2 | 5 | 48:23 | 56 |
| 3.რეალი | 25 | 16 | 4 | 5 | 62:23 | 52 |
| 4.მალაგა | 25 | 12 | 6 | 7 | 35:24 | 42 |
| 5.ვალენსია | 25 | 12 | 5 | 8 | 36:37 | 41 |
| 6.სოსიედადი | 25 | 10 | 7 | 7 | 41:31 | 40 |
| 7.ბეტისი | 25 | 12 | 3 | 10 | 34:35 | 39 |
| 8.რაიო | 25 | 12 | 1 | 12 | 34:43 | 37 |
| 9.ხეტაფე | 25 | 10 | 5 | 10 | 37:42 | 35 |
| 10.ლევანტე | 25 | 10 | 4 | 11 | 30:38 | 34 |
| 11.ვალიადოლიდი | 25 | 9 | 6 | 10 | 34:33 | 33 |
| 12.სევილია | 25 | 9 | 5 | 11 | 34:37 | 32 |
| 13.ესპანიოლი | 25 | 8 | 7 | 10 | 31:35 | 31 |
| 14.ოსასუნა | 25 | 6 | 7 | 11 | 22:27 | 28 |
| 15.გრანადა | 25 | 7 | 5 | 13 | 24:36 | 26 |
| 16.ბილბაო | 25 | 7 | 5 | 13 | 30:49 | 26 |
| 17.სარაგოსა | 25 | 7 | 4 | 14 | 24:36 | 25 |
| 18.სელტა | 25 | 6 | 5 | 14 | 24:32 | 20 |
| 19.მალიორკა | 25 | 4 | 6 | 15 | 24:48 | 18 |
| 20.დეპორტივო | 25 | 3 | 7 | 15 | 29:56 | 16 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ხერესი-საბადელი .......................... 0:1

**იტალია. სერია ა**

უდინეზე-ნაპოლი .......................... 0:0

ლაციო-პესკარა .......................... 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 65 | 18 | 4 | 4 | 53:17 | 58 |
| 2.ნაპოლი | 26 | 15 | 7 | 4 | 46:21 | 52 |
| 3.ლაციო | 26 | 15 | 5 | 7 | 37:29 | 47 |
| 4.მილანი | 26 | 13 | 6 | 7 | 45:32 | 45 |
| 5.ინტერი | 26 | 13 | 5 | 8 | 41:34 | 44 |
| 6.ფიორენტინა | 25 | 12 | 6 | 7 | 45:30 | 42 |
| 7.კატანია | 26 | 12 | 6 | 8 | 34:31 | 42 |
| 8.რომა | 26 | 12 | 4 | 10 | 54:47 | 40 |
| 9.უდინეზე | 26 | 9 | 10 | 7 | 35:34 | 37 |
| 10.სამპდორია | 26 | 9 | 6 | 11 | 33:30 | 32 |
| 11.პარმა | 26 | 8 | 8 | 10 | 32:35 | 32 |
| 12.ტორინო | 26 | 7 | 11 | 8 | 32:32 | 31 |
| 13.კალიარი | 26 | 8 | 7 | 11 | 32:44 | 31 |
| 14.კიევო | 26 | 8 | 5 | 13 | 26:42 | 29 |
| 15.ატალანტა | 26 | 8 | 5 | 13 | 24:38 | 27 |
| 16.ბოლონია | 25 | 7 | 5 | 13 | 33:35 | 26 |
| 17.ჯენოა | 26 | 6 | 8 | 12 | 26:37 | 26 |
| 18.სიენა | 26 | 7 | 6 | 13 | 27:37 | 21 |
| 19.პესკარა | 26 | 6 | 3 | 17 | 20:53 | 21 |
| 20.პალერმო | 26 | 3 | 11 | 12 | 22:39 | 19 |

***შენიშვნა:***

სამპდორიას დაკლებული აქვს 1 ქულა

ტორინოს დაკლებული აქვს 1 ქულა

ატალანტას დაკლებული აქვს 2 ქულა

სიენას დაკლებული აქვს 6 ქულა

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ჰერტა-კაიზერი .......................... 1:0

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

მონაკო-ლანსი .......................... 2:1

**პორტუგალია. ა ლიგა**

აკადემიკა-მარიტიმუ .......................... 2:3

**თურქეთი. სუპერლიგა**

გალათასარაი-ორდუ .......................... 4:2

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

ბრნო-პლზენი .......................... 1:3

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

გურნიკი-პიასტი .......................... 1:0

**არგენტინა. პრიმერა დივიზიონი**

სან მარტინი-ოლდ ბოიზი .......................... 1:1

### კალათბურთი

**ნბა. რეგულარული სეზონი**

ტორონტო-ვაშინგტონი .......................... 84:90

დეტროიტი-ატლანტა .......................... 103:114

დენვერი-ლოს ანჯელესი .......................... 119:108

იუტა-ბოსტონი .......................... 107:110(ოტ)

### ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული სეზონი**

ფილადელფია-ტორონტო .......................... 2:4

ოტავა-მონრეალი .......................... 1:1(1:0ბ)

ნეშვილი-დალასი .......................... 5:4(ოტ)

ჩიკაგო-ედმონტონი .......................... 3:2(ოტ)

ლოს ანჯელესი-ანაჰაიმი .......................... 5:2

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

დასაწყისი მე-7 გვერდზე

# რატომ დაუპირისპირდნენ ნიკა მემანიშვილს მუსიკოსები?

ნამდვილი „ველური კაპიტალიზმი“ მოაწყო. შეკითხვებზე კი მხოლოდ ასე პასუხობდა: - მე ასე მინდა. ამ სრულიად არანორმალური მდგომარეობის პარალელურად, თვითონ „მფარველ და ძლიერ“ მეგობართა მოპოვებითა და მაამებლობით, ამით მათი შეცდომაში შეყვანის მცდელობით იყო დაკავებული.

მისი ასეთი დამოკიდებულების ახსნა ჩვენ მხოლოდ იმით შეგვიძლია, რომ ვფიქრობთ, ნიკოლოზ მემანიშვილი სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრს განიხილავს, როგორც საკუთრებას. ალბათ გულწრფელად სჯერა, რომ ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელობა და ორკესტრის დირიჟორობა მას „ლატარეაში ერგო“. ამიტომაც, როგორც უნდა, ისე „ჭრის და კერავს“. არქმევს ევგენი მიქელაძის სახელობის სიმფონიურ ორკესტრს სხვადასხვა სახელებს. ხან „ახალგაზრდული“, ხან „ჯორჯიან ფილარმონიკ“. ორკესტრის შიგნით ქმნის ანსამბლს „ჯორჯიან ბრასს“. სიმფონიური ორკესტრის საქმიანობისათვის ეს არის „თვალის ახვევა“ და აქტიური მუსიკოსების შეცდომაში შეყვანა.

ნიკოლოზ მემანიშვილს გამოცდილი ორკესტრანტის მიმართ პატივისცემა საერთოდ არ გააჩნია. მეტიც, იგი მას ზიზღს უცხადებს: „ის რაც თქვენთვის ძვირფასია და კარგი, საზიზღრობა არის ჩემთვის“. ამ სიტყვებით ხმამაღლა მიმართავდა იგი ორკესტრს. ამიტომაც იგი ცდილობს ორკესტრში მოიწვიოს, რაც შეიძლება ბევრი ახალგაზრდა და „დამჯერი“ მუსიკოსი, როგორც ადგილობრივი, ისე საზღვარგარეთიდან, რომლებიც წამყვან პოზიციებზე კარგი ანაზღაურების ფასად „ყველაფერს“ დაუკრავენ. კლასიკური ნაწარმოების მის მიერ შესრულების დროს, გამოცდილი ორკესტრანტი ყოველთვის ამჩნევს, რომ იგი, ასე ვთქვათ, „ვალდებულებას ასრულებს“ და რომ ეს მის „ძლიერ მხარეს“ არ წარმოადგენს.

ნიკოლოზ მემანიშვილმა „უნარკოზოდ“ დაჩეხა და დაანგრია ორკესტრი. მას რომ ორკესტრის რთული ორგანიზმის შეგრძნება ჰქონოდა, ის მაინც ეცოდინებოდა, რომ სწორედ გამოცდილი ორკესტრანტების მხრებზე გადადის სიმფონიის მომზადება და კონცერტის კარგად ჩატარება, ასევე ახალგაზრდა მუსიკოსების აღზრდა ორკესტრში. შოუ-ბიზნესიდან მოსულ ნიკოლოზ მემანიშვილს ეს ყველაფერი „სიცილად არ ყოფნის“. მან ორკესტრის „წელთაღრიცხვის“ ათვლა საკუთარი პერსონიდან დაიწყო.

მისი ეს „ნგრევა-გადაკეთების“ მანია მის მიუზიკლებსაც ეხება. მაგალითად, ჩვენი საზოგადოებისათვის საყვარელი ოპერა, ვიქტორ დოლიძის „ქეთო და კოტე“, მან ისე შეცვალა და „გააჯაზა“, რომ ძველიდან მარტო „სახელიღა“ დარჩა. სულაც არ არის აუცილებელი, რომ მდიდარი ტრადიციების მქონე ასი წლის ორკესტრმა საკუთარი ხელით მოსპოს ის ესთეტიკური სილამაზე, რომელიც ხალხის გულებში ცოცხლობს „ქეთო და კოტე“-სთან ყოველი შეხვედრისას. ასევეა მისი სხვა მიუზიკლებიც.

ჩემი „სუსტი“ და „ძლიერი“ მხარე — ეს მისი ტერმინებია და თვითონვე შემოგვთავაზა ჩვენ. ეს იყო არჩევნებამდე: „მე ვიცი, რომ რევოლუციურ ტალღაზე ვარ მოსული, მე ვიცი ჩემი სუსტი მხარე, ასევე ვიცი ჩემი ძლიერი მხარე. ჩემ შესახებ პრეზიდენტს რამდენჯერმე ვესაუბრე და ვთხოვე, რომ გამათავისუფლოს ამ თანამდებობიდან, ვუთხარი, რომ მინდა ჩემ გზას ვეწიო, რომ მაქვს ჩემი გეგმები და მიწვევები. მან უარი მითხრა, არა, აქ მჭირდებიო“. მთელი ორკესტრის წინაშე ამ სიტყვების უარყოფას ნიკა მემანიშვილი ვერ შეძლებს.

გამოფხიზლებული მუსიკალური საზოგადოებისათვის „თვალის ახვევად“ და „ვალდებულების ასრულებად“ ჩანს სიმფონიური ორკესტრის ის რამდენიმე კონცერტი, რომელიც ამ ბოლო დროს მუსიკალურ ცენტრში გაიმართა. თითოეულ ამ კონცერტში გაშვებული მუსიკოსების ადგილას, ბევრი ერთჯერადად მოწვეული ადგილობრივი და საზღვარგარეთიდან ჩამოყვანილი მუსიკოსი მონაწილეობდა. დიდ ხარჯებთან ერთად ეს იმაზე მიუთითებს, რომ ორკესტრი ნორმალურ მდგომარეობაში არ იმყოფება. იგი არ ცხოვრობს თავისი რიტმით და მუშაობს, ასე ვთქვათ, „საგანგებო რეჟიმში“. ეს არის ცდა, რომ საზოგადოება დამშვიდდეს და სიფხიზლე მოადუნოს, ხოლო თვითონ კი მალევე შეძლოს თავის „ძლიერ მხარეზე“ გადასვლა. ტელევიზიას შევახსენებთ, რომ წესია ასეთი, კლასიკური მუსიკის კონცერტის შემდეგ კომენტარს ეთერისთვის კლასიკური მუსიკის ავტორიტეტული წარმომადგენლისგან უნდა იღებდეს და არა მოყვარული ან დაინტერესებული პირისგან.

— „ბითლზების“ ესთეტიკა ჩემი ესთეტიკაა. მე ჩემი თავი ფართო მასებთან ურთიერთობის გარეშე ვერც კი წარმომიდგენია, — ეს არის განცხადება, რომელიც ნიკოლოზ მემანიშვილმა რამდენიმე ხნის წინ ტელევიზიით გამოსვლისას გააჟღერა. ეს რომ კლასიკური მუსიკის წარმომადგენლისაგან განსხვავებული ესთეტიკაა, ვფიქრობთ, სადავო არ არის. სადავო ხდება „მოედანი“. ნიკოლოზ მემანიშვილს თავისი ესთეტიკით ცხოვრებისათვის, ასპარეზად ნამდვილად სჭირდება სხვა „მოედანი“, არა კლასიკური სიმფონიური ორკესტრის „თავის თავზე“ მორგება. ჩვენ გვგონია, რომ აქ იგი მარტო არ არის. მის უკან ალბათ უნდა ვივარაუდოთ შოუ-ბიზნესის წარმომადგენლები. ევგენი მიქელაძის სახელობის სიმფონიურ ორკესტრს ნამდვილად ძალიან გაუჭირდება, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მის „მფარველ და ძლიერ“ მეგობართა შორისაც შეიძლება აღმოჩნდეს ვინმე, ვინც სხვადასხვა მიზეზის გამო შეიძლება, რომ ამ უსამართლობას ხელი დააფაროს. რას ერჩოდა ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრს და მის ორკესტრს, ან ტელევიზიის საესტრადო-სიმფონიურ ორკესტრს, თუკი პოპულარული მუსიკა და მიუზიკლი იყო მისი ძლიერი მხარე? პირდაპირ ვიტყვით: დღეს დიდი უსამართლობით და თვალის ამხვევი ტყუილებით ხდება სასოებით შექმნილი დიდი ტრადიციის მქონე ორკესტრის საბოლოო მიტაცება შოუბიზნესისთვის და ამით მისი გადაგვარების გაფორმება.

ამავე დროს გამოსავალი თითქოს არ არის ძნელი, თუ იქნებოდა კეთილი ნება. ცხადია, უმჯობესია, რომ აღვადგინოთ ეს კოლექტივები. ყველას ჰქონდეთ თავისი „მოედნები“ ასპარეზისათვის. ფეხბურთელი კალათბურთს არ უნდა თამაშობდეს და პირიქით, გინდაც ეს „ნიჭიერად“ გამოსდიოდეს.

ჩვენ მათი საწინააღმდეგო სულაც არაფერი არა გვაქვს, მაგრამ როგორც მეცნიერება არ შეიძლება, რომ იყოს „გამრთობი“, რადგან იგი თავისი ბუნებით შემეცნებითია, ასევეა კლასიკურ მუსიკაშიც. კლასიკური სიმფონიური ორკესტრი და მისი მუსიკალური საქმიანობა თავისი ბუნებით მოწოდებულია, რომ იყოს „აღმზრდელობითი“. ჩვენი ღრმა რწმენით იგი ემსახურება ადამიანის ჩამოყალიბებას. ეხმარება მას კულტურული კრიტერიუმების შენარჩუნებაში და ღირსეული იდეალების შექმნაში. ამაშია მისი ძალა და დღევანდელი რთული დროის გათვალისწინებით, მისი არსებობის საჭიროების აუცილებლობაც, რათა შევინარჩუნოთ კულტურული სახე, მიუხედავად ზოგადად ხელოვნებაში არსებული ღრმა კრიზისისა.

„ჭეშმარიტი ხელოვნება საჭიროებს აზრებისა და ემოციების სიღრმეს, დიდ სიმართლესა და ცხოვრების პოეტურობას“ (ანდრია ბალანჩივაძე). ძველი თაობის მუსიკოსების მიერ გადმოცემული ძვირფასი ტრადიცია, რომელმაც მოაღწია ჩვენამდე, გამოცდილ ორკესტრანტებს ავალდებულებს, რომ ეს ჩვევა და წესი კლასიკური მუსიკის სიღრმისეული გამოცდილებისა მიიტანონ მომავალ თაობამდე შეურყვნელად.

ევგენი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრს, დღეს, როგორც არასდროს, სჭირდება მხარდაჭერა და ახალი მთავრობის კულტურის პოლიტიკის ნების მკვეთრი გამოხატულება, რათა შევაჩეროთ და აღარ დავუშვათ ორკესტრის შემდგომი ნგრევა-გადაგვარება.

ჩვენს მუსიკალურ საზოგადოებას აქვს უფლება, რომ ჰყავდეს მდიდარ ტრადიციაზე დაფუძნებული და მაღალი იდეალის მქონე ეროვნული სიმფონიური ორკესტრი პროფესიონალი დირიჟორის ხელმძღვანელობით. დღეს მხოლოდ ასეთ ორკესტრს შეუძლია, რომ იყოს ღირსეული და თანამედროვე. მხოლოდ ასეთი ორკესტრი შეძლებს ზოგიერთი სხვა ღონისძიების ჩატარებასაც ისე, რომ მისი პრესტიჟი სულაც არ შეილახოს. დაგვეხმარეთ ჩვენი უფლებების აღდგენაში და უსამართლობის აღმოფხვრაში. მუსიკოსები“

„ახალი თაობა“ დაუკავშირდა ევგენი მიქელაძის სახელობის ეროვნულ მუსიკალურ ცენტრს, საიდანაც ირმა მახარაძემ მოგვაწოდა ინფორმაცია, რომ სამსახურიდან დათხოვნილი 33 თანამშრომლიდან სამსახურში სხვადასხვა თანამდებობებზე დაბრუნებულია 9 პიროვნება და მათ მხოლოდ 24 მუსიკოსი გაუშვეს. „ახალმა თაობამ“ მოიპოვა ევგენი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის მუსიკოსების მიმართვა საზოგადოებისადმი, რომელსაც ხელს აწერს 85 თანამშრომელი. ამ წერილსაც ასევე უცვლელად გთავაზობთ:

„ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ორკესტრის რამდენიმე ყოფილმა მუსიკოსმა, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს, ბატონ მირიანე ოდიშარიას მიმართა ცენტრის სამხატვრო ხელმძღვანელის ნიკოლოზ რაჭველის პასუხისმგებლობის დაყენების და მუსიკალურ ცენტრში ჩატარებული რეორგანიზაციის საკითხის შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, გვაქვს სურვილი საზოგადოებას გავაცნოთ საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრის თანამშრომელთა და სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის მუსიკოსთა დამოკიდებულება შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ მუსიკალურ ცენტრში დაწყებული რეფორმა ემსახურება ჩვენი ორკესტრის ხარისხის სრულყოფასა და განვითარებას. ამასთანავე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ყოველი ნაბიჯი კანონმდებლობის დაცვით იქნა გადადგმული. ყველა თანამშრომელი, ჩვენი ჩათვლით, ხელშეკრულების ვადის ამოწურვის გამო 2012 წლის 31 დეკემბერს გავთავისუფლდით, რაც ყველასათვის მოსალოდნელი და წინასწარ ცნობილი იყო.

უპირველეს ყოვლისა, შეგახსენებთ, რომ ცენტრის ხელმძღვანელმა გათავისუფლებულ 24 თანამშრომელს შესთავაზა მონაწილეობა მიეღოთ მომდევნო საკონკურსო მოსმენაში ორკესტრის მუსიკოსთა ვაკანტური ადგილების შესავსებად; ასევე განხილული იქნა საკითხი სოციალურად შეჭირვებულთათვის ერთი წლის ვადით ფულადი დახმარების დანიშვნაზე. გარდა ამისა, თითოეულ მუსიკოსთან დაკავშირებით ცენტრის ხელმძღვანელობამ დაიწყო აქტიური მოლაპარაკება ალტერნატიულ სამსახურში, როგორიცაა ქუთაისის ან ბათუმის ორკესტრი, მათ დასაქმებაზე.

შეგახსენებთ, რომ ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე ჩვენს ორკესტრთან თანამშრომლობდნენ დირიჟორები ლიანა ისაკაძე, დევიდ დელ პინო კლინგე, ვენსან მონტეი, ზაზა აზმაიფარაშვილი, ვახტანგ მაჭავარიანი, დავით მუქერია, რევაზ ტაკიძე, ავთანდილ მამაცაშვილი, ირაკლი ჭიაურელი, ზვიად ბოლქვაძე, იულიან გალანტი, ავნერ ბირონი, ნიკოლას რაუსი, საიმონ კამარტინი, ლორან პეტი-ჟერარი, გინტარას რინკიევიჩუსი, ფახრედინ ქერიმოვი, ჟან ლუკ ტინგო, ნადა მატოსევიჩი, ჟოლტ ნოჯი, არიელ ცუკერმანი, გოჩა მოსიაშვილი, დავით კინწურაშვილი; სოლისტები თენგიზ ამირეჯიბი, ალექსანდრე თორაძე, ალექსანდრე კორსანტია, ალექსანდრ მარკოვიჩი, დუდანა მაზმანიშვილი, ბორის ბერეზოვსკი, ხატია ბუნიათიშვილი, ედიშერ სავიცკი, ქეთევან ბადრიძე, ნატო წვერელი, ვალერიან შიუკაშვილი, ნინო ჟვანია, კატია სკანავი, ირმა გიგანი, ადი ნეიჰაუზი; მარინე იაშვილი, ლიანა ისაკაძე, ნატო გაბუნია, ირაკლი ცხადაია, ბენჟამინ მარკიზ-გილმორი, ილია კონოვალოვი, ალექსანდრე ხატისკაცი, მიხაილ სიმონიანი, გიორგი ლევინოვი, ქრისტოფ კონცი; მაქსიმ რისანოვი, რომან შპიტცერი, გიორგი ცაგარელი; მარიუს ურბა, გიორგი ხარაძე, მარცის კუპლაისი, შტეფან კონცი, კირილ მიჰანოვსკი, ლიზა რამიშვილი, ანა ხუბაშვილი; სერგეი ნაკარიაკოვი, არიელ ცუკერმანი, თემურ ბუხნიკაშვილი, პიერ ბაუზერი, ივან სოლანო, ბოგდან დეხტიარუკი, ვილჰელმ შვაიგერი, ოლივიე ტარდი; პაატა ბურჭულაძე, ლადო ათანელი, კეროლაინ მიუტელი, მარიკა გულორდავა, ნინო მაჩაიძე, სოფიო გორდელაძე, თეონა დვალი, ნაილა ვან ინგენი, კლარა ჩორდაშ ვიტი, კლეიტონ პარი, ზურაბ სოტკილავა, სერგეი ლეიფერკუსი, ლანა კოსი, მიშელ კრაიდერი, ზაალ ხელაია, ანიტა რაჭველიშვილი, კატია რიჩარელი, ბადრი მაისურაძე, იანო ალიბეგაშვილი, ოთარ ჯორჯიკია, ნანა ქავთარაშვილი და ა.შ. ამდენად, არასერიოზულად მიგვაჩნია გათავისუფლებული თანამშრომლების კიდევ ერთი ბრალდება, ცენტრის პროფესიულ საქმიანობაში სიმფონიური კონცერტების სიმცირესთან დაკავშირებით. ამის საპასუხოდ, გთხოვთ, გამოითხოვოთ ოფიციალური სტატისტიკური კვლევის მონაცემები ნიკოლოზ რაჭველის ხელმძღვანელობის პერიოდში სიმფონიური მუსიკის კონცერტების ოდენობაზე, რადგან ამ მონაცემებით, 7 წლის განმავლობაში ეროვნულ მუსიკალურ ცენტრს გამართული აქვს 450 ღონისძიება, საიდანაც 54 კლასიკური მუსიკის კონცერტი მხოლოდ გასულ 2012 წელს შედგა! იყო ევროპული გასტროლებიც როგორც სიმფონიური, ისე კამერული შემადგენლობებით. დაარსდა არაერთი ფესტივალი („კონტრაპუნქტი“, „სტუმრად კვარტეტთან“, „საგუნდო მუსიკის“) და საფუძველი ჩაეყარა მრავალ საინტერესო შემოქმედებით წამოწყებას („არტ-ფორუმი 17-27“, „საგუნდო მუსიკის კვირეულები“ და „ახალგაზრდა მუსიკოსთა რესპუბლიკური დათვალიერებები“).

ასევე ცენტრის კოლექტივები მონაწილეობდნენ „საესტრადო“ ჟანრის კონცერტებში, რომელიც სამუშაო პროცესის პარალელურად, დამატებითი ანაზღაურებით ხდებოდა. ვასრულებდით ვიქტორ დოლიძის, არჩილ კერესელიძის, რევაზ ლაღიძის, სულხან ცინცაძის, ბიძინა კვერნაძის, გია ყანჩელის, გიორგი ცაბაძის, ვაჟა აზარაშვილის, იოსებ ბარდანაშვილის ნაწარმოებებს. იმედია დაგვეთანხმებით, რომ ჩამოთვლილი ავტორები ქართველი კლასიკოსები არიან და მათი თუნდაც სასიმღერო შემოქმედების შესრულება-პროპაგანდა ჭეშმარიტად ეროვნული საქმეა!

დაბოლოს, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ჩვენ სრულ მხარდაჭერას და ნდობას ვუცხადებთ სამხატვრო ხელმძღვანელის პოზიციაზე ნიკოლოზ რაჭველს და გამოვთქვამთ სურვილს მასთან ერთად გავაგრძელოთ მუშაობა მიზნის მისაღწევად, რისთვისაც ჩვენი მაესტრო წლების მანძილზე იბრძოდა და ახლაც განაგრძობს მოღვაწეობას! აუცილებლად მიგვაჩნია ცენტრისათვის დაფინანსების გაზრდა და დარწმუნებულები ვართ, რომ რეფორმა გაგრძელდება, ჩატარდება ახალი მოსმენები, ვითანამშრომლებთ ნიჭიერ შემსრულებლებთან, რომლებიც წლების მანძილზე თავიანთი ნიჭითა და პროფესიონალიზმით მოღვაწეობენ, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ჩვენი პასუხი ყველა შეკითხვაზე თავდაუზოგავი შრომა და ბოლო თვენახევრის მანძილზე ორკესტრის განახლებული შემადგენლობით გამართული 6 კონცერტია!

**ევგენი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის მუსიკოსები და საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრის თანამშრომლები“**



## კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. შვიდდღიურის, მთელი კვირის ძველი ქართული სახელწოდება; 2. იაპონური იეროგლიფების სახელწოდება; 3. ჭადრაკის წინამორბედი, ინდური მაგიდის სათამაშო; 4. ამერიკელი მოცურავე მამაკაცი მრავალგზის ოლიმპიური ჩემპიონი; 5. განსაკუთრებით ძვირფასი სამახსოვრო ნივთი; 7. ჯიხვების ჯოგი; 11. ირლანდიის დედაქალაქი; 13. გერმანული ელექტროტექნიკური კონცერნი; 15. ჭაობში ბინადარი გრძელნისკარტა ფრინველი; 16. მდინარე ლონდონში; 18. ბრიტანული არაყი; 19. ცურვის ერთ-ერთი სტილი.

**თარაზულად**: 6. კინოპრიზი საფრანგეთში; 8. საღამოს სადილი; 9. ფიჭიანი თაფლი; 10. საკარმიდამო მამული ბრაზილიაში; 12. ქართველი მწერალი რომან „გმირთა ვარამის“ ავტორი; 14. ზღვისპირა კურორტი გაგრის მახლობლად; 17. ესთეტიკური განცდის უნარი, სილამაზის, მშვენიერების გრძნობა; 20. კოქტეილის მოსამზადებელი ჭურჭელი; 21. ჯარების საზეიმო დათვალიერება; 22. დეტექტიური ჟანრის ინგლისელი მწერალი ქალი; 23. გაუთლელი ხის მორებისგან ნაგები სახლი სამეგრელოში.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ყვანჯი; 2. ზვავი; 3. მუზა; 5. შუქურა; 6. ბზიფი; 7. ჯანაოზი; 11. ხენდრო; 13. ალაზანი; 14. არმია; 15. სლალომი; 16. სინდიყი; 17. სოკერი; 19. ეპოქა; 20. დუყი.

**თარაზულად:** 1. ყაზარმა; 4. გეიშა; 8. ზვარი; 9. ქუჯი; 10. ნაკახა; 12. „შახტარი“; 14. „აიდა“; 15. სინეკურა; 16. სამბო; 18. კოლიე; 21. კასიო; 22. ყარყუმი; 23. ქორწილი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. პოლიცია; 2. სუმიდა; 3. შუშაბანდი; 4. დუნსტი; 5. ვარიანტი; 7. რური; 11. მესხეთი; 13. ნიორაძე; 15. სესხი; 16. კოლბა; 18. ათოსი; 19. რიტმი.

**თარაზულად:** 6. ოფორტი; 8. „სუფრული“; 9. სენგერი; 10. ცინიზმი; 12. მარჟა; 14. ღიღინი; 17. დრომადერი; 20. ყეენობა; 21 სხვენი; 22. „სტამპა“; 23. შანსონიე.



## მილოცვა

უზენაესმა მოგავლინა
ლამაზი, ნიჭიერი, კეთილი.
ეს შენი წარმატების
საწინდარია, ჩემო ცოცნე.
დედის სიყვარული და
მამიას ლოცვა-კურთხევა
გიძღოდეს წინ!

**სიყვარულით, რაჟდენ ბაბუა**

ჩვენს საყვარელ
შორენა კონონაშვილს
ვულოცავთ დაბადების დღეს!
იხარე, იბედნიერე, ჯანმრთელობა,
ბედნიერება, წარმატებები და უფლის
წყალობა არ მოგკლებოდეს!

*სიყვარულით,*
*„ახალი თაობა“*

# მედვედევი: „ცივი ომის“ საფუძვლები არ არსებობს“

რუსეთსა და დასავლეთს შორის ახალი „ცივი ომის“ ჩამოყალიბების საფუძვლები არ არსებობს. რუსეთის პრემიერ-მინისტრმა დმიტრი მედვედევმა აღნიშნულის შესახებ ბრაზილიურ ტელეარხ „გლობოსათვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.



„ქვეყნებს შორის ურთიერთობა, შესაძლოა, პერიოდულად გამწვავდეს. თუმცა, „ცივი ომის“ ჩამოსაყალიბებლად არავითარი ღრმა საფუძველი არ არსებობს“, – აღნიშნა მედვედევმა.

ამერიკის მიერ მიღებულ ე.წ „მაგნიტსკის კანონთან“ დაკავშირებით მედვედევმა ხაზი გაუსვა, რომ ეს სენატის ინიციატივა იყო და არა აღმსრულებელი ხელისუფლების.

ცივი ომი აშშ-სა და მისი მოკავშირეების საბჭოთა კავშირთან და მის მოკავშირეებთან გლობალური გეოპოლიტიკური, ეკონომიკური და იდეოლოგიური დაპირისპირება იყო, რომელიც მეოცე საუკუნის 1940-იანი წლების შუახნიდან 1990-იანი წლების დასაწყისამდე გრძელდებოდა.

# ირანს ოქროთი და ნავთობით ვაჭრობაზე დაწესებული სანქციების შემსუბუქებას სთავაზობენ



მსოფლიოს წამყვანი ქვეყნის მმართველები ირანს ოქროთი და ნავთობით ვაჭრობაზე დაწესებული სანქციების შემსუბუქებას სთავაზობენ, თუ ეს უკანასკნელი შეწყვეტს ბირთვულ სამუშაოებს. ამის შესახებ როიტერი იუწყება.

მოლაპარაკებები მხარეებს შორის ყაზახეთის დედაქალაქ ალმა-ატაში იმართება და მასში, ირანის გარდა, რუსეთი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, ჩინეთი, აშშ და საფრანგეთი მონაწილეობენ.

„ჩვენ ხელსაყრელი წინადადება მოვუმზადეთ ირანს. ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რა რეაქცია ექნება ირანს განახლებულ შეთავაზებაზე“, – განაცხადა ევროკავშირის წარმომადგენელმა საგარეო საქმეებში მაიკლ მანმა.

შეგახსენებთ, რომ ირანმა თანამედროვე გაზის ცენტრიფუგის მასშტაბური მონტაჟი დაასრულა. ცენტრიფუგი ურანის გასამდიდრებლად გამოიყენება. ეს ინფორმაცია მსოფლიოს ატომური ენერგიის სააგენტოს შტაბ-ბინაში დიპლომატებმა გაახმაურეს.

სააგენტოს ინსპექტორებმა, რომლებმაც ირანში ობიექტი მოინახულეს, დააფიქსირეს, რომ იქ უკვე დაყენებულია დაახლოებით ასამდე აი-არ-2მ-ის ცენტრიფუგი, რომელთა მეშვეობითაც ურანის გამდიდრება ორ-ხუთჯერ უფრო სწრაფი ტემპებით მოხდება.

ნათანზის პროვინციაში გაცილებით თანამედროვე გაზის ცენტრიფუგების დამონტაჟების შესახებ ირანმა ბირთვულ სააგენტოს 23 იანვარს ოფიციალურად შეატყობინა, ხოლო მსგავსი სამუშაოს დაწყების თაობაზე საჯარო განცხადება 13 თებერვალს გაკეთდა.

აშშ და დასავლეთის რამდენიმე ქვეყანა, ასევე ისრაელი ირანს ბირთვული იარაღის წარმოებაში ადანაშაულებს. თუმცა, ეს უკანასკნელი ყველა ბრალდებას უარყოფს და აცხადებს, რომ მისი ატომური პროგრამა მხოლოდ ქვეყნის ელექტროენერგიით უზრუნველყოფისკენ არის მიმართული.

# აშშ-ის სენატი ბენ ლადენის ლიკვიდაციაზე ინფორმაციის გაცემის გამოძიებას შეწყვეტს

აშშ-ის კონგრესის სენატის დაზვერვის კომიტეტმა შეწყვიტა გამოძიება პენტაგონისა და ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის თანამშრომლების მიერ ფილმის „ნომერ პირველი სამიზნე“ ავტორებისთვის საიდუმლო მასალების გადაცემის შესახებ. ფილმი მსოფლიოს პირველ ტერორისტად შერაცხული უსამა ბენ ლადენის დევნას ეხება.

როიტერის ინფორმაციით, აშშ-ის ჩინოვნიკებმა ეჭვი შეიტანეს თავდაცვისა და დაზვერვის უწყებების თანამშრომლებში, რომლებსაც შეეძლოთ საიდუმლო მასალების გადაცემა ჰოლივუდელი კინემატოგრაფისტებისთვის.

წარმომადგენლობის პალატის შიდა უსაფრთხოების კომიტეტის ხელმძღვანელი პიტერ კინგი მიიჩნევდა, რომ სცენარისტ მარკ ბოელუსა და რეჟისორ კეტრინ ბიგელოუსთვის დოკუმენტების გაცნობის შესაძლებლობის მიცემა ადასტურებდა, მათ საიდუმლო ინფორმაციასთანაც ჰქონდათ შეხება.

როიტერის ინფორმაციით, რომელიც კონგრესის წარმომადგენელს ეყრდნობა, შეგროვდა საკმარისი ინფორმაცია ბიგელოუს კავშირებზე საიდუმლო სამსახურების წარმომადგენლებთან და ამჟამად საქმის გაგრძელების საფუძველი არ არსებობს.



ამერიკული მედია ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ ფილმი, რომელიც ხუთ ოსკარზე იყო ნომინირებული, მხოლოდ იმიტომ დაიჩაგრა, რომ ამერიკელი პოლიტიკოსების კრიტიკა დაიმსახურა. კერძოდ, ამერიკელი სენატორების ერთი ჯგუფი აცხადებდა, რომ ფილმში დემონსტრირებულია წამების გამოყენება ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის მხრიდან.

„ნომერ პირველმა სამიზნემ“ ერთი ოსკარი მაინც მოიპოვა ნომინაციაში საუკეთესო ხმის რეჟისორი.

შეგახსენებთ, რომ უსამა ბენ ლადენის ლიკვიდაცია 2011 წელს პაკისტანის ქალაქ აბოტაბადის გარეუბანში მოხდა.

9/11-ის მოვლენის შემდეგ ბენ ლადენზე გაძლიერებული ძებნა იყო გამოცხადებული, ხოლო ბარაკ ობამამ პრეზიდენტად არჩევისთანავე გასცა ბრძანება ბენ ლადენის დაკავების ან ლიკვიდაციის შესახებ. ამერიკელმა სამხედროებმა წარმატებით ჩაატარეს სპეცოპერაცია და ტერორისტის ლიკვიდაცია, ასევე გვამის ხელში ჩაგდება მოახერხეს. ამის შესახებ ბატონმა ბარაკ ობამამ გააკეთა განცხადება.

„ალ-ქაიდას“ ლიდერი პაკისტანის დედაქალაქ ისლამაბადიდან ჩრდილოეთით, 60 კმ-ის დაშორებით იმალებოდა კერძო სახლში. ეს სახლი 1 მილიონი დოლარის ღირებულებისა იყო და 4-5 მეტრი სისქის კედლები ჰქონდა. აიგო 2005 წელს და მასში არც სატელეფონო ხაზი გაუყვანიათ, არც ინტერნეტი.

ინფორმაცია ბენ ლადენის ადგილსამყოფელის თაობაზე შესაბამის სამსახურებს 2010 წლის აგვისტოდან ჰქონდათ. მომდევნო წლის წლის მარტში ინფორმაცია დადასტურდა, ხოლო აპრილის ბოლოს გაიცა ბრძანება მისი დაკავების შესახებ.

ბენ ლადენის გვამს სახის ამომცნობი და დნმ-ის გამშიფრავი ტექნოლოგიებით ჩაუტარდა ანალიზი.

„მე ვაცნობებ ამერიკელ ხალხსა და მთელ მსოფლიოს, რომ შეერთებული შტატების მიერ ჩატარებულმა ოპერაციამ მოახდინა ოსამა ბენ ლადენის ლიკვიდაცია, ტერორისტისა, რომელიც პასუხისმგებელია ათასობით უდანაშაულო ადამიანის სიკვდილზე, კაცების, ქალებისა და ბავშვებისა, სხვადასხვა კანის ფერისა და რელიგიის მქონე პიროვნებებისა. სამართალი აღსრულდა! მისი სიკვდილი არ ნიშნავს, რომ ჩვენი ბრძოლა დასრულდა. ეჭვგარეშეა, „ალ-ქაიდა“ გააგრძელებს ჩვენზე თავდასხმებს. ამიტომ აქ თუ საზღვარგარეთ ფხიზლად უნდა ვიყოთ.

თუმცა, კიდევ ერთხელ უნდა განვაცხადოთ, რომ აშშ არასდროს აწარმოებდა ომს ისლამის წინააღმდეგ და არც მომავალში გააკეთებს ამას. მე გარკვევით განვაცხადე, ისევე, როგორც პრეზიდენტმა ბუშმა 11 სექტემბრის ტერაქტებიდან ძალიან მალე, რომ ჩვენი ომი არ არის მიმართული ისლამის წინააღმდეგ. ბენ ლადენი არ ყოფილა მუსლიმთა ლიდერი, ის მუსლიმთა მასობრივი მკვლელიც იყო. „ალ-ქაიდამ“ ბევრ ქვეყანაში, მათ შორის აშშ-ში, უამრავი მუსლიმი დახოცა. ასე რომ, მისი სიკვდილი სასიხარულო უნდა იყოს ყველასთვის, ვისთვისაც მნიშვნელოვანია მშვიდობა და ღირსება. იმათ ოჯახებს, რომლებიც „ალ-ქაიდას“ უსამართლო ქმედებებს შეეწირნენ, შეგვიძლია ვუთხრათ: სამართალი აღსრულდა!“ – განაცხადა მაშინ აშშ-ის პრეზიდენტმა.

ობამას გამოსვლა პირდაპირ ეთერში გადაიცა. მან განაცხადა, რომ აშშ-მ ოპერაცია პაკისტანის ტერიტორიაზე განახორციელა და ბენ ლადენის პოვნაში დახმარება პაკისტანის უშიშროების ძალებმა გაუწია. ობამამ მადლობა გადაუხადა პაკისტანის პრეზიდენტს თანამშრომლობისთვის. აშშ-ის ძალებს ოპერაციისას დანაკარგი არ განუცდიათ, ასევე არ ყოფილა მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში. 1 მაისის ოპერაცია 40 წუთი გრძელდებოდა. ბენ ლადენს თავში ესროლეს გაქცევის მცდელობისას, რის შედეგადაც ადგილზევე დაიღუპა. როგორც პრეზიდენტმა განაცხადა, ტერორისტის ლიკვიდაცია მოხდა პატარა შვეულმფრენიდან. მისი ბედი გაიზიარეს მისმა სამმა მცველმა და ერთმა ქალბატონმა, რომლის ფარად გამოყენებასაც ცდილობდნენ. გარდაიცვალა ბენ ლადენის ერთ-ერთი ვაჟიც.

ამ ამბით გახარებული ათასობით ამერიკელი შეიკრიბა თეთრი სახლის წინ და ზეიმი მოაწყვეს. სხვადასხვა ქვეყნის მთავრობების წარმომადგენლებმა ამერიკის შეერთებულ შტატებს გამარჯვება მიულოცეს.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

## მალული ჩხაიძის გახსენება



თითქოს ყველაფერი ისევ ისეა, არაფერი შეცვლილა, ისევ ისმის ზარის ხმა, ბავშვების ჟრიამული, დერეფნები ისევ სავსეა მოსწავლეებით, მაგრამ ამ ყველაფერს რაღაც აკლია. აკლია ძალიან მნიშვნელოვანი. არ ჩანს ადამიანი, რომლის გულისხმიერება და სიყვარული ასე ენატრებათ II[I] კლასის მოსწავლეებს.

40 დღეა ისინი თვალცრემლიანნი ამაოდ ელოდებიან კარის გაღებას და ელიან ქალბატონ მალული მასწავლებლის გამოჩენას. პატარებისთვის ძნელი ასახსნელია, რომ მათ საყვარელ დამრიგებელს ვეღარასდროს ნახავენ. ამის გაგება გვიჭირს მშობლებსაც. ჩვენთვის ქალბატონი მალული ჩხაიძე ერთგული მეგობარი და კარგი ადამიანი იყო. თქვენგან დატოვებული სითბო დიდხანს გაჰყვება თქვენს მოსწავლეებს და მათთვის ყოველთვის საყვარელ მალული მასწავლებლად დარჩებით. ღმერთმა ნათელში გამყოფოთ, ჩვენო საყვარელო ადამიანო.

*ქ.თბილისის მე-60 საჯარო სკოლის II[I] კლასის მოსწავლეები და მათი მშობლები*

## ანდრეი ტოლსტოის გახსენება



დღეს, 27 თებერვალს, 40 წელი შეგისრულდებოდა. როგორ გვაკლიხარ. ძალიან მძიმეა უშენობა. დღე არ გავა, შენი სახელი შენმა პატარამ არ ახსენოს. არ ვიცით რა ვუპასუხოთ, თვითონ კი გაკვირვებული თვალებით გვიყურებს და ელოდება, მამიკო როდის ჩამოვა. ძალიან ძნელია ამის ყურება და მოსმენა. ცრემლს ვერ ვიკავებთ. ალბათ ყველაფერი ბედის წერაა, ჩვენო ანდრო, ასე განსაჯა უფალმა. ძალიან ნაადრევი და თავზარდამცემი იყო შენი სიკვდილი. რამდენი ოცნება და ნატვრა დაგვრჩა განუხორციელებელი, რამდენ სიხარულს ვერ მოესწარი შვილთან, მეუღლესთან, მშობლებთან ერთად. შენ, ჩვენი მუდმივი ტკივილი ხარ, მუდმივი ჭრილობა. შენს სახელს დავიწყება არ უწერია. უსაზღვრო სიყვარულით და სიკეთით განვლილ შენს ხანმოკლე სიცოცხლეს უკვალოდ არ ჩაუვლია და მისაბაძ მაგალითად დარჩება შენს ახლობლებს.

*მეუღლე თამარი, მშობლები მერი და ალექსანდრე*

## მალული ჩხაიძის გახსენება

უკვე 40 დღე გავიდა, რაც ჩვენ გვერდით აღარ ხარ. მძიმედ ჩაიარა ამ დღეებმა უშენოდ ჩვენთვის და შენი ოჯახისთვის. გვაკლიხარ, გვიჭირს უშენობა. გვიმძიმს შენი სურათის შეხედვა. დიდი ცრემლი მოგვიტანა შენმა გარდაცვალებამ. გვიყვარხარ და გვენატრები ყველას. შენ უკვდავი ხარ ჩვენთვის. მხოლოდ ღმერთმა ინება შენი კეთილი სულის ხილვა ზეციურ სასუფეველში. ნათელში იყოს მარადიულობაში გარდასული შენი ლამაზი სული, ძვირფასო მალული.

*მე-60 საჯარო სკოლის პედკოლექტივი*

გია თათულაშვილი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა შესანიშნავი მეგობარი, ერთგული მეუღლე, მოსიყვარულე მამა და ბაბუა

**გურამ ბარბაქაძე**

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

**ოთხშაბათი 27 თებერვალი**

06.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„ 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.10 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ 15.00 დ/ფ „მეცნიერება ფილმებში„ 17.00 „გურმანია„ 18.00 „პეპე და მეგობრები„ 19.05 ტ/სერ „სიყვარულის კოცნა„ 21.00 ტ/სერ „პური და თავისუფლება„ 22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან„ 23.00 დ/ფ „კილიმანჯარო აკონკაგუა„ (რეჟ:გ.თორთლაძე) 23.40 მხ/ფ „ზოდიაქო„

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00 დ/ფ „100 უდიდესი აღმოჩენა„ 4 ნაწ. 14.00 დ/ფ „ღვინო„ 16.00 დ/ფ „100 უდიდესი აღმოჩენა„ 5 ნაწ. 19.00 ტ/სერ „საიდუმლო აგენტები„ 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა„ —„ქართული ოცნება—დემოკრატიული საქართველო„ (პ/ე) 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „იღბლიანი მოახლე„ 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი„ 8 სერ. 13.00 სერ. „24 – 5„ 14.40 დოკ/ფ „მზიანი შობა„ 16.00 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „თილისმა„ 19.05 სერ. „სახიფათო ვნება„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 ქ/სერ „ცხელი ძაღლი„ 6 სერ. 23.00 მხ/ფ „ფული ორისათვის„ (ა.პაჩინო) 01.15 სერ. „ღვინის გზა„ 01.50 მხ/ფ „უცხოპლანეტელი – 3„ (ს.უივერი) 03.40 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 იღბლიანი ბორბალი (გ/ჩ) 17.00 სერ.„ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ „ერთგულების ძალა„ 22.00 ნანუკას შოუ. 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერი დაიჯესტი
5.00 მხ/ფ შავი გედი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.25 დოკ/ფ „სიაუშ ქართველი„ 07.25 მოკ/ფ „პეიტარი„ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 18.55, 21.55, 22.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 დოკ/ფ „ვაჟკაცს კარგ უნდა ჰ ყვანდის ცხენიო„ 11.05 მოკ/ფ „ქოლგა„ 11.30 მგზავრები წუთისოფლისა 12.05 ამინდი 12.10 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 12.10 დროის ჩანაწერები 13.20 კონცერტი-ანიტა რაჭველიშვილი 14.50, 22.50 ფოტოგალერეა 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 15.55 დოკ/ფ „ტაო-კლარჯეთი„ III ნაწ. 16.45 კვირიაკე 18.05 საქართველო არის ესე 18.30 დეკორატიული ფლორა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ „დათა თუთაშხია„ II ნაწ. 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 ეპოქის სახელები 21.55 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 22.25 ქართული ალბომი 22.55 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ „თბილისის თავგადასავალი„ 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ „დღეს ღამე უთენებია„

მაესტრო 7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 12.30, 15.30, 17.10, 18.45, 4.35, 5.35, 6.35 უცხოეთის ამბები 7.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55 უკომენტაროდ ამინდი 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00 ახალი ამბები 8.10, 9.10, 10.15 მალვიმარა (დილის პროგრამა) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.15, 14.15, თავისუფალი დრო 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.10 მაესტროს პრესკლუბი 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 0,30 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ 19.30,1.15 თოქ-შოუ „არგუმენტები„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.20 ყოველდღიური აბები 22.20, 2.30 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი„ 0.00 4.00, 5.00 6.00, 7.00 ახალი ამბები (ღამის გამოშვება)

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


27 თებერვალი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6563

ევრო — 2,1871

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5267

100 რუსული რუბლი — 5,4556

## ამინდის პროგნოზი 27 თებერვლისთვის





# მათთვის, ვინც ვერ მოახერხა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის 4-ტომეულის შეძენა!

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია
ტომი 1
უძველესი დროიდან VI საუკუნემდე

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია
ტომი 2
VI-XI საუკუნეები

22 თებერვლიდან გაიყიდება
პირველი და მეორე ტომები
1 მარტიდან
მესამე ტომი
5 მარტიდან
მეოთხე ტომი

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია
ტომი 3
XII-XVI საუკუნეები

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია
ტომი 4
XVII-XX საუკუნეები

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

ინფორმაციისთვის დარეკეთ 294-02-55


## ასტროპროგნოზი 27 თებერვლისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ! არ გაფლანგოთ დრო

**ვერძი** — აუცილებელი საქმე აკეთეთ, წვრილმანებზე დროს ნუ დახარჯავთ. **კურო** — ფული გაქვთ, პრობლემა არ გაწუხებთ. **ტყუპები** — გზიდან ფულს და საჩუქარს მიიღებთ. **კირჩხიბი** — არავის ენდოთ, საკუთარი თავის გარდა. **ლომი** — სიტუაციიდან ადვილად გამოძვრებით, თქვენ ეს გინდოდათ. **ქალწული** — კარგ ხასიათზე ხართ, სხვებსაც ამხიარულებთ. **სასწორი** — სამსახურში სიახლე დაგხვდებათ. **ღრიანკალი** — დიდძალი ქონების პატრონი გახდებით. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაცის დაბრუნება გახარებთ. **თხის რქა** — პარტნიორი ნერვებს გიშლით, მოითმინეთ, ცოტა მაინც. **მერწყული** — თავს მშვიდად იგრძნობთ, საქმესაც აკეთებთ. **თევზები** — გამხიარულდით, პროექტი ამართლებს.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი

**შვეულად**: 1. კავკასიის ალპურ ზონაში ბინადარი ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 2. ავტორიტეტი, გავლენა; 3. ისტორიული სასტუმრო პარიზში; 5. სარეცხი მანქანის გამომგონებელი ამერიკელი ინჟინერი; 6. რადიაქტიური ქიმიური ელემენტი; 7. თანამდებობების ყიდვა-გაყიდვა კათოლიკურ ეკლესიაში ძველად; 11. აეროპორტი პრაღაში; 13. რაიონული ცენტრი კახეთში; 14. პოლიციელის ჩინი საფრანგეთში; 15. სვანური ხორცისგულიანი ორცხობილა; 16. ლიტერატურული ნაწარმოების დასკვნითი ნაწილი; 17. მე-18 საუკუნის ქართველი პოეტი, პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი; 19. ფილოსოფიური მოძღვრება მორალისა და ზნეობის შესახებ; 20. თხუნელას მეორე სახელწოდება.

**თარაზულად**: 1. კოქტეილის მოსამზადებელი ჭურჭელი; 4. ფრანგი შანსონიე ქალი; 8. ფუტკრის მიერ გამომუშავებული მოყვითალო ფერის ნივთიერება; 9. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 10. კონსტრუქცია, რომელიც ჰყოფს მეთოჯინე მსახიობებს მაყურებლებისგან; 12. უღელტეხილი კახეთში; 14. ერთ-ერთი კონტინენტი; 15. ქართული ტელეკომპანია; 16. ქართველი კარიკატურისტი მხატვარი; 18. სოფელი სიღნაღის რაიონში; 21. ბულგარეთის დედაქალაქი; 22. ტემპერატურის საზომი ერთეული; 23. ძლიერმოქმედი ნარკოტიკი.

*შეადგინა თ. კოპალეიშვილმა*




## ჯვაროსნების მორიგი მეტოქე ირლანდია იქნება

საქართველოს ეროვნული ნაკრები მორიგ საერთაშორისო ამხანაგურ შეხვედრას 2 ივნისს დუბლინში ჩაატარებს. თემურ ქეცბაიას გუნდი ირლანდიის ეროვნულ ნაკრებს შეხვდება.

საქართველოსა და ირლანდიის ეროვნულ ნაკრებთა დაპირისპირების ისტორიაში დუბლინში დაგეგმილი შეხვედრა მეხუთე იქნება. პირველად საქართველომ და ირლანდიამ 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე თბილისში 2003 წლის 29 მარტს ჩაატარეს. ალექსანდრე ჩივაძის გუნდი მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე 1:2 დამარცხდა. ქართველთაგან ერთადერთი გოლი ლევან კობიაშვილმა გაიტანა. ბოლო, რიგით მეოთხე შეხვედრა კი დუბლინში 2009 წლის 11 თებერვალს გაიმართა. 2010 წლის მსოფლიო თასის შესარჩევ ეტაპზე ჩვენს ეროვნულ გუნდს ექტორ რაულ კუპერი ხელმძღვანელობდა. ეს მატჩი ირლანდიამ 2:1 მოიგო. ქართველთაგან გოლი ალექსანდრე იაშვილმა გაიტანა.

ურთიერთდაპირისპირების ისტორიაში ოთხივე მატჩი ირლანდიელების გამარჯვებით დასრულდა. ბურთების შეფარდება კი ირლანდიელთა სასარგებლოდაა — 8:3.

ამჟამად ირლანდიის ნაკრები ფიფა-კოკა-კოლას რეიტინგში 39-ე ადგილზე იმყოფება.

მ. ჟ.



## ჟერარ დეპარდიე ჩეჩნეთის საპატიო მოქალაქე გახდა



ჟერარ დეპარდიეს ჩეჩნეთის რესპუბლიკის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა. შესაბამის ბრძანებას ხელი რესპუბლიკის ლიდერმა რამზან კადიროვმა მოაწერა.

დეპარდიესა და რესპუბლიკების თეატრების მსახიობებს შორის გამართული შეხვედრისას კადიროვმა აღნიშნა: „ჟერარ დეპარდიე ახლა ჩვენი მხოლოდ სტუმარი აღარაა. მე მას დიდი სიამოვნებით გადავცემ ჯილდოს, სამკერდე ნიშანსა და მოწმობას“. მისივე თქმით, ჩეჩნეთის რესპუბლიკაში, ისევე, როგორც მთელ რუსეთში, დეპარდიეს შემოქმედებით აღფრთოვანებულნი არიან.

„ამიერიდან ჩეჩნეთის რესპუბლიკა თქვენი სახლია. სულ მალე თქვენ ჩეჩენი ხალხის კულტურის მთელ სიღრმესა და სილამაზეს იხილავთ“, — აღნიშნა კადიროვმა.

ამასთან, ფრანგ მსახიობს გროზნოში ახალი ხუთოთახიანი ბინის გასაღები და დოკუმენტები გადაეცა.

დეპარდიე გროზნოში კვირა საღამოს ჩაფრინდა, სადაც მას კადიროვი დახვდა.

„რუსეთი დიდი ქვეყანაა. მე ის ძალიან მიყვარს. ძალიან მომეწონა ჩეჩნეთის რესპუბლიკა. აქ ღია, კეთილი ხალხი ცხოვრობს“, — აღნიშნა დეპარდიემ, რომელმაც ჩეჩნეთში ყოფნის დროს კადიროვთან ერთად ლეკურიც იცეკვა.

ჩეჩნეთში მსახიობი სტუდენტებსა და კინემატოგრაფიის ადგილობრივ მოღვაწეებს შეხვდება. მან უკვე განაცხადა, რომ ჩეჩნეთის შესახებ ფილმის გადაღებას გეგმავს.

შეგახსენებთ, რომ ფრანგმა მსახიობმა რუსეთის მოქალაქეობის მიღებამდე 2012 წელს მაღალი გადასახადების პროტესტის ნიშნად საფრანგეთის მოქალაქეობაზე თქვა უარი.

გ. მ.

## სამხრეთ კორეის პრეზიდენტის ინაუგურაცია „განგნამ სთაილის“ ფონზე წარიმართა



სამხრეთ კორეაში პირველი ქალი-პრეზიდენტის პაკ კინ ხეს ინაუგურაცია გაიმართა, რომელმაც ამ პოსტზე ლი მენ ბაკი შეცვალა. როიტერის ინფორმაციით, ახალი პრეზიდენტის არჩევის სადღესასწაულო ზეიმზე სეულში 70 ათასზე მეტმა ადამიანმა მოიყარა თავი.

კონცერტში სამხრეთკორეელი რეპერი „პსაიც“ მონაწილეობდა, რომელმაც მისი ყველაზე პოპულარული სიმღერა „განგნამ სთაილი“ შეასრულა.

ახლად არჩეული პრეზიდენტის მამა, პაკ ჩონ ხი, 1963-1979 წლებში ასევე გახლდათ სამხრეთ კორეის პრეზიდენტი. მისი მმართველობის დრო ცნობილია ეკონომიკური განვითარებითა და დიდი პოლიტიკური რეპრესიებით.

შეგახსენებთ, რომ პაკ კინ ხემ ინაუგურაციაზე სიტყვით გამოსვლისას პრეზიდენტმა მეზობელ ჩრდილოეთ კორეას ბირთვულ ამბიციებზე უარის თქმისაკენ მოუწოდა. პრეზიდენტმა გამოსვლისას აღნიშნა, რომ ის არ მოითმენს არც ერთ ქმედებას, რომლებიც მის ხალხსა და ქვეყანას საფრთხეს შეუქმნის.

გ. მ.